

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

„მოსთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის  
ინსტიტუტი

გ უ რ ა მ შ ა რ ა კ ე

დავით ჩუბინაშვილი  
რუსთაველოლოგი



თბილისი  
„მეცნიერება“

1982

ნაშრომში განხილულია XIX საუკუნის ცნობილი ქართველი მეცნიერის, პეტერბურგის ქართველოლოგიური სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენლის, პროფ. დავით ჩუბინაშვილის რუსთველოლოგიური მემკვიდრეობა (ვეფხისტყაოსნის ისტორიული ლიტერატურული საკითხები, პოემის ტექსტის დადგენა-გამოცემა, რუსთველის სახელით ცნობილი ლექსები, ვეფხისტყაოსნის პირველი რუსული პოეტური თარგმანი).

დავით ჩუბინაშვილის, როგორც რუსთველოლოგის, დახასიათებას წინ უძღვის მეცნიერის მოკლე ბიოგრაფიული ეტიუდი.

ავტორი პროფ. სარგის ცაიშვილი

---

დ ა ვ ი თ ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი

• ბიოგრაფიული ეტიუდი<sup>1</sup>

დავით ჩუბინაშვილი დაიბადა 1814 წლის 26 სექტემბერს, თბილისში. მამამისი — იესე ჩუბინაშვილი (1780—1821) — იყო სამეფო კარის ნათლისმცემლის ეკლესიის მღვდლის, დავით ჩუბინაშვილის, შუათანა ვაჟი (ყველაზე უფროსი ძმა — გიორგი ადრე, ორი წლის ასაკში გარდაიცვალა 1770 წელს, ხოლო მისი მომდევნო ივანე დაიბადა 1774 წელს, ყველაზე უმცროსი — ნიკო, შემდეგში ცნობილი ლექსიკოგრაფი კი — 1788 წელს).

მომავალი მეცნიერის წინაპრები სამცხელი აზნაურები იყვნენ, ხოლო პაპა — დავით ჩუბინაშვილი (1738—1810), რომლის საპა-

---

<sup>1</sup> დაწერილია შემდეგ ნაშრომთა მიხედვით: Ал. Чагарели, Сведения, т. I, вып. III, СПб, 1894; კ. კ ი ნ წ უ რ ა შ ვ ი ლ ი, დავით ჩუბინაშვილი, თბ., 1970; ვაჟვალისწინებულთა აგრეთვე: ვ. ბ ე რ ი ძ ე, გიორგი ჩუბინაშვილი, თბ., 1963; გ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, Материалы к биографии, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. 33—ე, 1978; გ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ბიობიბლიოგრაფია, თბ. 1977; ნ. მ ა ხ ა თ ა ძ ე, ქართული კულტურის კერა ჰეტერბურგში, თბ., 1967; Ц. К а л а н д а д з е, Участие грузин в культурной и общественной жизни России, Тб., 1979; ი. მ ე გ რ გ ლ ი ძ ე, რუსთველოლოგები, თბ., 1970; იხ. აგრეთვე, ალ. დ ლ ო ნ ტ ი ს გამოკვლევები, რომლებიც დართული აქვთ შემდეგ გამოცემებს: ნ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1961; ნ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, რუსულ-ქართული ლექსიკონი, I, თბ., 1971; II, თბ., 1973; მისივე, ქართული ლექსიკოგრაფიის ისტორიისათვის, „მნათობი“, № 11, 1980.

ტივემულოდაც დაარქვეს მას ეს სახელი — თავისი დროისათვის საკმაოდ განათლებული პირი ყოფილა და ახლო ურთიერთობა ჰქონია ანტონ I კათალიკოსთან, მზეკაბუკ ორბელიანთან, ერეკლე მეორესთან. ბოლოს მას თბილისში საკუთარი სკოლაც კი გაუხსნია, რომელშიც წერა-კითხვის, გალობის, საღვთო წერილის, მსოფლიო და ქართული ეკლესიის ისტორიის გარდა, ისწავლებოდა სხვა ზოგადსაგანმანათლებლო საგნებიც. ამას გარდა, XVIII ს. ბოლო მეოთხედში დავით ჩუბინაშვილი თბილისის სამეფო სტამბის ზედამხედველად ითვლებოდა და ამ დროის ბევრ გამოცემაზე აღბეჭდილია კიდევ მისი სახელი (იხ. მაგალითად, „ლოცვანი“. 1793 წ.).

იესე ჩუბინაშვილიც თავდაპირველად მამის გახსნილ სკოლაში სწავლობდა, 1804 წლიდან კი — მთავარმართებელ ციციანოვის მიერ დაარსებულ თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში. შემდეგში იგი თვითონ ასწავლიდა ქართულ ენას თბილისის სასულიერო სემინარიაში და ეგზარქოს თეოფილაქტეს წინადადებით და სახსრებით ქართული გრამატიკაც კი შეუდგენია, რომელიც 1818 წელს დაბეჭდილა თბილისში (მეორედ, თითქოს, მოსკოვშიაც!) ნუსხური შრიფტით და კარგახანს ერთადერთ სახელმძღვანელოდაც ითვლებოდა ადგილობრივ სასწავლებლებში. იესეს სასულიერო კარიერა დაწყებულია 1810 წლის 13 მარტს, როდესაც მომაკვდავი მამამისის დავით ჩუბინაშვილის (გარდ. 1810 წ. 15 მარტს) თხოვნით, იოანე ბოდბელს დიაკვნად განუწესებია, ხოლო კათალიკოს ანტონ II-ს 1811 წლის 19 მარტს მღვდლად აღუვლენია, 1820 წელს კი თბილისის სიონის ტაძრის დეკანოზად განაწესეს. იესე გარდაიცვალა 1821 წლის 20 აგვისტოს, მალე, რალაც ერთი თვის შემდეგ — 1821 წლის 26 სექტემბერს — გარდაიცვალა პატარა დავითის დედაც — ანასტასია ნახუცრიშვილი. უდემამოდ დარჩენილი ძმისწულების — 7 წლის დავითისა და 3 წლის ევგენიას (ყველაზე უმცროსი — იასონი მცირეწლოვანი გარდაიცვალა 1823 წელს) — პატრონობა ბიძამ, ნიკო ჩუბინაშვილმა, იკისრა, რომელმაც ალ. ცაგარლის სიტყვებით, «...в полном смысле слова заменил им отца» (Свед., III, გვ. LXVIII).

ნიკო ჩუბინაშვილი საკმაოდ ცნობილი ფიგურაა XIX ს. I ნახევრის ქართული მეცნიერების ისტორიაში. 14 წლისა შეუყვანიათ თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში, რომლის წარჩინებით

დამთავრების შემდეგ, იმავე 1807 წელს დატოვეს რუსული ენის მასწავლებლად, ხოლო 1813 წლიდან მათემატიკასაც ასწავლიდა. კეთილშობილთა სასწავლებელში მასწავლებლობის პერიოდში, კერძოდ 1810—1814 წლებში, ნ. ჩუბინაშვილმა რუსულიდან თარგმნა რამდენიმე საბუნებისმეტყველო თხზულება. 1815 წლიდან იგი დაინიშნა სინოდის კანტორის მდივნად თბილისში. ამავე პერიოდში შეადგინა და დაბეჭდა რუსულ-ქართული სასაუბრო და სხვა შრომები, აგრეთვე, აღიდგინა ნამდვილი გვარი — გიორგიშვილი და, ამასთან, აზნაურის წოდებაც.

1821 წელს მთავარმართებელმა ა. პ. ერმოლოვმა ნ. ჩუბინაშვილი დანიშნა ვახტანგის კანონთა მთარგმნელი კომისიის წევრად. ეს სამუშაო კომისიამ მთლიანად დაასრულა 3 წლის განმავლობაში. ამას გარდა, ნ. ჩუბინაშვილისა და მის თანამოაზრეთა მიერ წამოწყებული იყო ქართული ბიბლიის ბეჭდვის საქმე. მაგრამ მარცხით დამთავრდა როგორც ბერძნული და ებრაული ენების შესასწავლად პეტერბურგში 1816 წელს განზრახული 15 ყმაწვილის გაგზავნა, ისე 1820 წელს თვითონ ნ. ჩუბინაშვილის ათონის მთაზე გამგზავრებაც ქართული ბიბლიის 978 წლის ნუსხის აკლის გადმოსაღებად, რასაც ხელი შეუშალა ამ დროს მომხდარმა ბერძნების აჯანყებამ.

1825 წლის აპრილში ნ. ჩუბინაშვილი გადაყვანილ იქნა სამუშაოდ პეტერბურგში, საგარეო საქმეთა სამინისტროს სააზიო დეპარტამენტში ქართული ენიდან მთარგმნელად. მან თან წაიყვანა თავისი ობოლი ძმისწულები. ისინი გაჰყვნენ ანასტასია ბატონიშვილის ამაღას, რომელიც თბილისიდან გაემგზავრა 1825 წლის სექტემბერში. ნ. ჩუბინაშვილმა უმთავრესად პეტერბურგში ყოფნის დროს (1825—1837 წწ.) შეადგინა თავისი ლექსიკოგრაფიული და გრამატიკული შრომები, რომლებიც თბილისში უკან დაბრუნებისას, 1837 წელს, თავის ძმისწულს — დავითს — დაუტოვა პეტერბურგში. ჯანმრთელობის გაუარესების გამო, ნ. ჩუბინაშვილმა ითხოვა თანამდებობიდან განთავისუფლება, რაც 1837 წლის 11 მაისს დაკმაყოფილებულ იქნა და 1837 წლიდან იგი უკვე თბილისში ცხოვრობდა და მუშაობდა თბილისის გუბერნატორთან, სადაც ითვლებოდა საგარეო საქმეთა სამინისტროს სამსახურში. 1842 წელს მან მოაწყო არქეოლოგიური მოგზაურობა სამცხეში, იმერეთსა და სამეგრელოში, 1842 წელს ხელახლა ჩავიდა პეტერბურგს, ხოლო

1845 წლის 11 თებერვალს თავისი ნათესავის— იმერელი აზნაურის რევაზ გოგოლაშვილის — თანხლებით ერთი წლით გაემგზავრა აღმოსავლეთის წმინდა ადგილებისა და ათონის მოსახილავად. მისი მარშრუტი ასე გამოიყურება: თბილისი — ქუთაისი — რედუტ-კალე — ბათუმი — ტრაპიზონი — ბოსფორი (კონსტანტინოპოლი) — როდოსი — ბეირუთი — იათა — იერუსალიმი — ბეირუთი — კიპროსი... აქ წყდება ნ. ჩუბინაშვილის მოგზაურობის დღიური. ამის გამო, დანამდვილებით არ ვიცით, იყო თუ არა ნ. ჩუბინაშვილი ათონზე, ოღონდ კარგად ვიცით, რომ იერუსალიმში ყოფნის დროს, 1845 წლის მაისში, მან რამდენჯერმე ინახულა იერუსალიმის მახლობლად ქართველთა ჯვრის მონასტერი და დავეიტოვა მისი სიძველეთა მოკლე აღწერილობა, ამასთან, მან პირველმა გადმოიღო ჯვრის მონასტრის სვეტზე შემონახული შოთა რუსთველის ფრესკული გამოახულება. საერთოდ, ნ. ჩუბინაშვილის აღნიშნული მოგზაურობა ქართული პალესტინათმცოდნეობის შენაძენად ითვლება. ნ. ჩუბინაშვილი გარდაიცვალა 1847 წელს, პეტერბურგში და იქვეა დაკრძალული სმოლენსკის სასაფლაოზე.

როგორც უკვე ითქვა, დავით ჩუბინაშვილი ბიძამისმა 1825 წელს წაიყვანა პეტერბურგში და 1826 წლის იანვარში მიაბარა ანენსკის სკოლაში, საიდანაც შემდეგ გადავიდა ჯერ გიმნაზიაში, ხოლო 1835 წელს უკვე შევიდა ს.-პეტერბურგის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის აღმოსავლური სიტყვიერების განყოფილებაზე. აქ, სხვა საგნებთან ერთად, პროფესორების — სენკოვსკის, მუხლინსკის და სხვების — ხელმძღვანელობით სწავლობდა აღმოსავლურ ენებს. ჯერ კიდევ სტუდენტად ყოფნისას, 1837 წელს, დავით ჩუბინაშვილმა წარადგინა ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი, რომლის განხილვა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიამ დაავალა აკად. მ. ბროსეს. 1837 წლის 15 სექტემბერს ბროსემ დაწერა დადებითი რეცენზია, რომელშიაც მოითხოვა ლათინური ნაწილის ფრანგულით შეცვლა. ლექსიკონი დაიბეჭდა აკადემიის ხარჯებით, ხოლო მისმა ავტორმა დაიმსახურა დემიდოვის სრული პრემია. 1839 წლის ივნისში დ. ჩუბინაშვილმა დაამთავრა უნივერსიტეტი, ხოლო 1840 წელს ქართული ენიდან მთარგმნელად განაწესეს სააზიო დეპარტამენტში. 1842 წლის მარტში დ. ჩუბინაშვილი დაინიშნა პეტერბურგში მცხოვრებ ქართველ ბატონიშვილთა თარჯიმნად, ამასთან ერ-

თად, იმპერატორის კანცელარიის ამიერკავკასიის მხარის საქმეთა შთარგმნელად. 1845 წელს ს.-პეტერბურგის უნივერსიტეტში დაწესდა ქართული ენის მასწავლებლის შტატიანი თანამდებობა (მანამდე, 1839—40 წწ.—პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიაში, ხოლო 1841—42 წლებში—უკვე უნივერსიტეტში აკად. მ. ბროსე კერძო ლექციების სახით კითხულობდა ქართული ენის, ლიტერატურისა და ისტორიის კურსს, მაგრამ იგი შეწყვიტა ს.-პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარად დანიშვნის გამო), რომელიც დაიკავა სწორედ დ. ჩუბინაშვილმა, და იმავე წლიდან დაიწყო უნივერსიტეტში ქართული ენის სწავლება, როგორც ამ წელს დაარსებული ქართული ენის კათედრის ხელმძღვანელმა.

ამ დროს დაწესდა სახელმწიფო ხარჯზე 5 კავკასიელი სტიპენდიანტის, თბილისის გიმნაზიის კურსდამთავრებულის გაგზავნა ს.-პეტერბურგის უნივერსიტეტში, ხოლო 1849 წლიდან ეს რიცხვი 20-მდე გაიზარდა<sup>2</sup>.

1845 წელს დ. ჩუბინაშვილმა სტუდენტებისათვის სახელმძღვანელოდ შეადგინა „ქართული ქრისტიანობა“, რომელიც აკად. მ. ბროსეს რეცენზირების საფუძველზე მოიწონა მეცნიერებათა აკადემიამ და 1846 წელს დაიბეჭდა კიდევ 2 ნაწილად. იმავე 1846 წელს მან გამოსცა რუსულ-ქართული ლექსიკონი, რომელმაც ასევე სრული დემიდოვის პრემია დაიმსახურა. 1848 წლის სექტემბერში დ. ჩუბინაშვილი დაამტკიცეს ს.-პეტერბურგის უნივერსიტეტის ადიუნქტად. ამას გარდა, იგი ითვლებოდა დედაქალაქის ყველა იმ უმაღლესი სასწავლებლის ქართული ენის მასწავლებლად, სადაც კი კავკასიელი სტუდენტები სწავლობდნენ.

1854 წელს უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის აღმოსავლური სიტყვიერების განყოფილება გადაკეთდა აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტად 9 კათედრით, რომელთა შორის ცალკე დამოუკიდებელი იყო ქართული ენისა და სიტყვიერების კათედრა. ამ ფაკულტეტზე სწავლება დაიწყო 1855—1856 სასწ. წლიდან. 1855 წლის 1 აგვისტოს დ. ჩუბინაშვილი დაამტკიცეს ქართული სიტყვიერების კათედრის ექსტრაორდინარულ პროფესორად, ხოლო 1859 წელს — ორდინარულ პროფესორად. დავით ჩუბინაშვილი პირველი ქართველი პროფესორია.

<sup>2</sup> Историческая Записка о С.-Петербургском Университете, Сост. В. В. Григорьев, СПб., 1870., с. 119—120.

1861 წლის 15 ივნისს დ. ჩუბინაშვილი დაინიშნა ს.-პეტერბურგის უნივერსიტეტის მმართველობის დროებითი კომისიის წევრად, რომელსაც თავმჯდომარეობდა პროფ. ჩეზიშვი. 1864 წლის 1 იანვარს მან შილო „დეისტვ. სტატსკი სოვეტნიკის“ ჩინი, ხოლო 1890 წელს, სამსახურებრივი და სამეცნიერო მოღვაწეობის 50 წლისთავზე — „ტაინი სოვეტნიკის“ ჩინი.

1866 წელს დ. ჩუბინაშვილი განთავისუფლდა სააზიო დეპარტამენტში მუშაობისაგან. 1869 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტის დაარსების 50 წლისთავზე იგი დაჯილდოვდა წმ. სტანისლავის I ხარისხის ორდენით. დროებით რამდენჯერმე ასრულებდა აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობას. 1871 წელს დ. ჩუბინაშვილმა დატოვა უნივერსიტეტი, მაგრამ სიკვდილამდე არ შეუწყვეტია თავისი საყვარელი საქმიანობა.

დ. ჩუბინაშვილი იყო წევრი რუსეთის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოებისა (1869 წლიდან), საიმპ. გეოგრაფიული საზოგადოებისა (1860 წლიდან), ფილოლოგიური საზოგადოებისა, საპატიო წევრი ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოებისა და ს.-პეტერბურგის არქეოლოგიური ინსტიტუტისა.

დ. ჩუბინაშვილი გარდაიცვალა 1891 წლის 5 ივნისს პეტერბურგში, ხოლო 8 ივნისს დაკრძალულ იქნა ალექსანდრე ნეველის სასაფლაოზე. საფლავთან მას გამოსათხოვარი სიტყვით მიმართა მისმა ყოფილმა სტუდენტმა აკაკი წერეთელმა<sup>3</sup>.

დავით ჩუბინაშვილის მეუღლე იყო სერგოვსკის ქალი, რომელთანაც შეეძინა ვაჟი ნიკოლოზი (შემდეგში საოლქო სასამართლოს წევრი). ნიკოლოზ ჩუბინაშვილის შვილია აკადემიკოსი გიორგი ჩუბინაშვილი (1885—1973), საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერი, ქართული ხელოვნებათმცოდნეობის ფუძემდებელი.

ჩვენ აქ დაწვრილებით არ შევხებით დავით ჩუბინაშვილის მრავალმხრივ მეცნიერულ მოღვაწეობას და ეს არც შეადგენს ჩვენს მიზანს. ვიტყვით მხოლოდ, რომ მან ფასდაუდებელი სამსახური გაუწია ქართულ ლიტერატურათმცოდნეობას (ნაწილობრივ ამის შესახებ ზაუბარი გვექნება მისი რუსთველოლოგიური მემკვიდრეობის განხილვისას), ქართულ საისტორიო მეცნიერებას, და განსაკუთრებით — ლექსიკოგრაფიას.

<sup>3</sup> იხ. «Новое Обзрение», Тифлис, 1891 г. 10. VII, № 5295.



1848 წელს დ. ჩუბინაშვილმა მოსკოვის არქივში შეისწავლა 85 ქართული სიგელი, რომელიც 1861 წელს მეცნიერებათა აკადემიამ გამოსცა რუსული თარგმანითურთ მ. ბროსეს რედაქციით<sup>4</sup>. 1848 წელსვე დ. ჩუბინაშვილმა დაბეჭდა თეიმურაზ ბაგრატიონის „ისტორია ივერიისა“ (სპბ.), რომელშიც საქართველოს ისტორია მოყვანილია უძველესი დროიდან ქრისტიანობის გავრცელებამდე, ე. ი. V საუკუნემდე. საერთოდ, თეიმურაზ ბაგრატიონთან დ. ჩუბინაშვილს ახლო ურთიერთობა ჰქონდა<sup>5</sup>. თეიმურაზის გარდაცვალების (1846 წ. ოქტ.) შემდეგ მისი მდიდარი ქართული ბიბლიოთეკის კატალოგის შედგენა, სწორედ დ. ჩუბინაშვილისთვის მიუხდევიათ. დ. ჩუბინაშვილის მიერ შედგენილი ეს მანამდე უნცობი კატალოგი, რომელიც თავის დროზე სსრკ მეცნიერებათა აკადემიის არქივის ლენინგრადის განყოფილებაში გამოვავლინეთ, ახლა უკვე გამოქვეყნებულია<sup>6</sup>.

1851 წელს მ. ბროსეს წინადადებით დ. ჩუბინაშვილი შეუდგა მასთან თანამშრომლობას „ქართლის ცხოვრების“ მეორე ნაწილის (1469—1800 წწ.) დასაბეჭდად, რაც განხორციელდა კიდეც 1854 წელს. ამ გამოცემას დ. ჩუბინაშვილმა წაუშმღვარა ქართული საისტორიო ლიტერატურის ძეგლების ვრცელი ნუსხა.

კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის თხოვნით 1851 წელს დ. ჩუბინაშვილმა დაიწყო რამდენიმე წიგნზე მუშაობა, მათ შორის, მის მიერ შედგენილი ქართული გრამატიკა დაიბეჭდა 1855 წელს. უფრო ადრე, 1849 წელს, მან გამოსცა სულხან-საბა ორბელიანის „წიგნი სიბრძნე-სიცრუისა“, ხოლო 1860 წელს ხელმეორედ გამოსცა შევსებული სახით „ქართული ქრისტიანთა“, რომელმაც ცნობილი ლაიფციგელი პროფესორის ბროკჰაუზის მაღალი შეფასება დაიმსახურა<sup>7</sup>. 1887 წელს განხორციელდა დ. ჩუბინაშვილის „რუსულ-ქართული ლექსიკონის“ მეორე გამოცემა, ხოლო 1891 წელს კი — „ქართულ-რუსული ლექსიკონი“ დაიბეჭდა (ფრანგული თარგმანის გარეშე).

დ. ჩუბინაშვილი მონაწილეობას იღებდა პლიუშარის ენციკლოპედიისა და რუსი მეცნიერებისა და ლიტერატორების ენც. ლექსიკონ-

<sup>4</sup> იხ. Переписка Грузинских царей с Российскими государями, СПб. 1861.

<sup>5</sup> გ. შარაძე, თეიმურაზ ბაგრატიონი, I, თბ., 1972, გვ. 93—94.

<sup>6</sup> გ. შარაძე, თეიმურაზ ბაგრატიონი — ბიბლიოგრაფი და კოლექციონერი, თბ., 1974.

<sup>7</sup> იხ. Liter. Centralblatt, 1865, № 12.

ში, აგრეთვე, ბარათაევის ცნობილი ნაშრომის «Нумизм. факты...»  
СПб., 1844г., ქართულად თარგმნასა და პ. დოლგორუკოვის წიგ-  
ნის («Росинск. Родословная книга», 1856) ქართული მასალებით  
(25 ქართული დიდგვაროვანი ოჯახი) შეესებაში.

დავით ჩუბინაშვილის ვრცელი და მრავალმხრივი მეცნიერული  
მემკვიდრეობიდან ჩვენ განვიხილავთ მის რუსთველოლოგიურ შეხე-  
დულებებს.

---

დავით ჩუბინაშვილი — რუსთველოლოგი

დავით ჩუბინაშვილი და ვეფხისტყაოსნის ისტორიულ-ლიტერატურულ-რუსული საკითხთაჲს

ვეფხისტყაოსნის ისტორიულ-ლიტერატურული საკითხების კვლევაში დავით ჩუბინაშვილს ჰყავდა ისეთი დიდი წინამორბედები, როგორებიც იყვნენ ვახტანგ VI და თეიმურაზ ბაგრატიონი, ნაწილობრივ, მარი ბროსეც, რომელთან თანამშრომლობით მან ბევრი პირველხარისხოვანი მეცნიერული, მათ შორის რუსთველოლოგიური, შრომა შექმნა.

მაინც, ამ საკითხებზე მიძღვნილ ნაშრომთა შორის ყველაზე მთავარია დ. ჩუბინაშვილის გამოკვლევა «О Грузинской поэме Вепхисткаосани или Барсова кожа», რომელიც პირველად 1842 წელს გამოქვეყნდა. მეტ-ნაკლები ცვლილებებით, შემდეგშიც რამდენჯერმე გადაიბეჭდა<sup>1</sup>, აგრეთვე, გერმანულადაც ითარგმნა<sup>2</sup>.

§ 1. თავდაპირველად დ. ჩუბინაშვილი გვაძლევს რუსთველის ეპოქის, უფრო ზუსტად, დავით აღმაშენებლისა და თამარის მეფობის დროინდელ საქართველოს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი და

<sup>1</sup> ЖМНП, 1842, XXV, отд. II, გვ. 112—126; ქართ. ქრისტომატია, სპბ., 1846, ნაწ. II, გვ. I—IX; «Закавказский вестник», 1850, № 41, გვ. 162—163; № 42, 165 (ჩვენ ხელთ ვკონდა ცალკე ამონაბეჭდიც ЖМНП-დან).

<sup>2</sup> D. Tschubino w, | Rustawel, 'der' rusinische' Dichter, უეურნ. «Archiv für Wissenschaftliche Kunde von Russland», II, Berlin, 1842, s. 659—667.

საზოგადოებრივ-კულტურული მდგომარეობის მოკლე დახასიათებას, უწოდებს მას „ოქროს საუკუნეს“, ხოლო თამარის მეფობის წლებს— „საქართველოს დიდებისა და ძლიერების ზენიტს“:

«Грузии не суждено было никогда играть блестящей роли в Истории всемирной. Но она имела свой золотой век, свою эпоху славы и могущества. Это век XII. Нация, сама по себе слабая, успешно боролась и с наместниками Халифов и с могуществом Монголов, Турок, Селджуков и Татар, и не только успела сохранить свою самостоятельность, но распространила власть свою на Дагестан, Ширван и Северную Армению... Зенитом славы и могущества Грузии было царствование Царицы Тамары, продолжавшееся от 1174 до 1201 года»<sup>3</sup>.

ვეფხისტყაოსნის შემქმნელ ეპოქას დ. ჩუბინაშვილი სხვა ნაშრომშიაც ახასიათებს: «Поэма Вепхис-Ткаосани писана в царствование Царицы Тамары, как видно из самого предисловия Руставеля, следов [ательно] в XII веке по Р. Х. Это была пора высочайшего величия Грузии, золотой век ее литературы, наук и образованности вообще. Никогда она, ни прежде, ни после, не имела благоприятнейших средств проявить столько высоких поэтических дарований, как во время проявления и развития гения Руставеля, современника и певца Тамары»<sup>4</sup>.

რუსთველის ეპოქის საქართველოს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ სიძლიერის დახატვით დ. ჩუბინაშვილს სურს დაასაბუთოს თავისი დებულება: «Судьба Литературы следует за судьбой народа. Литература слабеет, замолкает с ослаблением политической важности народа, во времена бедствий внешних, расстройства внутреннего; она развивается в полном блеске в эпоху блестящих завоеваний, преобладания над враждебными соседями, цветущаго состояния внутреннего» (ЖМНП, 1842, № 8, გვ. 1).

მართლაც, XII საუკუნე, დ. ჩუბინაშვილის სიტყვებით, იყო არა მარტო საქართველოს ისტორიის „ოქროს საუკუნე“, არამედ

<sup>3</sup> ЖМНП. 1842, № 8, (ცალკე ამონაბეჭდი), გვ. 1—2.

<sup>4</sup> 4. Д[авид] Ч[убинов], Замечания на перевод Барсовой кожи, «Кавказ», 1846, 6 июля, № 27, с. 106.

«Этот век был золотым веком и Искусств и Наук; в этом веке Грузия украсилась теми храмами, дворцами, гробницами Царей, коих развалины — жалкие остатки пощаженные временем, — до сих пор обращают на себя внимание наблюдательного странствователя» (იქვე, გვ. 1—2).

XII ს. საქართველოს ახალ ინტელექტუალურ ცხოვრებას, დ. ჩუბინაშვილის აზრით, მკვიდრი საფუძველი ჩაუყარა დავით აღმაშენებელმა, რომელმაც თავისი კულტურული ორიენტაცია დასავლურ (ბერძნულ-რომაულ-ბიზანტიურ) კულტურაზე აიღო: «Еще в начале XII века, Царь Давид Возобновитель положил прочные основания развитию литературы и умственных сил своего народа, и определил каждый год посылать в Афины по двадцати молодых Грузинов для образования, откуда они переносили на родину знания Греков, бывших в то время единственными хранителями древней Греко-Римской образованности. Эти молодые Грузины распространили между своими соотечественниками любовь к наукам и Литературе, и содействовали очищению вкуса их» (იქვე, გვ. 2—3).

ამ ეპოქამ წარმოშვა დიდი ქართული მწერლობაც, დიდი ქართველი მწერლები, რომლებმაც განაღებეს და სრულყოფის ახალ სიმაღლეზე აიყვანეს ქართული ენა და ლიტერატურა: «В этом веке и великие Писатели, которые возвысили народную Литературу и возвели язык Грузинский до такого совершенства, что она сделалась образцом для позднейших Писателей» (იქვე, გვ. 2).

დ. ჩუბინაშვილი ამ მხრივ განსაკუთრებით გამოყოფს თამარის მეფობას დროინდელ ქართულ მწერლობას: «Блеск ея царствования отразился на Литературе... В царствование Тамары, любившей славу во всех ея видах и покровительствовавшей Ученым, являются замечательные Писатели—Прозанки: Мосей Хонел, Сергис Тмогвели и другие; Поэты: Шавтель и Чахруха. Но выше всех их стоит Руставель» (იქვე, გვ. 2—4.).

მოსე ხონელისა და სარგის თმოგველისთვის აქვე დართულ შენიშვნებში დ. ჩუბინაშვილს დაწვებული აქვს შეცდომები: «Он [Мосей Хонел] написал роман под заглавием: Висрамнани, т. е. Похождение Виса и Рамина», «Он [Сергис Тмогвели] написал Поэ-

მუ Дареджანიანი, т. е. Похождение Дареджана» (იქვე, სქ. 1—2).

საგულისხმოა, რომ ამ ნაშრომის მეორე გამოცემაში, რომელიც მან 1846 წელს დაუბრუნა თავის „ქართული ქრისტიანობის“ მეორე ნაწილში დაბეჭდილ ვეფხისტყაოსანს, დავით ჩუბინაშვილმა გაასწორა აღნიშნული შეცდომები: «Он [Мосей Хонел ] написал роман под заглавием: Дареджаниани, т. е. Похождение Дареджана», «Он [Сергис Тмогвели ] написал роман под заглавием Висраминиани, т. е. похождение Виса и Рамипа»,<sup>5</sup> ხოლო „ქრისტიანობის“ პირველ ნაწილში გამოაქვეყნა „ამირან-დარეჯანიანის“ (Амиран-Дареджаниани) და „ვისრამიანის“ ფრაგმენტები<sup>6</sup>. ერთადერთი უზუსტობა აქ ის არის, რომ მოსე ხონელის თხზულება არ არის «Похождение Дареджана», არამედ უნდა იყოს: «Похождение Дареджанидзе» ე. ი. ამირანდარეჯანის ძისა, თუმცა ტექსტებისთვის წამოძვარებულ შენიშვნებში დ. ჩუბინაშვილი უკვე სწორ წარმოდგენას აძლევს მკითხველს ამის თაობაზე: «Роман этот (ამირან-დარეჯანიანი, Амиран-Дареджаниани), написан в царствование Тамары Мосем Хонели. Сочинитель родился в местечке Хони, в Имеретии. Он был современник Руставеля, который упоминает о нем о его сочинении в последнем стихе бессмертной (!) поэмы «Барсова кожа»:... Это [роман «Висраминиани»] в роде Елоизы Руссо. Автор его Диларгет Сергис Тмогвели, живший в конце XII столетия, в царствование бессмертной в Грузинских летописях Царицы Тамары»<sup>7</sup>. რაც შეეხება შაჰთელსა და ჩახრუხაძეს, დ. ჩუბინაშვილის ცნობით, «Первый из них, Шавтель, как говорят, был Секретарем и одним из отличнейших Министров Царицы Тамары. Второй же, Чахруха, был Царским Казнохранителем... Поэмы их под заглавием: Тамариани, заключает в себе хвалу Царице Тамары. Они напечатаны в двух книжках, в Тифлисе, в 1839 г. Иоселланом, Учителем Тифлисской Семинарии», მაგ-

<sup>5</sup> ქართული ქრისტიანობა, II, სპ. 1846, გვ. II, სქ. 3—4.

<sup>6</sup> იქვე, I, სპ. 1846, გვ. 16—36, 73—94.

<sup>7</sup> იქვე, I, სპ. 1846, გვ. II—III.

რამ, ორივე პოემა ისე ჰგავსო ერთმანეთს, შენიშნავს დ. ჩუბინაშვილი, რომ შეიძლება ისინი ერთი პოეტის ნაწარმოებებად მივაჩნიოთ: «Можно заметить, однакожь, что обе Поэмы так сходны одна с другою, что можно считать произведением одного Поэта» (ЖМНП, 1842, № 8, ცალკე ამონაბეჭდი, გვ. 3, სქ. 3; ქართ. ქრისტ., II, სპბ, 1846, გვ. III, სქ. 1).

§2. საყურადღებოა დ. ჩუბინაშვილის მიერ მოწოდებული შოთა რუსთველის ბიოგრაფიული ცნობები, რომლებიც დამყარებულია ხალხურ გადმოცემებსა და ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსვლაში“ და-დასტურებულ მონაცემებზე:

«Шота Руставель родился в незначительном городе Рустави, в провинции Ахалцихской. О жизни его сохранилось мало сведений. Известно, и то по преданию, что он получил образование в Афинах, и возвратясь оттуда, стихотворениями своими обратил на себя внимание Царицы Тамары. Главный предмет его песнопений составляло прославление Царицы Тамары. Лучшее произведение его — Венхис-Ткаосани или Барсова кожа, написанная во славу Великой Царицы, сделала его своим Книгохранителем. В последствии времени Поэт, по словам Грузинского Митрополита Тимофея (Митрополит Тимофей жил в начале XVIII столетия. Он ходил на поклонение Св. Местам и описал свое путешествие. Из этой книги г. Муравьев извлек статью, которую поместил в конце своего путешествия под заглавием: Описание Грузинского монастыря в Иерусалиме), вступил в монахи. Последние дни своей жизни он провел в Иерусалиме, и погребен там же в монастыре Св. Креста. Митрополит Тимофей говорит в своем путешествии, что в его время в этом монастыре хранился портрет Руставели. Вот все что мы знаем о жизни Руставели (ЖМНП. 1842 № 8, ცალკე ამონაბეჭდი, გვ. 4).

რა შეიძლება ითქვას ამ ცნობათა ავთენტურობის შესახებ?

პირველ რიგში, აღსანიშნავია დ. ჩუბინაშვილის ცდა, გაარკვიოს პოეტის სადაურობა. ამ მხრივ, იგი უპირისპირდება თეიმურაზ ბაგრატიონის შეხედულებას შოთა რუსთველის ჰერეთის რუსთავი-

დან—ბოსტან ქალაქიდან წარმომავლობის შესახებ<sup>8</sup> და უბრუნდება ხალხურ გადმოცემებსა და ნაწილობრივ, გვიანდელ ლიტერატურულ წყაროებზე (მაგ., არჩილის „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“) დამყარებულ ტრადიციულ თვალსაზრისს შოთა რუსთველის მესხობის შესახებ. ეტყობა, დ. ჩუბინაშვილს იმდენად სწამდა ეს, რომ თვით თეიმურაზ ბაგრატიონის მიერ ვეფხისტყაოსნის 1841 წლის გამოცემისათვის დასართველი ლექს-ანდერძიც კი გადააქეთათვისებურ ყაიდაზე და ისე დაბეჭდა. თეიმურაზის ავტოგრაფში ეწერა:

„შოთა იშვა რუსთავისა ქალაქსა შინა ქებული,  
მას ბოსტან-ქალაქს უწოდენ, ძველთაგან იყო გებული...“

პოემის 1841 წლის გამოცემაში კი ვკითხულობთ:

„შოთა იშვა სამეხეთოს დაბასა შინა ქებული,  
მას რუსთავად უწოდებდნენ, ძველთაგან იყო გებული...“<sup>9</sup>.

იგივე აზრია გატარებული დ. ჩუბინაშვილის აღნიშნულ ნაშრომშიც: «Шота Руставели родился в незначительном городе Рустави, в провинции Ахалцихской» (იქვე გვ. 4).

დ. ჩუბინაშვილის შემდეგ რუსთველის მესხობას იცავდნენ ნ. მარი<sup>10</sup>, შ. ნუცუბიძე<sup>11</sup> და სხვები, ხოლო თანამედროვე მკვლევართაგან—ნ. შოშიაშვილი<sup>12</sup> და ს. ცაიშვილი<sup>13</sup>. ალ. ბარამიძის სიტყვებით,

---

<sup>8</sup> ამის შესახებ დაწვრილებით იხ. გ. შარაძე, თეიმურაზ ბაგრატიონი, II, თბ., 1974, გვ. 92—97.

<sup>9</sup> იხ. ლ. ქუთათელაძე, ვტ-ის 1841 წლის გამოცემაზე დართული „ანდერძისათვის“, „მაცნე“, 1970, № 5, გვ. 136.

<sup>10</sup> Н. Я. Марр, Груз. поэма «Витязь в барсовой шкуре» Шоты из Руставы и новая культурно-историческая проблема, ИАН, 1917, с. 414—446, 475—506.

<sup>11</sup> Ш. Н у ц у б и д з е, Творчество Руставели, Тб., 1958.

<sup>12</sup> ნ. შოშიაშვილი, თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია და შოთა რუსთაველი, ხელნ. ინსტიტუტის კრებული „შოთა რუსთაველი“, თბ., 1966, გვ. 7—74; მისივე, XII—XIV სს. საქართველოს სახელმწიფო სამართლის ისტორიისა და რუსთველოლოგიის ზოგიერთი საკითხი, „ესიკარი“, 1965, № 9, გვ. 114—151.

<sup>13</sup> ს. ცაიშვილი, შოთა რუსთაველი (ბიოგრაფიული ესკიზი), „მნათობი“, 1966, № 2, გვ. 32—146.



„ვეფხისტყაოსნის ავტორი შეიძლება ყოფილიყო მესხეთის რუსთა-ვიდანაც და თბილისის რუსთავიდანაც. ამ საკითხის საბოლოოდ გადასაჭრელად ჭერ-ჭერობით რაიმე მტკიცე საბუთი არ მოგვეპო-ვება, თუმცა ზოგი რამე გარკვეულად რუსთველის მესხობის სა-სარგებლოდ მეტყველებს“<sup>14</sup>.

თავი რომ დავანებოთ ხალხურ გადმოცემებზე დამყარებულ დ. ჩუბინაშვილის ცნობებს შოთა რუსთველის ათენში სწავლა-განათ-ლების მიღების შესახებ, ყურადღებას იქცევს მისი შემდეგი სიტყვე-ბი: «...Венхис-Ткаосани или Барсова кожа, написанная во сла-ву Великої Царицы, спискала ему новыя милости Тамары, ко-торая сделала его своим Книгохранителем» (იქვე, გვ. 4). როგორც ვეღავეთ, დ. ჩუბინაშვილი აქ რუსთველს თამარის მწიგნობართუხუცესად აცხადებს, (რაც არც გადმო-ცემებით და არც რაიმე ლიტერატურულ-ისტორიული წყაროებით არ დასტურდება), ოღონდ ამ ნაშრომის 1846 წელს გამოქვეყნებულ ვარიანტში მას მექუტუკლეთუხუცესად ასწორებს: «которая сдела-ла его своим Казнохранителем» (ქართ. ქრისტ., II, სპპ., 1846, გვ. III). შოთა რუსთველის თამარ მეფის მექუტუკლეთ-უხუცესობა კი დღეს თითქმის საყოველთაოდ გაზიარებული აზრია<sup>15</sup>.

მაგრამ მაინც განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს დ. ჩუბინაშ-ვილის მიერ შოთა რუსთველის საბიოგრაფიო საკითხებთან, კერძოდ, იერუსალიმის ჭვრის მონასტერში პოეტის ყოფნასა და მოღვაწეობას-თან დაკავშირებით ტომოთე გაბაშვილის დამოწმება: «В последствии времени Поэт, по словам Грузинского Митрополита Тимофея, вступил в монахи. Последние дни своей жизни он провел в Иерусалиме, он погребен там же в монастыре Св. Креста. Митро-полит Тимофей говорит в своем путешествии, что в его время в этом монастыре хранился портрет Руставели» (ЖМНП, 1842, № 8, ცალკე ამონაბეჭდი, გვ. 4).

ამ ნაშრომის 1846 წლის ვარიანტში ეს აღგილი შესწორებულია ამგვარად: «В последствии времени Поэт, вступил в монахи. По

<sup>14</sup> ალ. ბარანიძე, შოთა რუსთველი, თბ., 1966, გვ. 38—39.

<sup>15</sup> შდრ. ალ. ბარანიძე, შოთა რუსთველი და ქართველთა ჭვრის მონასტერი იერუსალიმში, კრებ. „შოთა რუსთველი“, თბ., 1966.

სловаს გრუზინსკოგო მიტროპოლიტა ტიმოფეა, პოსლედნიჲ დნი სვოეი ჟიზნი ინი პრევილ იერუსალიმე, ი პოგრებენი ტამ ჯე ვ მონასტერე სვ. კრესტა. მიტროპოლიტ ტიმოფეი გოვორიტ ვ სვოემ პუტეშესტვიი, ცჷ ვ ეგო ვრემია ვ ეტომ მონასტერე ხრანილსა პორტრეტ რუსთაველი» (ქართ. ქრისტ., II, სპბ., 1846, გვ. III—IV).

როგორც ვხედავთ, თუ ადრე შოთა რუსთველის ბერად აღკვეცის ცნობას დ. ჩუბინაშვილი ტიმოთე გაბაშვილს მიაწერდა, შემდეგში, მართალია, ეს ცნობა მას სამართლიანად ჩამოაცალა (იგი ტიმოთეს „მიმოსვლაში“ არ დასტურდება), მაგრამ უცვლელად დატოვების ადგილი, თითქოს ტიმოთე გაბაშვილი სადმე ახსენებდეს შოთა რუსთველის საფლავს იერუსალიმის ჯვრის მონასტერში: სინამდვილეში, ტიმოთე თავის „მიმოსვლაში“ ლაპარაკობს იერუსალიმის ჯვრის მონასტერში შოთა რუსთველის — მეჭურჭლეთუხუცესის სააღმშენებლო საქმიანობაზე — ჯვრის მონასტრის გუმბათის განახლებასა და მოხატვაზე და არსად, „მიმოსვლის“ არც ერთ ავტოგრაფულ თუ ავტორიზებულ ჩუხსაში არაფერია ნათქვამი, თითქოს შოთა რუსთველი იერუსალიმის ჯვრის მონასტერში იყოს დასაჯლავებული<sup>16</sup>.

დ. ჩუბინაშვილი კი, როგორც ვნახეთ, დაყენებით მიაწერს მისთვის ამ უცხო ცნობას ტიმოთე გაბაშვილს. ერთი შეხედვით, ეს მით უფრო მოულოდნელია დ. ჩუბინაშვილისაგან, რომელმაც 1846 წელს დაბეჭდა „მიმოსვლის“ ის მონაკვეთი, სადაც ლაპარაკია შოთა რუსთაველის-მეჭურჭლეთუხუცესის მოღვაწეობაზე იერუსალიმის ჯვრის მონასტერში და არაფერია თქმული იქ მის დასაფლავებაზე<sup>17</sup>. ამას გარდა, როგორც ვნახეთ, დ. ჩუბინაშვილი იცნობს ა. ნ. მურავიოვის „მოგზაურობის“ წიგნსაც, რომელშიაც ცალკე თავად დაბეჭდილია «Выписка из путешествия к св. местам грузинского архиепископа Тимофея»<sup>18</sup>, მაგრამ არც ნ. მურავიოვის თარგმანშია დაშვებული რაიმე უზუსტობა ან ტექსტიდან გადახვევა, რომელსაც შეეძლო შეცდომაში შეეყვანა დ. ჩუბინაშვილი.

<sup>16</sup> შდრ. ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსვლა, ელ. მეტრეველის რედ. თბ., 1956, გვ. 80, სქ. 1, გვ. 82.

<sup>17</sup> შდრ. ქართული ქრისტომატია, I, სპბ. 1846, გვ. 149—153.

<sup>18</sup> А. Н. М у р а в ь е в, Путешествие ко святым местам в 1830 г., СПб, 1840, IV изд., ч. II, გვ. 345.

დღეს უკვე გამოჩვეულია, რომ ტიმოთე გაბაშვილისათვის მიწერილი ამ უცხო რუსთველოლოგიური ცნობის წყაროა თეიმურაზ ბაგრატიონი<sup>19</sup>. თეიმურაზ ბაგრატიონის ავტორიტეტის წყალობით კი, მის მიერ ტიმოთესათვის ზეპირად მიწერილი ეს უცხო ცნობა სამეცნიერო ლიტერატურაში შეუმოწმებლად ტიმოთესავე სახელით გავრცელდა (აკად. მ. ბროსე, პროფ. დ. ჩუბინაშვილი და სხვ.)<sup>20</sup>.

რაც შეეხება დ. ჩუბინაშვილის მიერ მოტანილ ტიმოთე გაბაშვილის ცნობას იერუსალიმის ჯვრის მონასტერში შოთა რუსთველის პორტრეტის არსებობის შესახებ, დღეს ეს უკვე საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია: ნ. ჩუბინაშვილის 1845 წლის, ალ. ცაგარლის 1883 წლისა და ქართველ მოღვაწეთა (ირ. აბაშიძე, გ. წერეთელი, ა. შანიძე) 1960 წლის სამეცნიერო ექსპედიციებმა საბოლოოდ დაადასტურა ეს. დღეს ჩვენ უკვე ხელთა გვაქვს შოთა რუსთველის იერუსალიმური ფრესკული პორტრეტის ზუსტი ფოტოასლიც.

§3. როგორც ვიცით, სამეცნიერო ლიტერატურაში დიდხანს დავაიყო ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული გამოცემის ხასიათის შესახებ. ზოგიერთი (დ. კარიჭაშვილი, იუსტ. აბულაძე, პ. ინგოროყვა)<sup>21</sup> მას თვლიდა პოემის რომელიღაც ძველი ხელნაწერის ზუსტ ასლად, ამჟამად უცნობ მოკლე ტიპის ხელნაწერის უცვლელ არაკრიტიკულ გამოშვებად. ზოგი კიდევ (მაგალითად, ე. თაყაიშვილი)\* ვახტანგისეულ გამოცემას კრიტიკულ რედაქციად მიიჩნევდა. ა. შანიძისა<sup>22</sup> და ს. ცაიშვილის<sup>23</sup> გამოკვლევებმა საბოლოოდ დაამტკიცეს, რომ ვახტანგისეული ვეფხისტყაოსანი კრიტიკული ხასიათის გამოცემა,

<sup>19</sup> გ. შ ა რ ა ძ ე, ტიმოთე გაბაშვილისათვის მიწერილი ერთი რუსთველოლოგიური ცნობის წყარო, წიგნში: „არქეოგრაფიული ძიებანი“, თბ. 1973, გვ. 86—92.

<sup>20</sup> გ. შ ა რ ა ძ ე, თეიმურაზ ბაგრატიონი, II, თბ., 1974, გვ. 103.

<sup>21</sup> პ. ინგოროყვა, რუსთველიანა, თბ., 1926, გვ. 13, 42; დ. კარიჭაშვილი, ვეფხისტყაოსნის შედგენილობა, ე. „განათლება“, 1913, VI, გვ. 412—424. იუსტ. აბულაძე, ვეფხისტყაოსნის 1914 წლის გამოცემა, გვ. VI, XIII; მისივე, რუსთველოლოგიური ნაშრომები, შემდგ. ი. მ ე გ რ ე ლ ი ძ ე, თბ., 1967, გვ. 70—89;

\* Е. Такашвили, Описание, II, Тиф., 1908, გვ. 581.

<sup>22</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, ვახტანგის დედანი ვეფხისტყაოსნისა, აღდგენილი ვახტანგისეული ვეფხისტყაოსანი, თბ., 1937, გვ. 388—394.

<sup>23</sup> ს. ც ა ი შ ვ ი ლ ი, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია, თბ., 1957.

რომელიც დამყარებულია პოემის სხვადასხვა ხელნაწერთა ურთიერთშეჯერებასა და რედაქტორული სამუშაოების ჩატარებაზე.

სავულისხმოა, რომ ასეთივე აზრის ყოფილა დ. ჩუბინაშვილიც: «До начала XVIII столетия она [Венхис—Ткаосани] существовала только в рукописях. В первый раз она напечатана в 1712 году Царем Вахтангом VI, который запечатлен в Истории Грузинской заведением первой типографии в Тифлисе и особенно начертанием для Грузии законов... При издании П о э м ы Руставели рассмотрены и сличены были многие рукописные экземпляры (1842, № 8, ცალკე ЖМНП, ამონაბეჭდი, გვ. 5—6). უნდა ვივარაუდოთ, რომ დ. ჩუბინაშვილის ამ შეხედულების გავლენითაა ვეფხისტყაოსნის 1841 წლის გამოცემის წინასიტყვაობაში გატარებული აზრი, რომელსაც მ. ბროსე აწერს ხელს: „ვეფხვის-ტყაოსანი პირველ აღიბეჭდა ტფილისს, 1712 წელსა, ვახტანგ VI მეფის ბრძანებითა, მის მიერ გაკეთებულს სტანბაში, მისივე მეფისა წარსაგებელითა და ზედა-მხედველობითა: წიგნი ესე გარყუნილ იყო სხვა და სხვა მწერალთაგან, მისთვის ვახტანგ მეფემა, როგორც პომერის სტიხები პირისტრატოსის მიერ გასინჯულ იყო, ისე გასინჯა და შეამოწმა ძველ კელ-წერილებსა და შემდგომად დაჭბეჭდა“ (გვ. XI—XII).

დ. ჩუბინაშვილი კრიტიკულად ებყრობა ვახტანგ VI-ის კომენტარებს, კერძოდ, ამ კომენტარებში გატარებულ აზრს ვეფხისტყაოსნის მიჯნურობის მისტკურ-ალეგორიული ხასიათის, პოემაში გატარებული სიყვარულის იდეის ქრისტიანული დოგმებით ახსნის შესახებ (შდრ. ვახტანგის „თარგმანი“, 1712 წ. გვ. სებ., სპზ -სპც, სპვ.)<sup>24</sup> და აქვე იძლევა ვახტანგის ასეთი იძულებითი განმარტების მიზეზთა ორიგინალურ ახსნას: «В Типографии, заведенный с такою набожною целью, печатались большей частью книги церковныя и нравоучительныя. Это же направление выразилось и при издании Поэмы Руставеля. Набожному Вахтангу неприятно

<sup>24</sup> შდრ. К. К е к е л и д з е, Отражение восточного суфизма в древнегрузинской поэзии, წიგნში: ეტიუდები, II, თბ., 1945, გვ. 284—285; ს. ც ა ი შ ვ ი ლ ი, რუსთველური მიჯნურობის განმარტება ვახტანგ მეექვსესთან, კრებ. „ძველი ქართული მწერლობის საკითხები“, II, თბ., 1964, გვ. 227—240.

было, что обыкновенные читатели преимущественно обращают внимание в этой Поэме на изображение страстей человеческих, и любят увлекательными картинками любви, которые могут возбуждать в душе помысли нечистые. Поэтому он думал и утверждал, что сия Поэма есть аллегория, вымышленная для назидания людей, что Руставель, как Христианский Поэт и Философ в глазах набожной царицы Тамары, двух Католиков и множества ревнующего о нравственности Духовенства, не осмелился бы написать что либо не имеющее цели нравственной, и что главная цель его была—представить непоколебимую верность супругов, при всех превратностях жизни человеческой и другие Христианския добродетели. Убежденный в этом, он присоединил к изданию Венхис-Ткаосани свои примечания, в которых толкует по своему выражения Автора и сводит их с текстом Священнаго Писания и правилами Евангельского учения. Действительно, нельзя отвергать, что в Поэме Руставели в основании лежит мысль нравственная, и что цель Вахтаंगा в изданных им примечаниях была бы не благонамеренная. Тем не менее, однакожь, справедливо, что объясняя Руставели, Вахтанг вдается в явные натяжки, применяет текст Св. Писания к таким местам, где подлинник совершенно удален от них, — где Автор очевидно думал вовсе не о том; одним словом: странно и даже неприлично было бы выдать в этом создании какую то мистическую Христианскую Поэму» (იქვე, გვ. 7—8).

ამავე ნაშრომში (გვ. 8—9) დ. ჩუბინაშვილი გვაწვდის ფრიად საგულისხმო ცნობებს ვეფხისტყაოსნის 1841 წლის გამოცემის ისტორიისა და ამ გამოცემაში მისი უშუალო მონაწილეობის შესახებ, მაგრამ ამის თაობაზე ცალკე გვექნება საუბარი.

§ 4. ქართული ლექსთწყობის, კერძოდ, ვეფხისტყაოსნის ლექსის საზომის — შაირის შესახებ მსჯელობისას დ. ჩუბინაშვილი, როგორც ეს უკვე შენიშნეს გ. იმედაშვილმა და ა. გაწერელიამ<sup>25</sup>, ავტორის დაუსახელებლად სიტყვასიტყვით იმეორებს ე. ბოლხოვიტინოვის აზრებს. შეეუდართ:


<sup>25</sup> გ. იმედაშვილი, რუსთველოლოგია, თბ., 1941, გვ. 176; ა. გაწერელია, ქართული კლასიკური ლექსი, თბ., 1953, გვ. 60; შდრ. გ. შარაძე, ვეფხისტყაოსნი — პირველი რუსი რუსთველოლოგი, თბ., 1978, გვ. 103—104.

Просодия Грузинской Поэзии вся тощическая, на подобие Греческой и Латинской. Потому, что Грузинский язык изобилюет многосложными словами и ударения имеет разнообразныя. Чаше всех других употребляется в нем метр Пирриходактилический (— — — — —); однакож сродны ему и все прочие метры древней Греческой поэзии. Стихи Грузинские имеют также и цезуру. Лишнее в них пред Греческими то, что к концу их прибирается рифма, как в Европейских языках. Употребленню рифмы научились они от Персиан и по примеру их в письме выставляют на конце строки раздельно даже самыя буквы рифмы. Впрочем новейшие Грузинские стихотворцы иногда пишут рифму и совокупно.

...Первый род, самый древний и употребительнейший, называется Шапри. Он состоит из четверостиший, имеющих на конце каждого стиха одинакую рифму. Метр его есть следующий:



Просодия Грузинской Поэзии вся тощическая, на подобие Греческой и Латинской. Грузинский язык изобилюет, как и Греческий, многосложными словами и имеет разнообразныя ударения. Чаше всех других употребляется метр пирриходактилический (— — — — —); однакож сродны ему и все метры древней Греческой Поэзии. Стихи Грузинские имеют также цезуру. Грузинские стихи отличаются от Греческих тем, что в конце их прибирается рифма, как в новейших Европейских языках. Употребление рифмы Грузии заимствовали, вероятно, у Персов; по примеру их они в письме ставят на конце строки отдельно даже самыя буквы рифмы. Самый употребительнейший род стихов называется Шапри. Он состоит из четверостиший; в конце каждого стиха рифма одинаковая. Этими стихами написана и Вепхис-Ткаосани. Метр его есть



В пример сему вот самая первая строфа из Руставелевской поэмы Вепхისტкаосანი: Для образца выпишем первую строфу этой Поэмы:  
 Ромелман шекмна самка-  
 ро...»<sup>26</sup> Ромелман шекмна самка-  
 ро...»<sup>27</sup>

როგორც ვხედავთ, დამთხვევა აბსოლუტურია! მაშასადამე, დ. ჩუ-  
 ბინაშვილი იზიარებდა თავისი მეცნიერული მოღვაწეობის პირველ  
 წლებში კერძოდ, 1842 წელს, ე. ბოლხოვიტინოვის თეორიას ქართული  
 ლექსის სილაბურ-ტონურობის შესახებ. თუმცა მან შემდეგში, ეტ-  
 ყობა თავისი მასწავლებლის თეიმურაზ ბაგრატიონის გავლენით, ვის-  
 თვისაც ქართული ლექსის ამოსავალი პრინციპი ძირითადად სილაბი-  
 ზმზეა დამყარებულა<sup>28</sup>, შეხედულება შეიცვალა: ამ ნაშრომის 1846  
 წელს გამოქვეყნებულ ვარიანტში მას ეს ადგილი მთლიანად ამოუ-  
 ღია<sup>29</sup>, ხოლო თავის უფრო გვიანდელ შრომებში, ა. გაწერელიას სიტ-  
 ყებით რომ ვთქვათ, „ის კატეგორიულად უარყოფდა ქართული ლექ-  
 სის ტონურობას და საერთოდ მახვილის როლს ჩვენს პროსოდიაში.  
 ე. ბოლხოვიტინოვის შეხედულება მას, ალბათ, იმთავითვე არ მიაჩ-  
 ნდა უდავო დებულებად, რადგან... სხვა ადგილას ვხვდებით ფრაზას,  
 რომელიც ქართული ვერსიფიკაციის საკითხებში აბსოლუტურად მიუ-  
 ლებელი შეხედულების მტკიცებას შეიცავს: «...многие стихи хотя  
 имеют надлежащую меру и ритму, но могут назваться прозою».  
 მსგავსი რამ კი შეიძლება აზრად მოსვლოდა მკვლევარს, რომელიც  
 ვეფხისტყაოსანში (და საზოგადოდ ქართულ ლექსში) მახვილის როლს  
 ვერ ამჩნევდა... მის გრამატიკულ შრომებში (იგულისხმე: «Крат-  
 кая грузинская грамматика», СПб, 1855, გვ. 73—74; „ქართული  
 ლრამპატიკა“, დართული აქვს „ქართულ-რუსულ ლექსიკონს“, სპბ.,  
 1887, გვ. XXVIII.—გ. შ.) კვალიც არა ჩანს ბოლხოვიტინოვის მოსა-  
 ზრებებისა, რომელიც მან მექანიკურად გაიმეორა ვეფხისტყაოსნის

<sup>26</sup> Е. Болхо в и т н о в, Историческое изображение Грузии..., СПб., 1902, გვ. 88. 90. იხ. წიგნში: გ. შ ა რ ა ძ ე, ევკენი ბოლხოვიტინოვი—  
 პირველი რუსი რუსთველოლოგი, თბ., 1978.

<sup>27</sup> Д. Ч у б н и о в, О грузинской поэме... ЖМНП, 1842, № 8, ცალ-  
 კე ამონაბეჭდი, გვ. 9—10.


<sup>28</sup> იხ. გ. შ ა რ ა ძ ე, თეიმურაზ ბაგრატიონი, II, თბ., 1974, გვ. 136.

<sup>29</sup> შდრ. ქართული ქრისტომატია, II, სპბ., 1846, გვ. V.

შესახებ დაწერილ სტატიაში... დ. ჩუბინაშვილის აზრით, ქართული ლექსთწყობა სილაბური სისტემისაა და ენათესავება სპარსულს. არც ერთი მოსაზრება არაა მართალი“<sup>30</sup>.

მაშასადამე, დ. ჩუბინაშვილმა საბოლოოდ ე. ბოლხოვიტინოვი-საგან სრულიად საპირისპირო პოზიცია დაიჭირა და ქართული ლექსი მხოლოდ სილაბური ბუნების ლექსთა წრეში მოაქცია. 1853 წლის 5 აგვისტოს დაწერილ ერთ შრომაში დ. ჩუბინაშვილი პირდაპირ წერდა:

«Что касается до Просодии Грузинских стихов, то в оправдание должен сказать: Грузинские стихи, как Французские, Итальянские и т. д. суть силлабические. В силлабических стихах все слоги признаются равномерными, следовательно, [метр этот] не знает различия между долгими и короткими слогами, у него все они долги и коротки, не как в древних классических стихах, т. е. не имеет метрического разнообразия, а метр в нем есть... Посему говорить о долгих и коротких слогах и ударениях нет никакой нужды... Чтобы убедиться в том, приведем пример из Барсовой кожи, ст. 3е:



Где же тут строго соблюдаемый греками, метр?

... Грузинские стихи суть силлабические, а не метрические, т. е. не имеют основаннем, строго соблюдаемый греками, метр, и ни тонические, потому что ударения не играют главную роль, как в стихах Русских, имеющих по сему главным основаннем ударения, а не равное количество слогов»<sup>31</sup>.

<sup>30</sup> ა. გაწერელია, ქართული კლასიკური ლექსი, თბ., 1953, გვ. 60, 72—73.

<sup>31</sup> იხ. А. Ц а г а р е л и, Сведения, вып. III, СПб, 1894, с. 94—95.



ა. გაწერელის შეფასებით, დ. ჩუბინაშვილი აქ „ვერ ამჩნევდა ქართული მახვილის სპეციფიკურ თვისებებს, თანაც სილაბურ-ტონური ლექსთწყობის კანონები ძალზე მარტივად ჰქონდა წარმოდგენილი... დ. ჩუბინაშვილს მოჰყავს ტაეპები იზოლირებულად, განსაკუთრებით ისეთნი, რომელთაც სუფთა საზომი არ გააჩნიათ... მის მიერ შენიშნული მოვლენა განეკუთვნება რ ი ტ მ ი ს ა და არა მ ე ტ რ უ ლ ი ს ქ ე მ ი ს სფეროს. კიდევ ერთი შენიშვნა: თვითონ დ. ჩუბინაშვილის სქემები ზუსტად ვერ გამოხატავენ შესაბამისი ტაეპების მახვილების რიგს“<sup>32</sup>.

წ5. ვეფხისტყაოსნის იდეურ-მხატვრული ანალიზისას, დ. ჩუბინაშვილმა, სწორი მეთოდოლოგიური პრინციპით, მკვეთრად დააყენა რუსთველის პოემა დასავლეთისა და აღმოსავლეთის კულტურათა მიჯნაზე. თუ ერთის მხრით, ვეფხისტყაოსნის ბევრი ადგილი ებრაელთა საღვთო პოეზიას, ჰომეროსსა და დასავლეთ ევროპის მწერლებს გვაჯობებს, ხოლო ფილოსოფოსთა სახელების ზოგჯერ პირდაპირი, ზოგჯერ კი შეფარვით დამოწმება პოეტის კლასიკური ლიტერატურის ცოდნას აშედეგებს, მეორეს მხრით, ნაწარმოების ენა, მხატვრული ქსოვილი — გადაქარბებული ენებები, ჰიპერბოლური გამოთქმები, ევროპელთათვის უცხო ეპითეტები ყოველ ფეხის ნაბიჯზე აღმოსავლურია და უმეტესწილად ჩამოჰგავს „ათას ერთი ღამის“ მოთხრობებს:

«Разсматривая Поэму Руставели, мы находим с одной стороны многия места, напоминающия нам Священную Поэзию Евреев, Гомера и Писателей Западных, а Философы, называемые собственными именами или скрытия под намеками, кой не трудно угадать, показывают в Авторе знание классической Литературы; с другой стороны, рассматривая язык Поэмы Руставеля, находим в ней на каждом шагу черты сходства с Литературою Восточною, и преимущественно с рассказами «Тысячи и одной ночи». То же преувеличение страстей, те же гиперболическия выражения. Герой Руставеля, как и все герои Восточные, в горести посыпает прах на свою голову; так же бриллиант блещет во мраке, соловей чарует дубравы. Те же эпитеты, странные для воображения Европейца. Солнце, Луна,

<sup>32</sup> ა. გაწერელია, დას. ნაშრ., გვ. 74—75.

„ღევ იგრაიოთ როლ მდოსმენნი. ი ნე პო ოდნი ვნეშნოსი სოდს-  
ტუეოთ პოემა რუსთაველი ს რომანოთ ვოსოჩნოთ, ნო ი პო ვნუ-  
ტრენოთ სვოეოთ სოსოთო. (ჟმნიპ, 1842, № 8, ცალკე ამონებეკი,  
გვ. 10—11).

ასეთო გარეგნულმა და შინაგანმა მსგავსებებმა აღმოსავლურ  
რომანებთან, ზოგიერთს აფიქრებინაო, განაგრძობს დ. ჩუბინაშ-  
ვილი, რომ ვეფხისტყაოსნის სიუჟეტი, კერძოდ, ტარიელას ისტორია  
მოგონილი და შექმნილია არა თვით რუსთველის მიერ, არამედ ნასე-  
სხებია აღმოსავლეთიდან. თარგმნილია არაბულიდან ან სპარსული-  
დან. ამ შეხედულების გავრცელებას ხელი შეუწყო თვით რუსთველის  
სიტყვებმა:

„ესე ამბავი სპარსული ქართულად ნათარგმანები,  
ვით მარგალიტი ობოლი ხელისხელ საგოგმანები  
პოვე და ლექსად გარდავთქვი, საქმე ვქმენ საქოქმანები...“  
(1841 წლის გამოცემა, სტროფი ივ).

დ. ჩუბინაშვილი ორიგინალურ ახსნას უძებნის ამ სიტყვებს.  
მისი აზრით, რუსთველს ამით სურდა მეტი ფასი მიეცა თავისი პოე-  
მისთვის, რადგან ცნობილია, რომ უცხო უფრო მეტად ფასობს სა-  
კუთარზეო; ერთი სიტყვით. დ. ჩუბინაშვილი მიგვანიშნებს სიუჟე-  
ტის გაუცხოურების, სიუჟეტური შენიღბვის ხერხზე: «Это сход-  
ство до того поражает читателя, что некоторые полагали, будто  
главное содержание Вепхис-Ткаосани—история Тариеля соз-  
дана не Руставелем, а заимствована им с Востока, переведена  
с Арабского или Персидского. Сам Руставель говорит, что  
Тариель этот таинственный перл, как он выражается, найден  
им в Персии, что он полагал в нем необыкновенную цену, снял  
с него Персидскую оболочку и отделал его по вкусу своего на-  
рода. Не трудно угадать, что Руставель хотел придать более  
цену своей Поэме: ибо известно, что чужеземное часто ценится  
гораздо дороже своего» (იქვე, გვ. 11).

დ. ჩუბინაშვილი მკვეთრად ემიჯნება ვეფხისტყაოსნის სიუ-  
ჟეტის ნასესხობის თეორიას და მტკიცედ დგება თავისი დიდი წინა-  
მორბედების ვახტანგ VI-ისა<sup>33</sup> და თეიმურაზ ბაგრატიონის<sup>34</sup>, აგრეთ-

<sup>33</sup> ვ ა ხ ტ ა ნ გ VI, ვეფხისტყაოსნის 1712 წლის გამოცემა, გვ. სჟა. სეე,  
სეე.

<sup>34</sup> თ ე ი მ უ რ ა ზ ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, განმარტება პოემა ვეფხისტყა-  
ოსნისა, გ. იმედაშვილას რედ., თბ., 1960, გვ. 290, 292—293; მ ი ს ი ე ვ ე, კა-  
ტალოგა, ს. იორდანიშვილის რედ., თბ., 1948, გვ. 38.

ვე, მ. ბროსეს (ამის შესახებ ქვემოთ) პოზიციაზე, რომლებიც აღიარებდნენ. რუსთველის პოემის ამბის ორიგინალურობას: «Мы со своей стороны, заметили, что История Тариеля не находится ни в Индии, ни в Персии. Первый издатель Вепхис-Ткаосани, Царь Вахтанг, живший довольно долго в Персии, знавший язык и Литературу ея и переводивший многия Персидския книги, свидетельствует, что в Персии нигде не нашел он повести о Тариеле» (იქვე, გვ. 11).

უარყოფს რა ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის ნასესხობას, დ. ჩუბინაშვილი იქვე დასძენს, რომ პოემა აღმოსავლურ რომანთა მიმსგავსებით არის შექმნილი. ამას ამჟღავნებს პოემის გმირთა უმეტესი ნაწილის სახელთა სპარსული და არაბული მნიშვნელობა, თუმც მთავარ გმირთა სახელები ქართულია:

«Но, отвергая заимствование этой Поэмы от Восточных Писателей, можно согласиться, что она составлена по образцам Восточных. Имена героев ея большею частью имеют значение на языках Персидском и Арабском, как напр., Ростеван, Рамаз, Саридан, Фатма, Парсадан, и другия; имена же главных героев: Тариель, Автандил, Тинатин суть Грузинския» (იქვე, გვ. 11).

მაშ, რით უნდა აიხსნას რუსთველის გმირთა მოქმედების უცხო გეოგრაფიული გარემო, თუკი პოემის სიუჟეტი ორიგინალურია, ქართულია? დ. ჩუბინაშვილი ამ კითხვას ასე პასუხობს:

«Относительно места действия своих героев Руставель дозволяет себе такую же волность, как и все Поэты и рассказчики Восточные. Всем известно, каков ход Восточных повестей. Они редко согласуются с Географией, и то разве тогда только, когда действуют историческия лица. Писатели Восточные обыкновенно отправляют героев своих Поэм искать приключений в странах отдаленных, которыя обозначают они совершенно произвольно и украшают всеми богатствами Природы, или превращают в дикия пустыни: ибо они уверены, что читатели не будут поверять их описаний. Руставель поступает точно также, и трудно начертать верную карту его Поэмы, главное действие которой происходит в Индии» (იქვე, გვ. 11—12).

ამ ერთადერთი დამაბრკოლებელი არგუმენტის ამგვარად მოხსნის შემდეგ, დ. ჩუბინაშვილი უკვე მთელი კატეგორიულობით აცხადებს:

«По нашему мнению, Руставель не заимствовал сюжета своей Поэмы у Писателей Восточных: она создана им самим, и как заметили выше, направлена к прославлению Великой Царницы Тамары» (იქვე გვ. 12).

და აი, დ. ჩუბინაშვილი მიადგა თავის ცნობილ თეორიას — საქართველოს ისტორიიდან ცალკეული ისტორიული ანალოგიების დადების საფუძველზე ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის ალეგორიად მიჩნევას და პოემის ისტორიულ-ნაციონალურ ინტერპრეტაციას, რომელსაც, როგორც ვიცით, ადრე მ. ბროსემ<sup>35</sup> (დამოუკიდებლად თუ დ. ჩუბინაშვილთან ერთად) ჩაუყარა საფუძველი:

«Действительно, сравнивая жизнь Царницы с событиями, описываемыми в Поэме, находим разительные черты сходства, которые подают повод думать, что под именем главной героини Нестан-Дареджан скрывается сама Тамарь. Укажем некоторые пункты этого сходства: Нестан-Дареджан была единственною дочерью Индийского Царя Парсадана точно так же, как Тамарь была единственною дочерью Царя Георгия III. Воспитание Нестан-Дареджани Парсадан поручил своей сестре Давари, воспитание Тамары поручено было Георгием III сестре его Русудани, которая была в супружестве за Осетинским князем; она воспитывала ее вместе с своим родственником по муже, Давидом Сосланом точно так же, как и Нестан Дареджан с Тариелом. Следствием совокупнаго воспитания Нестани и Тариеля была взаимная любовь их; так, вероятно, и Тамарь по той же причине была привязана с малолетства к Давиду Сослану, хотя Грузинския летописи ни слова не говорят о том, и хотя первым супругом Тамары, как мы упомянули выше, был Русский Князь. Не эта ли привязанность к Сослану была причиною расторжения брака с храбрым сыном Андрея Боголюбского,

<sup>35</sup> შტრ. M. Brosset, Recherches sur la poésie géorgienne, NJAs., V, Paris, 1833, p. 372; M. Brosse, Взгляд на историю и литературу Грузии, ЖМНП, VIII, СПб, 1838, с. 310; [2]. ბ რ ო ს ე ტ. წინა-სიტყვაობა ვტ-ის 1841 წლის გამოცემისათვის, სპბ., 1841, გვ. IX.

который был заключен по неизвестным нам расчетам политическим. Далее, рассматривая содержание самой Поэмы, мы увидим, что Парсадан, по видам Государственным, хотел выдать свою дочь за могущественного Шаха Хоразмийского, и что Нестан воспротивилась этому плану; если верить Летописцам Грузинским, то Шах Хоразмийский искал также руки Царицы Тамары, и получил такой-же отказ, как предшественник его от Нестан, хотя не подвергался такой ужасной участи, какая постигла Хоразмийского Шаха в Поэме Руставеля.

Кроме сего сходства в истории Тариеля и Нестан-Дареджани с историею Тамары, есть также отчасти сходство относительно места действия Поэмы. Мы сказали, что главное место действия поэмы — Индия. Руставель разделяет ее на семь Царств. Я имел случай видеть древнейшия Грузинския грамоты, в которых Цари Грузинские величают себя Царями семи Царств. Известный Историк Грузинский Вахушти подтверждает это. Действительно, отец Тамары Георгий III, подобно Парсадану, владел семью Царствами. Вот имена их: Абхазское, Геретское, Саатабагское, Карталинское, Кахетинское и Ранское. Сюда же можно причислить и Царство Осетинское, где господствовала отрасль властвовавшей в Грузии Династии Багратинов. Упоминаемая в Поэме крепость Каджга-Цихе, в коей заключена была Нестан-Дареджан, по картам Грузинским, находится в Имеретии(!), в Ахалцихской Области» (იქვე, გვ. 12—14).

როგორც უკვე ვუკ. ბერიძემაც შენიშნა<sup>36</sup>, დ. ჩუბინაშვილის მოსაზრებას ბევრი მხარდამჭერი და დამცველიც გამოუჩნდა, როგორც ძველად (ს. ბარათაშვილი<sup>37</sup>, გ. იოსელიანი<sup>38</sup>, ნ. გულაკი<sup>39</sup>, დ. ბაქრა-

---

<sup>36</sup> შდრ. ვუკ. ბერიძე, დავით ჩუბინაშვილი, წიგნში; რუსთველოლოგიური ეტიუდები, თბ., 1961, გვ. 18—19.

<sup>37</sup> С. Б а р а т о в, История Грузии. СПб., 1871, IV—V, გვ. 94—96.

<sup>38</sup> Г. И о с е л и а н и, Барсова кожа, «Кавказ», 1875, № 31, 33,

78.

<sup>39</sup> Н. Г у л а к, О «Барсовой коже» Руставели, Тифл., 1884, გვ. 4.

ბე<sup>40</sup>, ე. სტალინსკი<sup>41</sup>, მ. ჯანაშვილი<sup>42</sup>, ს. ქვარიანი<sup>43</sup>, ა. წერეთელი<sup>44</sup>, ვაჟა-ფშაველა<sup>45</sup>, ნაწილობრივ, თვით ნ. მარიც<sup>46</sup>), ისე ჩვენს დროში (პ. ინგოროყვა<sup>47</sup>, კ. ჭიქინაძე<sup>48</sup>, დ. ბენაშვილი<sup>49</sup>, დ. ქუმსიშვილი<sup>50</sup>), ხოლო უკიდურეს გაყალბებამდე მიიყვანა დ. დანდუროვმა<sup>51</sup>.

უკვე კ. კეკელიძემ შენიშნა, რომ დ. ჩუბინაშვილის მიერ „აქ მოყვანილი ანალოგიები ზოგი ისტორიულად არ მართლდება, ზოგი შემთხვევითი ხასიათისაა“<sup>52</sup>, ხოლო ალ. ბარამიძის დასკვნით, „ჩვენ ვერ გავიზარებთ ვეფხისტყაოსნის ალეგორიული ინტერპრეტაციის თვალსაზრისს. ვეფხისტყაოსნის ამბისა და პერსონაჟების მოხმობილი ანალოგიები და პარალელები საქართველოს ისტორიული სინამდვილიდან ზოგჯერ შემთხვევით ხასიათს ატარებს და ნებისმიერია“, თუმცა, მისივე სიტყვებით, „ამისდა მიუხედავად, ჩვენთვის უდავოა, რომ რუსთველის პოემაში გარკვეული ასოციაციებით ნამდვილად

<sup>40</sup> იხ. დ. ბ ა ქ რ ა ძ ი ს რედაქციით გამოცემული ვახუშტის „საქართველოს ისტორია“, I, 1885, გვ. 218—219, შწმ.

<sup>41</sup> Е. С т а л и н с к и й, Шота Руставели — грузинский народный поэт, Тифл., 1886, გვ. 11—13.

<sup>42</sup> მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ნაშრომი, 3, 1910, გვ. 32—33.

<sup>43</sup> ს. ქ ვ ა რ ი ა ნ ი, შოთა რუსთაველი და მისი პოემა, ქუთაისი, 1914.

<sup>44</sup> ა. წ ე რ ე თ ე ლ ი, სამი ლექცია ვეფხისტყაოსანზე, „კრებული“, 1898, V—VI, განყ. I.

<sup>45</sup> ვ ა ჯ ა ფ შ ა ვ ე ლ ა, ფიქრები ვეფხისტყაოსნის შესახებ, ახზულე-ბანი, VII, თბ., 1956, გვ. 315—330.

<sup>46</sup> Н. Я. М а р р, Древнегрузинские одописцы, ТР., IV, СПб., 1902, გვ. 55—56.

<sup>47</sup> პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, თხზულებათა კრებული, I თბ., 1960, გვ. 200-შმდ.

<sup>48</sup> შდრ. ვუკ. ბ ე რ ი ძ ე, დას. ნაშრომი, გვ. 19.

<sup>49</sup> დ. ბ ე ნ ა შ ვ ი ლ ი, სახისა და ხასიათის პრობლემა ვტ-ში, თბ. 1954.

<sup>50</sup> დ. ქ უ მ ს ი შ ვ ი ლ ი, რუსთველის პოეტური ხელოვნების ზოგად-ერთი საკითხი, თბ., 1968.

<sup>51</sup> Д. Л а н д у р о в, Шота Руставели, М., 1937; მ-ს შესახებ იხ. К. Дондуа, Чудовищная безграмотности, «Известия», 23. XII. 1937 г.; კ. დ ო ნ დ უ ა, საშინელი უმეცრება, „მნათობი“, 1938, № 1.

<sup>52</sup> კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ. 1958, გვ. 170—171; უფრო დაწვრილებით იხ. მ ი ს ი ე ე, რუსთველოლოგიური ეტიუდები, წიგნში: ეტიუდები, IV, თბ., 1957, გვ. 1—10; იხ. აგრეთვე, ვ. დ ო ნ დ უ ა, თამარ მეფის და რუსულდანი, ენციკის მოამბე, V—VI, თბ., 1940, გვ. 321—328.

აღბეჭდილია მე-12 საუკუნის საქართველოს სწორედ კონკრეტულ-ისტორიული სინამდვილის ნიშანდობლივი მოვლენები და ცალკეული ფაქტებიც. ზოგი რამ ამ მხრით სრულიად გამჭვირვალეა<sup>53</sup>. უნდა დავეთანხმოთ ლ. მენაბდის შეფასებას: „რაოდენ საკამათო და საცილობელი არ უნდა იყოს დ. ჩუბინაშვილის ზოგიერთი დაკვირვება, მაინც უნდა ვაღიაროთ, რომ ზეცნიერის კონცეფციამ თავის დროზე უაღრესად დადებითი როლი შეასრულა ქართველთა შორის ეროვნული გრძნობის გაღვივების საქმეში. ნაწილობრივ მისი გავლენით აიხსნება ის ფაქტი, რომ ვეფხისტყაოსნის ბევრი მკითხველი და დამფასებელი დაბეჭდვით იცავდა და ამტკიცებდა პოემის ორიგინალობას, მიიჩნევდა მას ქართველი ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრების ანარეკლად. დ. ჩუბინაშვილის რუსთველოლოგიურ ნააზრევს. რასაკვირველია, უმეტესად ისტორიული მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მკვლევარის ზოგიერთი დაკვირვება და დასკვნა ახლაც ანგარიშგასაწევეა“<sup>54</sup>. ჯ. ჭუმბურიძის სიტყვებით კი, „დ. ჩუბინაშვილის მსჯელობაში ყველაზე მნიშვნელოვანია ვეფხისტყაოსანში ქართული სინამდვილის დანახვა, პოემის მიჩნევა „ისტორიულ-ნაციონალური ხასიათის მქონე ალეგორიულ ნაწარმოებად“. ამ მხრივ, მან, თეიმურაზ ბატონიშვილთან და ბროსესთან ერთად, დიდი ნაბიჯი გადადგა წინ არჩილთან და მის თანამოაზრეებთან შედარებით, რომლებიც ვეფხისტყაოსანში უპირატესად უცხოურსა და „ნაჰორს“ ხედავდნენ. მაგრამ უნდა ითქვას ისიც, რომ დ. ჩუბინაშვილის ამ მსჯელობას მაინც აკლია თეიმურაზ ბატონიშვილის გააზრების სიღრმე; მისთვის ნაციონალური მწერლობის ხასიათი, კერძოდ კი ვეფხისტყაოსნის ეროვნულობა, როგორც ჩანს, უმთავრესად გულისხმობს ისტორიულად მომხდარი ამბების მხატვრულად ასახვას<sup>55</sup>“.

საგულისხმოა, რომ თუ 1842 წელს დ. ჩუბინაშვილი შეუძლებლად თვლიდა რუსთველის პოემის შედარებას ჰომეროსთან და ევროპული ლიტერატურის სხვა კლასიკოსებთან («Нельзя сравнивать эту Поэму с Поэмами Гомера, Виргилия, Тасса и другими вековыми

<sup>53</sup> ა. ლ. ბ. ა. მ. ი. ძ. ე. შოთა რუსთველი, თბ., 1975, გვ. 68 შმდ.

<sup>54</sup> ლ. მ. ე. ნ. ა. ბ. დ. ე. ვეფხისტყაოსანი და საქართველოს ეროვნულ-გამათვისებელი მოძრაობის მოღვაწენი, თბ., 1967, გვ. 29.

<sup>55</sup> ჯ. ჭ. უ. მ. ბ. უ. რ. ი. ძ. ე. ქართული კრიტიკის ისტორია, I, (მეორე გამოცემა), თბ., 1974, გვ. 91—92.

«созданиями. Руставель жил не в Европе, не Европейские образцы имел он пред глазами, и язык и ход его Поэмы могут показаться странными Европейцу, коротко знакомому с Литературой классической» — იხ. ჯმნპ, 1842, № 8), 1846 წელს უკვე რუსთველს გენოსად აღიარებს, ხოლო ვეფხისტყაოსანს პირდაპირ უწოდებს «Заказказская Иллиада»-ს და დასძენს: «...такой труд, говорю я, не только у народа, но даже у народов, повторяется не скоро... Немного гениев переживают такую будущность, особенно гениев-поэтов! («Кавказ», 1846, № 27). აქ იგი ერთგვარად ეხმაურება და აღრმავებს მის მიერ ადრე გამოთქმულ შეხედულებას: «Поэма Руставели. ... сделалась народною Поэмою Грузинов. Одно уже это обстоятельство служит доказательством, что она имеет высокое достоинство поэтическое. Произведение ничтожное не могло бы доставлять удовольствия нескольким поколениям, в течение целых шести веков» (ჯმნპ, 1842, № 8).

აქვე აღსანიშნავია პ. ბერკოვის დაკვირვებამის თაობაზე, რომ დ. ჩუბინაშვილის მიერ წამოყენებული დებულება რუსთველის ხალხურობის შესახებ უნდა აიხსნას ბ. ბელინსკის შეხედულებათა გავლენით: «Читая это место статьи Чубиннова, нельзя не вспомнить что в те годы, когда писалась она, развивалась критическая деятельность Белинского, его проповедь народности искусства и борьбы с какой бы то ни было мистикой в поэзии. Едва ли не под влиянием Белинского писал Чубиннов свою первую работу о Руставели»<sup>56</sup>.

შეიძლება რამდენადმე გადაჭარბებული იყოს პ. ბერკოვის კატეგორიული მტკიცება დ. ჩუბინაშვილზე დიდი რუსი კრიტიკოსის შეხედულებათა ასეთი გამჭვირვალე გავლენის შესახებ (ჩვენ მაინც გვგონია, რომ ეს დებულება ახალგაზრდა ქართველ მეცნიერს უკარნახა ქართულმა ეროვნულმა სინამდვილემ და წინამორბედ რუსთველოლოგთა შრომებმა!), მაგრამ უყოყმანოდ უნდა დავეთანხმოთ პ. ბერკოვს შემდეგ დასკვნას: «Таким образом, по своим установкам и содержанию статья Чубиннова представляла безусловно важный шаг в изучении Руставели и в ознакомлении с ним русского читателя»<sup>57</sup>.

<sup>56</sup> П. Берков, დას. ნაშრ., გვ. 268.

<sup>57</sup> იქვე.



დავით ჩუბინაშვილმა რუსთველოლოგიური კვლევა-ძიება ვეფხისტყაოსნის ტექსტის მეცნიერული შესწავლით დაიწყო. იგი მონაწილეობდა პოემის მეორე ბეჭდურ გამოცემაში, რომელიც 1841 წელს განხორციელდა სანკტ-პეტერბურგში და ვახტანგისეული 1712 წლის გამოცემის შემდეგ ახალ ეტაპს წარმოადგენდა ვეფხისტყაოსნის ტექსტის მეცნიერულ-კრიტიკულად დადგენის საქმეში.

მანამდე კი, როგორც უკანასკნელ ხანს გახდა ცნობილი, ჯერ კიდევ 1826 წელს პეტერბურგში განუზრახავთ ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის ხელახლა გამოცემა, რომლის ინიციატორიც თეიმურაზ ბაგრატიონი ჩანს. ცენზურაში ამ საქმის მოგვარება მიუზღვიათ სააზიო დეპარტამენტის თარჯიმნისათვის — ნიკო ჩუბინაშვილისათვის, რომელთანაც ცხოვრობდა და იზრდებოდა პატარა დავითი. მართალია, საბოლოოდ ეს წამოწყება ჩაიშალა<sup>1</sup>, მაგრამ მომავალი მეცნიერის სულში, უეჭველია, ის თავის კვალს მაინც დატოვებდა.

ამასთან, მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ როგორც ეს ვ. შადურმა გამოარკვეა, „ჯერ კიდევ 1827 წელს ჟურნალ „ასიატსკი ვესტნიკის“ მისის ნომერში დაიბეჭდა ვრცელი წერილი სათაურით «Барсова Кожа (Вепхисткаосани) Грузинская поэма, сочиненная Шотою Руставели» და მისი ვარაუდით, ვეფხისტყაოსანზე ამ პირველი რუსული სტატიის ავტორი სწორედ ნიკო ჩუბინაშვილი უნდა იყოს<sup>2</sup>. ერთი სიტყვით, დავით ჩუბინაშვილი თავიდანვე ვეფხისტყაოსნის შესწავლისა და კვლევა-ძიების ატმოსფეროში იზრდებოდა, რაპაც გარკვეულად განაპირობა კიდევ მისი მომავალი მეცნიერული მუშაობა.

მართლაც, თეიმურაზ ბაგრატიონი და მარი ბროსე პეტერბურგ-

---

<sup>1</sup> ამის შესახებ იხ. ს. ყუბანეიშვილი. ვეფხისტყაოსნის ბეჭდვის ისტორიიდან. თბ., 1966, გვ. 36—42; ო. ურიდია, ვეფხისტყაოსნის მეორე გამოცემასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის დაზუსტებისათვის, მატენე, 1976, № 4 გვ. 23—40.

<sup>2</sup> ვ. შადური, პირველი რუსული სტატია რუსთაველზე, „ლიტ. საქართველო“, 25. III. 1966, № 13; მ. ი. ივ. ე, Что знала о Руставели Россия пушкинского времени?, კრებ., „თსუ შოთა რუსთველს“, თბ. 1966, გვ. 421—425.

ში, გასული საუკუნის 30-იანი წლების მიწურულს ვეფხისტყაოსნის მეორე ბექდური გამოცემის სამზადისს რომ შეუდგნენ, საგამომცემლო კომისიაში სათანამშრომლოდ მათ მიიწვიეს სრულიად ახალგაზრდა მეცნიერი დავით ჩუბინაშვილი, რომელსაც პეტერბურგის უნივერსიტეტი ახალდამთავრებული ჰქონდა. კომისიაში შედიოდა აგრეთვე ზ. ფალავანიშვილი. შედგა და დაიბეჭდა გამოცემის „პროღრაზა“<sup>3</sup>, ხოლო რამდენიმე ხნის დაძაბული მეცნიერული მუშაობის შედეგად 1841 წელს უკვე ხორცი შეესხა კიდევ ამ საშვილიშვილო საქმეს. გამოცემას აწერია: „ვეფხვის-ტყაოსანი, რუსულად Барцова Книга, პოემა დაწერილი შოთათა რუსთველის მიერ. ახლად დაბეჭდილი შეერთებულითა ღვაწლითა უფალთა ბროსეტ, ზაქარია ფალავანიშვილისა და დავით ჩუბინოვისათა. სენკტ-პეტერბურლს-სტანბაში საკელმწიფო აკადემიისა მეცნიერებათა 1841“, ხოლო მომდევნო ფურცელზე დაბეჭდილია მიძღვნა: „მათს უგანათლებულესობას ბატონი-შულა თაიმურაზს, საქართველოს მეფის გიორგის ძეს, უმდაბლესის პატივის-ცემისა, გულითადის მადლობისა, სამარადისო ერთგულებისა ნიშნად შევსწირეთ დამბეჭდველნი ბროსეტ. ზაქ. ფალავანიშვილი, დ. ჩუბინოვი“.

მაინც რა სიახლეს შეიცავდა ვეფხისტყაოსნის 1841 წლის განოცემა პოემის პირველ 1712 წლის ვახტანგისეულ ბექდურ გამოცემასთან შედარებით?

პირველ რიგში, აღსანიშნავია რედაქციული თავისებურება — პოემის სტროფული შედგენილობის გაზრდა: თუ ადრე ვახტანგისეული გამოცემა 1587 სტროფს ითვლიდა, 1841 წლის გამოცემა გაზრდილ იქნა 50 ახალი სტროფით (ე. ი. მასში პოემა წარმოდგენილია 1637 სტროფით). აქედან 4 სტროფი თეიმურაზ ბაგრატიონის მითითებით არის შეტანილი<sup>4</sup>, ხოლო დანარჩენი 46 შერჩეულია პ. ქებაძის მიერ რედაქციისათვის მიწოდებული 52 სტროფიდან (იხ.

<sup>3</sup> ი. მ ე გ რ ე ლ ი ძ ე. ვეფხისტყაოსნის მეორე გამოცემის პროგრამა, „ლიტ. საქართველო“, 1965, № 34, 29. VIII; მ ი ს ი ე ე, Из истории русско-грузинской литературы, «Лит. Грузия», 1964, № 12, გვ. 69—70.

<sup>4</sup> გ. შ ა რ ა ძ ე. თეიმურაზ ბაგრატიონის ერთი გამოუქვეყნებელი რუსთველოლოგიური ნაშრომი, კრებ. „შოთა რუსთველი“, თბ., 1966, გვ. 405—510; მ ი ს ი ე ე, თეიმურაზ ბაგრატიონი და ვეფხისტყაოსნის 1841 წლის გამოცემა, კრებ. „თბილისის უნივერსიტეტი შოთა რუსთველს“, თბ., 1966, გვ. 270—276.

ვეფხისტყაოსნის ლენინგრადული ხელნაწერი — M=48 აგრეთვე პ. ქებაძის შიერ ცალკე გადაწერილი ეს 52 სტროფი — იქვე, k — 1; თავის მხრივ, პ. ქებაძეს ტექსტში ჩასამატებლად გამიზნული ზემოაღნიშნული 52 სტროფი, როგორც გაირკვა, გადმოუწერია პოემის ვახტანგამდელი ძველი რედაქციის შემცველ w—27 ნუსხიდან, რომელიც დღეს ოქსფორდში ინახება<sup>5</sup>.

გარდა ამ და სხვა სახის რედაქციულ-ტექსტოლოგიური სიახლეებისა, გამოცემას წინ უძღოდა „წინა-სიტყვაობა“ (გვ. VII—XIV), რომელიც ამგვარადაა დათარიღებული და ხელმოწერილი: „აგვისტოს 15 1841 წელსა. ბროსეტ“. პოემის ტექსტს (გვ. 1—223) დართული აქვს 9-სტროფიანი ლექსი—ანდერძი (გვ. 223—242), რომლის ავტორად გამოყვანილია „მე გვარტომობით ჭრანცუცი, ბროსეტ მზრუნველ ქართველთ ენისა“, ხოლო 225—238 გვერდები უჭირავს „მცირე ლექსიკონს“, რომელშიაც განმარტებულია ვეფხისტყაოსნის ძნელად გასაგები 535 სიტყვა.

დღეს უკვე დადგენილია ვეფხისტყაოსნის 1841 წლის გამოცემაში თეიმურაზ ბაგრატიონის ღვაწლი: „იგი გვევლინება ამ გამოცემის როგორც თაოსანი, გამოცემის წინასიტყვაობის თანაავტორი თუ მთავარი კონსულტანტი, აგრეთვე, გამოცემული ტექსტის ერთერთი დამდგენი“<sup>6</sup>. ამას გარდა, დოკუმენტურად გამოირკვა, რომ ბროსეს სახელით გამოცემისათვის დართული ლექს—ანდერძიც თურმე თეიმურაზ ბაგრატიონის დაწერილი ყოფილა<sup>7</sup>.

ახლა საინტერესოა, თუ რა წვლილი მიუძღვის დავით ჩუბინაშვილს ამ გამოცემაში. მართალია, კოლექტიურ (თ. ბაგრატიონი, მ. ბროსე, ზ. ფალავანდიშვილი, დ. ჩუბინაშვილი) შრომაში საერთოდ ძნელია ამის მთელი სიზუსტით დადგენა, მაგრამ არის ზოგიერთი ისეთი მომენტი, რომელიც ნაწილობრივ მაინც წარმოაჩენს და გვითვალისწინებს ჩვენთვის საინტერესო საკითხის ამა თუ იმ მხარეს.

<sup>5</sup> ს. ც ა ი შ ვ ი ლ ი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, I, თბ., 1970, გვ. 337—345; II, თბ., 1970, გვ. 150—151, აგრეთვე გვ. 79—80.

<sup>6</sup> გ. შ ა რ ა ძ ე, თეიმურაზ ბაგრატიონი და ვეფხისტყაოსნის 1841 წლის გამოცემა, კრებ. „თბილისის უნივერსიტეტი შოთა რუსთველს“, თბ., 1966, გვ. 270—276.

<sup>7</sup> ლ. ქ უ თ ა თ ე ლ ა ძ ე, ვეფხისტყაოსნის 1841 წლის გამოცემაზე დართული „ანდერძისათვის“, „მაცნე“, 1970, № 5, გვ. 131—136.

1842 წელს გამოქვეყნებულ ერთ თავის ნაშრომში დ. ჩუბინაშვილი თვითონ გვიყვება ვტ-ის 1841 წლის გამოცემის ისტორიას და ამ გამოცემაში მისი უშუალო მონაწილეობის შესახებ:

«Слишком сто лет прошло с тех пор, как вышло первое издание Вепхис-Ткаосани. Многие экземпляры сего издания истреблены временем, остальные же считаются редкостью; вообще творение Руставеля сохраняется и изучается преимущественно в рукописях, наполненных ошибками грамматическими и логическими и пропусками. Этих недостатков даже не чуждо и Вахтангово издание, где пропущены некоторые места, замечательная по красоте своей, и вкралось много ошибок грамматических, а особенно орфографических. По всем этим причинам второе издание было необходимо тем более, что под благодательным покровительством России Грузия возраждается, образованность возникает из того ничтожества, в которое привели ее враждебные и северные народы, и Грузины, начиная снова чувствовать потребность в Науках и Литературе, обращаются к своей родной старине, к своим старинным Писателям.

Такие соображения заставили меня соединиться с Г. Академиком Броссе, неутомимо занимающимся Грузинскою Литературою, для издания Вепхис-Ткаосани в виде, сообразном с настоящими требованиями. Считаю долгом с благодарностью упомянуть и о сотрудничестве нам Князя Палавандова.

По исправлению и пополнению текста посредством сличения разных манускриптов, мы, в прошедшем 1841 году, издали «Барсову кожу» на одном Грузинском языке. Сперва мы думали присоединить к Поэме и стихи Нануча Цицишвили, который жил до Царя Вахтанга VI Законодателя, именно при Георгии XI, написал продолжение Поэмы; но оставили эту мысль, потому что произведение Нанучи, как и все продолжения образцовых Поэм, далеко уступают в красотах своих созданию Руставеля, и, можно сказать, не имеет решительно никакого поэтического достоинства. Изданная Вахтангом Поэма состоит из 1589 четверостиший и занимает 285 страниц. В наше издание вошло 48 куплетов, пропущенных в издании

Вахтанგა, ა ვ კოიძე პოეზიის, ვერძე ხარვეზიანი პრიმეხიანი  
ვახტანგის, პოეზიის კრატკიი ლექსიკონი ტრუდეიშიხ ვერძეხიანი  
ი ნე უპოტრეხლემი ვ პრეორეხიი სლოვ»<sup>8</sup>.

აქ ვახტანგის ზოგიერთი შეხედულება თუ ცნობა (ვახტანგის  
ვეფხისტყაოსანში ზოგიერთი ნამდვილი რუსთველური  
სტროფის გამორჩენის შესახებ, აგრეთვე, ვტ-ის ინტერპოლატორის  
ნანუხა ციციშვილის მოღვაწეობის ხანად გიორგი XI-ის მეფობის  
დროის მიხედვით) პირდაპირ გამეორებას წარმოადგენს თეიმურაზ  
ბაგრატიონის შეხედულებებისას, რომელიც მას დავით ჩუბინაშვილამდე  
ადრე ჰქონდა გამოთქმული მ. ბროსესადმი მიწერილ წერილში.

ამას გარდა, დ. ჩუბინაშვილს აქ დაშვებული აქვს რამდენიმე  
რესეტი უზუსტობა, რომლებიც მის წინამორბედებთანაც (თ. ბაგრატიონი,  
მ. ბროსე) გვხვდება: ვახტანგის ვეფხისტყაოსანი არ შეიცავს  
1589 სტროფს, როგორც ამას დ. ჩუბინაშვილი წერს. მართალია,  
ვახტანგის გამოცემაში ბოლო სტროფს ჩვპთ (=1589) ციფრი უზის,  
მაგრამ ეს მომხდარა სტროფთა სათვალავის აღრევის გამო.  
სინამდვილეში კი; მასში 1587 სტროფია. სხვათა შორის ეს  
შენიშნული ჰქონდა მ. ბროსეს პოემის 1841 წლის გამოცემის წინასიტყვაობაში  
(გვ. XII) და საკვირველია, ეს როგორ ვერ შენიშნა დ. ჩუბინაშვილმა,  
რომელმაც თვით ბროსეს აღიარებით. „ამ წიგნის დაბეჭდვას  
და საკუთრად წინასიტყვაობის დაწერაზე უფ. ჩუბინაშვილმა  
გულითადი შენიშვნა მიხეცა“ (იქვე გვ. XII). ასევე არაა ზუსტი,  
თითქოს ვტ-ის 1841 წლის გამოცემაში ვახტანგის ვეფხისტყაოსანთან  
შედარებით 48 ახალი სტროფი იყოს დამატებული, (სხვათა შორის,  
ასევე წერდა მ. ბროსეც). სინამდვილეში აქ 50 ახალი სტროფია  
შეტანილი<sup>9</sup>. განსაკუთრებით ფასეული აქ არის ცნობა იმის  
შესახებ, რომ ვტ-ის 1841 წლის გამოცემისათვის

<sup>8</sup> Д. Ч у б и н о в. О грузинской поэме Вепхис-Ткаосани или Барсова кожа, ЖМНП, 1842, № 8, ცალკე ამონაბეჭდი, გვ. 8—9; იგივე ნაშრომი იხ. აგრეთვე, ქართული ქრისტომატია, II, სპბ., 1846, გვ. V, სადაც ეს ადგილი მთლიანად ამოღებულია.

<sup>9</sup> დაწერილებით იხ. გ. შ ა რ ა ძ ე, თეიმურაზ ბაგრატიონი, II, თბ. 1974, გვ. 110—113; ა. შ ა ნ ი ძ ე, ვეფხისტყაოსანი, ვახტანგის ვეფხისტყაოსანი გამოცემა აღდგენილი 1937 წელს, გვ. 350, ლ. მ ე ნ ა ბ დ ე, დას. ნაშრ. გვ. 10.

ანონიმურად დართული „მცირე ლექსიკონის“ ავტორი დავით ჩუბინაშვილია.

პირველ რიგში, აღსანიშნავია თვით მ. ბროსეს მოწმობა დ. ჩუბინაშვილის წვლილის თაობაზე. კერძოდ, გამოცემის „წინა-სიტყვაობის“ დასასრულს მ. ბროსე წერდა: „ამ წიგნის დაბეჭდვაზე და საკუთრად წინასიტყვაობის დაწერაზე უფ. ჩუბინოვმა გულითადი შემწეობა მიჩვენა“ (გვ. XIV), ხოლო ბროსეს სახელით გამოცემისათვის დართული ლექს-ანდერძის მე-8 სტროფი (გვ. 224) გვამცნობს:

„კვლავ ფალანდოვი ჩემთან და ჩუბინოვიც მღვწელია.  
დავბეჭდეთ ჩვენის ხარჯითა, განახლდა ესრეთ ძველია.  
მესტამბე სვიმონ ტაბიძე ბეჭევდაზედ იყო მცდელია  
საუნჯის ესე ვითარის დაკარგვა დიად ძნელია“.

როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, მ. ბროსეს სახელით დაბეჭდილი ამ ლექს-ანდერძის ავტორი, სინამდვილეში, თეიმურაზ ბაგრატიონია, რომელსაც თავის ავტოგრაფში (Q—1366) თავოაპირველად ამ სტროფის პირველი სტრიქონის ასეთი ვარიანტი ჰქონია:

„კვლავ უფალი ჩუბინოვიც დავითიც ჩემთან  
მღვწელია“.

ამით იმის თქმა გვსურს, რომ ვეფხისტყაოსნის მეორე ბეჭდური (1841 წ.) გამოცემის ორივე მესვეური — თეიმურაზ ბაგრატიონი და მარი ბროსე საგანგებოდ უსვამენ ხაზს მაშინ ჯერ კიდევ უნივერსიტეტის კედლებიდან ახლადგადმოსული ჭაბუკი მეცნიერის ღვაწლს ამ დიდი ეროვნული საქმის განხორციელებაში.

საქმე იქამდეც კი მისულა, რომ მ. ბროსეს სახელით გამოცემისათვის დართული ლექს-ანდერძი, რომელიც, როგორც ვთქვით, სინამდვილეში თეიმურაზ ბაგრატიონის კალამს ეკუთვნის, დავით ჩუბინაშვილის მეცნიერული ავტორიტეტის გავლენით ცვლის კიდევ ლექს-ანდერძის ნამდვილი ავტორის კონცეფციას.

საერთო ეხება შოთა რუსთველის სადაურობას. როგორც კარგად ცნობილია, რუსთველოლოგიის ისტორიაში „თეიმურაზ ბაგრატიონი პირველი შეეცადა მოეხსნა რუსთველის მესხეთის რუსთაველიდან წარმომავლობის ტრადიციული თვალსაზრისი და რუსთველის

სამშობლოდ ჰერეთის რუსთავი გამოაცხადა<sup>10</sup>. თავის რუსთველოლოგიურ შრომებში გამოთქმული ეს თვალსაზრისი თეიმურაზს გაუტარებია ვეფხისტყაოსნის 1841 წლის გამოცემისათვის დასართველად მომზადებულ 9-სტროფიან ლექს-ანდერძშიც. თეიმურაზის ავტოკრაფის (Q—1366) მე-5 სტროფში წერია:

„შოთა იშვა რუსთავისა ქალაქსა შინა ქებული,  
მას ბოსტან-ქალაქს უწოდენ, ძველთაგან იყო გებული...“

ვეფხისტყაოსნის 1841 წლის გამოცემაში (გვ. 223) კი ვკითხულობთ:

„შოთა იშვა სამეცხეთოს დაბასა შინა ქებული.  
მას რუსთავად უწოდებდნენ, ძველთაგან იყო  
გებული...“

როგორც ვხედავთ, აქ თეიმურაზ ბაგრატიონის სრულიად საპირისპირო შეხედულებაა გატარებული: ჰერეთის რუსთავის—ბოსტან-ქალაქის ნაცვლად შოთა რუსთველის სამშობლო კუთხედ მესხეთის რუსთავია გამოცხადებული. ამიტომ იყო, რომ ამ სტროფის მიხედვით — ს. ყუბანეიშვილი ეკვის ქვეშაც კი აყენებდა პირველად ალ. კობახიძის მიერ მოწოდებულ ცნობას აღნიშნული ლექს-ანდერძის თეიმურაზისეულობის შესახებ<sup>11</sup>.

ლ. ქუთათელაძე აღნიშნულ რედაქციულ სხვაობას ასე ხსნიდა: „თეიმურაზ ბაგრატიონმა ვეფხისტყაოსნის მეორე გამოცემას „ანდერძი“ დაუწერა არა თავისი, არამედ მ. ბროსეს სახელით. რაკი ამ უკანაქნელის ე. ი. მ. ბროსეს შეხედულება რუსთველის სადაურობის შესახებ (თანაგამომცემლებთან ერთად) ასეთი იყო, მას რა ეთქმოდა? თეიმურაზმა კარგად იცოდა, რომ მკვლევარნი ხშირად სხვადასხვა თვალსაზრისზე დგანან ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. მაგრამ თავის აზრს არ ახვევენ ერთმანეთს. მით უმეტეს, თეიმურაზმა თავისი კონცეფცია გამოხატა საკუთარ ნაშრომში (განმარტება ვეფხისტყაოსნისა...). ანდერძში კი, დასაშვებად მიიჩნია შემოთავაზებული შესწორების შეტანა, ანუ იმის (ე. ი. ბროსეს) შე-

<sup>10</sup> გ. შარაძე, თეიმურაზ ბაგრატიონი, II, თბ., 1974, გვ. 92, დაწერალებით იხ. იქვე, გვ. 92—97.

<sup>11</sup> ალ. კობახიძე, ლენინგრადის საარქივო მასალები ვეფხისტყაოსნის შესახებ, „კომუნისტი“, 12.X.1937, № 234 შტრ. ს. ყუბანეიშვილი, ვეფხისტყაოსნის ბეჭდვის ისტორიიდან, თბ., 1966, გვ. 55.

ხედულების გატარება გარკვეულ საკითხზე, ვისი სახელითაც დაწერა იგი (ანდერძი)<sup>12</sup>.

ასე კატეგორიულად იმის მტკიცება, თითქოს მ. ბროსეს შეხედულებით, შოთა რუსთველი მესხეთის რუსთავიდან იყო და მან შესთავაზა თეიმურაზს ლექს-ანდერძში ასეთი შესწორებაო, არ არის სწორი. ჩვენ პირიქით ვიცით: მ. ბროსე ადგა და ავითარებდა თავისი მასწავლებლის თეიმურაზ ბაგრატიონის თვალსაზრისს (ისე, როგორც ბევრ მის სხვა შეხედულებას) შოთა რუსთველის ე. წ. პერეთის რუსთავიდან წარმომავლობის შესახებ. მაგალითად, მ. ბროსეს „ქართლის ცხოვრების“ საკუთარ ნუსხაში (ლენინგრადის ყოფ. სააზიო მუზეუმის ხელნაწერი N41) ფრანგულად ასეთი შენიშვნა გაუკეთებია: „შოთა (რუსთველი?) ეს უნდა იყოს ჩვენი პოეტი, რადგან, ის იყო რუსთავიდან, კახეთის მახლობლად რომ არის“<sup>13</sup>.

შოთა რუსთველის მესხობის თეორიას კი დაბეჭდილებით იცავდა დავით ჩუბინაშვილი, და, მასაშასადამე, ვეფხისტყაოსნის 1841 წლის გამოცემისათვის მ. ბროსეს სახელით დართულ „ლექს-ანდერძში“ გატარებული თვალსაზრისი შოთა რუსთველის მესხეთის რუსთავიდან წარმომავლობის შესახებ მას ეკუთვნის.

მ. ბროსეს „წინასიტყვაობაში“ გვაქვს ერთი ადგილი, რომელიც აშკარად დ. ჩუბინაშვილისაგან უნდა იყოს დავალებული:

მ. ბროსე

«ამასთან არ შეიძლება რომ არ მოვახსენო ნაკლულევაწება ერთი რუსთველის შაირებისა: მრავალჯერ რიფმისათვის განამეორებს ერთის აზრის მნიშვნელთ სიტყვებთა, და ამგვარი გაგრძელება შაირებისა უშესაბამოა“ (ვჭ-ის 1841 წლის გამოცემა, გვ. X).

დ. ჩუბინაშვილი

«... мы укажем на некоторые недостатки Поэмы Руставели. Недостатки эти заключаются в том, что многие стихи имеют надлежащую меру и ритму, но могут назваться прозою... Можно заметить также и то, что для ритмы

<sup>12</sup> „მაცნე“, 1970, № 5, გვ. 136.

<sup>13</sup> ქართლის ცხოვრება, II, ს. ყ ა უ ხ ი შ ვ ი ლ ი ს გამოცემა თბ., 1959, გვ. 192; გ. შ ა რ ა ძ ე, თეიმურაზ ბაგრატიონი, II, თბ., 1974, გვ. 96—97.



он иногда повторяет слова подобозначащия, и потому впадает в плеоназмы» (ЖМНП, 1812, № 8, ცალკე ამონაბეჭდი, გვ. 14—15).

საგულისხმოა, რომ დ. ჩუბინაშვილმა 1846 წელს გამოცემულ ამავე ნაშრომის ვარიანტში რუსთველის ეს კრიტიკა ამოიღო: შდრ. ქართ. ქრისტომატია, სპბ., 1846, II, გვ. IX.

ამას გარდა, მ. ბროსე ერთგან პირდაპირ ამბობს: „1841 წელს ბ. დ. ჩუბინოვმა, ბ. ზ. ფალაიხლოვმა და მე მეორედ გამოვეცი თ ვეფხისტყაოსანი სანკტ-პეტერბურგში, 1637 სტროფით, 48 სტროფის დაშატებით, რომლებიც ბ. პ. ქებაძემ მოგვაწოდა და დააძინა ხელნაწერებში კიბოვეო. ბ. დ. ჩუბინოვმა ეს კიდეც მოიხსენია წინასიტყვაობაში“ (Mel. As., 1877, VIII). მაშასადამე, მ. ბროსე თვითონვე გვუბნება, რომ 1841 წლის გამოცემის წინასიტყვაობაში დ. ჩუბინაშვილს ეკუთვნის შემდეგი ადგილი:

„დიდი სიხარულით იყო მიღებული ვეფხისტყაოსანი ქართველთა მიერ და დიდი პატივიც დასდევს მის დაწერსა, რომელიცა ჰსჩანს იმითი რომ წიგნი ესე მართოდ ერთადერთი სხვათა მრავალთა პოემათა შორის შენახული იყო აქამომდე, თუმცა როგორც ზევით ვთქვით მცირედ გარყუნილი რომელთაზე მწერალთაგან. მაგალითად, სტიხნი რიგ, რნა, რა, რაგ, როზ, რეე, სიგ, სკბ, სმბ, სპდ, ტვ.ტია, ტლ, ტლგ, ტმგ, ტნგ, ტნე, ტპზ; ტყ. უკთ, ულ, უნბ, ფიშ, ფით, ფეზ, ქბ, ქნთ, ქოვ, ლლ, ლლზ, ლმდ, ლმე, ლბთ, ლყ, ყა, ყვ, ყლ, ყლა, ყლზ, ყნბ. შპზ, ჩმვ, ჩტიე, ჩტმზ, ჩუკვ, ჩფლთ, ჩფნ. ჩფაე, რომელნიცა ჩვენ ახალს დაბეჭდილში ჩაუმატეთ, იპოვებიან მხოლოდ რომელთაზე გელ-ნაწერებში. მრავალნი ამ ლექსებისაგანი მშვენიერად თქმულია და ვეფხვის-ტყაოსანსაც ეთანხმება. თუმცა სწორეთ არ ვიცით ვისგან არიან დაწერილნი, მაგრამ ღირსნი იყვნენ რომ ჩაგვებეჭდა და იმიტომაც ჩავამატეთ“ (გვ. XIII).

ასევე, დავით ჩუბინაშვილს უნდა ეკუთვნოდეს გამოცემისათვის წამძღვარებულ მ. ბროსეს „წინა-სიტყვაობაში“ გატარებული მკაცრი კრიტიკული დამოკიდებულება ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული განმარტებებისადმი: „ამის გარდა ვახტანგ მეფემ დააბეჭდვინა ვეფხისტყაოსნის განმარტება, რომელიც ფრიალ უშესაბამო

და უხამსია. მაგალ. სადაც რუსთველი აშოკობასა ჰსწერს, ვახტანგ მეფე თვისის განმარტებაში ამბობს რომ ეს საღმრთო ტრფიალება-ზე უთქვამსო. ხოლო თვითოეულმა იცის რომ ვეფხვის-ტყაოსანი ზღაპარია და არა საღმრთო წერილი. აგრეთვე მრავალს მოქმედება-სა ვეფხვის-ტყაოსანისასა განმარტებს საღმრთოს წერილითა და სხვ. ამის მიზეზით დაუტევთ განმარტება ესე და მის მაგიერად დავებქ-დეთ მცირე ლექსიკონი უხმართა მდაბიურს ლაპარაკში და ძველთა სიტყვათა, რომელნიც ვეფხვის-ტყაოსანში იპოვებიან“ (გვ. XII—XIII).

მანც რა საბუთები გვაქვს ასეთი დასკვნის გამოტანისათვის?

დღეს უკვე დოკუმენტურად დადგენილია, რომ მ. ბროსეს აღ-ნიშნული „წინასიტყვაობის“ ზოგიერთი ადგილი სიტყვა-სიტყვით იმეორებს თეიმურაზ ბაგრატიონის შეხედულებებს (მაგალითად შოთა რუსთველის მეჭურჭლეთუხუცესობაზე, პოეტის საფლავის თითქოსდა იერუსალიმის ჭვრის მონასტერში არსებობაზე, ცნობებს ვეფხისტყაოსნის ინტერპოლატორებზე — ნანუჩა ციციშვილსა და დავით ჩოლოყაშვილზე, ვეფხისტყაოსნის სიუჟეტისა და გმირთა ხასიათის ორიგინალობის თაობაზე, ახალი გამოცემისათვის ვახტან-გისეული ე. წ. მოკლე რედაქციული ხასიათის შენარჩუნებზე)<sup>14</sup>, მაგრამ სწორედ ვახტანგისეული განმარტების შეფასებაში სცილდე-ბიან ერთმანეთს მ. ბროსე და თ. ბაგრატიონი.

მ. ბროსესადმი 1833 წლის 9 ოქტომბერს გაგზავნილი თეიმუ-რაზის წერილი მოწმობს, რომ ვეფხისტყაოსნის ახალ გამოცემაში ვახტანგისეული განმარტებების ხელახლა დართვას თეიმურაზ ბაგ-რატიონი საჭიროდ მიიჩნევდა: „...ვახტანგ მეფისაგან განმარტე-ბულსაც ზედავ მოვაწერიებ და იაე დაბეჭდეთ, რომ ხალხში გამო-ვიდეს, კარგი რამ იყოს“<sup>15</sup>.

საწინააღმდეგო თვალსაზრისს ადგა ჯერ ნიკო ჩუბინაშვილი (დავითის ბიძა) და მერე, ალბათ, ბიძის გავლენით, დავით ჩუბინა-შვილი.

<sup>14</sup> დაწერილებით ამის შესახებ იხ. გ. შ ა რ ა ძ ე, თეიმურაზ ბაგრატიონი და ვეფხისტყაოსნის 1841 წლის გამოცემა, იოსე საიუბილეო კრებული „შოთა რუსთველს“, თბ., 1966, გვ. 270—274.

<sup>15</sup> თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები აკად. მ. ბროსესადმი, ს. ყუბანეიშვილის რედ., თბ., 1964, გვ. 26.

ცნობილია, რომ როცა 1826 წელს პეტერბურგში წამოიწყეს ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის ხელახლა გამოცემა (ამ წამოწყების პატრიც, ო. ურიდიას დაქვარებით, თემურაზ ბაგრატიონს უნდა მიეკუთვნოს)<sup>16</sup>, ცენზურის თხოვნით დაწერილ დასკვნაში მაშინ სააზიო დეპარტამენტს თარჯიმანმა ნიკო ჩუბინაშვილმა გაილაშქრა პოემის მომავალ გამოცემაში ვახტანგისეული განმარტების დაბეჭდვას წინააღმდეგ სწორედ იმ მოტავთ, რომ ვეფხისტყაოსანს ვახტანგი ალეგორიულ-მისტაქური თვალსაზრისით განმარტავს და პოემის ბევრ ადგილას საღვთო წერილის მიხედვით ხსნისო: «...Как бы то ни было, но смешивать вымысленные деяния человеческия с высокими истинами нашей правослвной веры, казалось бы неприличным»<sup>17</sup>.

ვვიქრობთ, მკითხველიც დაგვეთანხმება, რომ ძნელი არ უნდა იყოს ნიკო ჩუბინაშვილის ამ შეხედულებისა და ბროსესეული წინასიტყვაობის შესაბამისი ადგილის თანხვლომა. ამას გარდა, აღნიშნული თვალსაზრისი ვეფხისტყაოსნის 1841 წლის გამოცემაში დავთ ჩუბინაშვილის გატარებული რომ უნდა იყოს, ჩანს თვით დავით ჩუბინაშვილის სიტყვებიდან: «Вместо нравственных примечаний Вахтанга поместил я краткий лексикон труднейших выражений»<sup>18</sup>.

მართლაც, ვახტანგისეული განმარტების ნაცვლად, ვეფხისტყაოსნის მეორე ბეჭდურ გამოცემას დართული აქვს „მცირე ლექსიკონი“ (გვ. 225—238), რომელიც დიდხანს მ. ბროსესი ეგონათ, მაგრამ როგორც უკვე ზემომოყვანილი დ. ჩუბინაშვილის სიტყვებიდან ჩანს, იგი მას ეკუთვნის<sup>19</sup>.

ჩამოთვლილ დოკუმენტურ ჩვენებათა გათვალისწინებით, ცხადი ხდება, თუ რა წვლილი მიუძღვის დავით ჩუბინაშვილს ვეფხისტყაოსნის 1841 წლის გამოცემაში, კერძოდ, გამოცემის წინასიტყვა-

---

<sup>16</sup> ო. უ რ ი დ ი ა, ვეფხისტყაოსნის მეორე გამოცემასთან დაკავშირებულ ზოგიერთი საკითხის დაზუსტებისათვის, „მაცნე“, 1976, № 4, გვ. 32.

<sup>17</sup> დაწერილებით იხ. ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, ვეფხისტყაოსნის ბეჭდვის ისტორიიდან, თბ., 1966, გვ. 36—42.

<sup>18</sup> Д. Ч у б и н о в, О Грузинской поэме Вепхист-ткаосани или Барсова кожа, ЖМНП, 1842, № 8.

<sup>19</sup> შდრ. ლ. მ ე ნ ა ბ დ ე, ვეფხისტყაოსანი და საქართველოს ეროვნულ-კამათაეისუფლებელი მოძრაობის მოღვაწენი, თბ., 1967, გვ. 12.

ობის, პოემის ტექსტის დადგენისა თუ ლექს-ანდერძის საბოლოო სახით რედაქტირებაში, აგრეთვე, ბოლოს დართული მცირე ლექსიკონის შედგენაში.

რა თქმა, უნდა გადაჭარბებულია ვეფხისტყაოსანის 1841 წლის საქმეში დავით ჩუბინაშვილის ღვაწლის ისეთი შეფასება, თითქოს «В 1841 году Броссе, Палавандишвили и Д. Чубинашвили по инициативе последнего (ხაზი ჩვენია—გ. შ.) издали гениальную поэму Шота Руставели «Витязь в тигровой шкуре», снабдив ее подробенными комментариями»<sup>20</sup>.

ამის შემდეგ, დ. ჩუბინაშვილმა ვეფხისტყაოსანი დაბეჭდა 1846 წელს თავისი „ქრისტომათიის“ მეორე ნაწილში<sup>21</sup>.

სპეციალურ ლიტერატურაში უკვე გამოჩვეულია<sup>22</sup>, რომ დ. ჩუბინაშვილმა ქრისტომათიისათვის უცვლელად გამოიყენა ვეფხისტყაოსნის 1841 წლის გამოცემის ტირაჟის (სულ დაიბეჭდა 1200 ცალი) გაუყიდველი ნაწილი (600 ეგზემპლარი). ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ყველა ის ტექსტობრივი, ორთოგრაფიული თუ სხვა ტექნიკური ხასიათის შეცდომები, რომლებიც გვხვდება პოემის 1841 წლის გამოცემაში, უცვლელად გამეორებულია 1846 წელს დაბეჭდილ „ქრისტომათიაშიც“.

ოლონდ, ს. ყუბანეიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, დ. ჩუბინაშვილს ვეფხისტყაოსნის 1841 წლის გამოცემისათვის მოუხსნია დასაწყისი ნაწილი (თაფფურცელი, მ. ბროსეს წინასიტყვაობა) დამის ნაცვლად ახალი თაფფურცელი შეუდგენია: „ქართული ქრისტომათია. Грузинская Хрестоматия“ (I); „ქართული ქრისტომათია ანუ გამოკრებილნი ადგილები ქართულთა წერილთაგან დავით ჩუბინოვის მიერ. Грузинская Хрестоматия, составленная Д. Чу-

---

<sup>20</sup> П. Каландадзе, Профессора-грузины в Московском и С.-Петербургском университетах в первой половине XIX века, „მაცნე“, 1966 г., № 2, с. 143. მისივე, Участие грузин в культурной и общественной жизни России, Тб., 1979, с. 53.

<sup>21</sup> ქართული ქრისტომათია ანუ გამოკრებილნი ადგილები ქართულთა წერილთაგან დავით ჩუბინოვის მიერ, II, სპბ., 1846.

<sup>22</sup> ს. ყუბანეიშვილი, ვეფხისტყაოსნის ჩუბინაშვილისეული პირველი გამოცემა, კრებ. „ძველი ქართული მწერლობის საკითხები“, II, თბ., 1964, გვ. 209—212; მისივე, ვეფხისტყაოსნის ბეჭდვის ისტორიადან, თბ., 1966, გვ. 61—65.

ბინოვამ, часть вторая, стихотворения СПб, 1846» (2r), მე-3 გვერდი დათმობილი აქვს მიძღვნას მუსინ-პუშკინისადმი.

I—IX გვერდები უჭირავს დ. ჩუბინაშვილის წერილს «О грузинской поэме Вепхис-Ткаосани или Барсова кожа», რომელიც ზოგიერთი ცვლილებით ადრეც (1842 წ.) იყო გამოქვეყნებული<sup>23</sup>. IX—XXVIII გვერდებზე დაბეჭდილია ვეფხისტყაოსნის 142 სტროფის რუსული თარგმანი სათაურით: «Гариевъ, Барсова кожа, поэма» (მთარგმნელის ვანობის აღუნიშნავად, ამის შესახებ ცალკე გვექნება საუბარი), ხოლო საკუთრივ ვეფხისტყაოსნის ტექსტს უჭირავს 1—223 გვერდები. სტროფთა ნუმერაცია თავდება ჩქლე (1635) ტროფიო, ოღონდ სათვლავას გარეშეა დატოვებული 223-ე გვერდზე დაბეჭდილი ორი უკანასკნელი სტროფი: „ესე ასეთი სოფელი...“ და „ამირან დარეჯანის ძე...“, რადგან ტექნიკურმა საჭიროებამ მოითხოვა პოემის 1841 წლის გამოცემის 223-ე გვერდის გამოცვლა და ხელახლა დაბეჭდვა. მაშასადამე, საბოლოოდ „ქრისტომატიის“ გამოცემაში, ისე როგორც 1841 წლის გამოცემაში, ვეფხისტყაოსნის ტექსტი ჩქლზ (1637) სტროფს შეიცავს.

ასე რომ, დ. ჩუბინაშვილის 1846 წელს გამოცემული ვეფხისტყაოსანი, [უკანასკნელი 223-ე ფურცლის გამოკლებით], ახალს არაფერს შეიცავს, ის 1841 წლის გამოცემის ტირაჟიდანაა შესული ქრესტომათიაში (ს. ყუბანეიშვილი).

მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აქვე აღინიშნოს, რომ ს. ყუბანეიშვილის გამოკვლევით მიღებულ სწორ დასკვნამდე ადრე მ. ბროსეს მოეპოვება პირდაპირი ცნობა ამის თაობაზე: „ჩვენი გამოცემა [1841 წ.] ერთვას ბ. დ. ჩუბინაშვილს მიერ შედგენილ ქრესტომათიას 1846 წ. («Notre édition adjointe en 1846 à la Chrestomathie de M. Tchoubinof»)»<sup>24</sup>.

<sup>23</sup> ЖМНП, 1842, № 8, XXV, отд. II, гв. 112—126.

<sup>24</sup> M. Brosset, De la littérature romanesque géorgienne, Bulletin de l'Académie impériale des Sciences XXIV, (1877); აგრეთვე Mélanges Asiatiques, 1877, VIII: ქართული თარგმანი იხ. კრებ. „რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში“, I, თბ. 1976, გვ. 66; შდრ. ი. მ. გ. რ. ე. ლ. ი. ძ. ე., დავით ჩუბინაშვილი მეცნიერი და რუსთველოლოგი, „მაცნე“, 1966, № 5, გვ. 109; მ. ი. ს. ი. ე. ე., რუსთველოლოგები, თბ., 1970, გვ. 63.

ვეფხისტყაოსნის 1841 და 1846 წლების გამოცემათა ერთი და იგივეობა შემჩნეული ჰქონიათ აგრეთვე პოემის 1875 წლას გამოცემლებს:

„ვეფხვის-ტყაოსანი“ მესამედ გამოვიდა 1846-ში პეტერბურღს დავ. ჩუბინოვისაგან დაბეჭდილს ქრისტომატიასთან. ეს „ვეფხვისტყაოსანი“ მხოლოდ იმითი განსხვავდება ბროსეს დაბეჭდილსაგან, რომ ბოლოში დამატებული აქვს რუსთველის ნაწერი ორიოდე იამბიკო, მაგიერად ლექსიკონს მოკლებულია და ბროსეს წინასიტყვაობაზედ უფრო სუსტი და რუსულად ნაწერი სტატია ახლავა. სხ ვ ე ბ რ ეს გამოცემა 1841-ში გამოცემულისაგან ერთის უბრალო ორთოგრაფიული ნიშნით, ან სტამბის შეცთომით არ განიჩევა. ასე, რომ მეორე და მესამე გამოცემა ერთი და იგივეა“<sup>25</sup>.

1860 წელს დავით ჩუბინაშვილმა კვლავ განახორციელა რუსთველის უკვდავი პოემის ახალი, უკვე რიგით მესამე გამოცემა.

ყდაზე ასეთი წარწერაა: „შოთა რუსთველი, „ვეფხვის ტყაოსანი“. სატიტულე ფურცელზე: „ვეფხვის-ტყაოსანი, თქმული შოთათა რუსთველისა-გან, თამარ მეფის დროს ახლად დაბეჭდილი დავით ჩუბინო [ვ] ისა-გან განმარტებითურთ, სანკტ-პეტერბურღს. სამეცნიერო აკადემიის სტამბასა შინა 1860 წელსა“. მეორე საცავ (სატიტულე) ფურცელზე: „ქართული ქრისტომატია, ან გამოწერილნი სტატიები და სხვათა და სხვათა ჩინებულთა მწერალთა-გან, ნაწილი მეორე, ქართული ლექსები, ახლად დაბეჭდილი დავით ჩუბინოვისა-გან, სანკტ-პეტერბურღს სამეცნიერო აკადემიის სტამბასა შინა 1860 წელსა“.

ვეფხისტყაოსნის ტექსტი დაბეჭდილია 1—207 გვერდზე, სულ 1593 სტროფი, ხოლო 207—243 გვერდები დათმობილი აქვს დ. ჩუბინაშვილის ნაშრომს „განმარტება, რომელთამე სიტყვათა და ფრაზათა, ხმარებულთა ვეფხვის-ტყაოსნის ლექსთა შინა“, 243—244 გვერდებზე კი რუსთველის ავტორობით გამოქვეყნებულია ორი იამბიკო (ამის შესახებ ცალკე).

ვეფხისტყაოსნის 1860 წლის დ. ჩუბინაშვილისეული გამოცე-

<sup>25</sup> ვეფხვის-ტყაოსანი, მეექვსედ დაბეჭდილი არსენ კალანდაძისა და აშხ.-გან, თფილისი, 1875, გვ. IX.

მის მეცნიერული დახასიათება მოგვცა ს. ცაიშვილმა: „უფრო მნიშვნელოვანია დ. ჩუბინაშვილის მეორე გამოცემა. აქ დარღვეულია მარი ბროსეს მიერ აღებული პრინციპი, როცა მან გარკვეულ წყაროზე დაყრდნობით 50 სტროფი დაუმატა ვახტანგის გამოცემას. არ ჩანს, თუ როგორ ესმოდა დ. ჩუბინაშვილს ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორიის საკითხები, ან რით ასაბუთებდა ტექსტის მისეულ ოპერაციას. ფაქტი კი ის არის, რომ 1860 წლის გამოცემაში მან კვლავ ამოიღო მ. ბროსეს მიერ ვახტანგის გამოცემაზე მიმატებული სტროფები და მხოლოდ ექვსი მათგანი დატოვა (1956 წლის ვეფხისტყაოსნის ვრცელი გამოცემის ნუშერაციით ეს სტროფებია: 169 — „თუ ყოფილა იგი მოყმე...“, 217 — „მოუკლავარ თინათინის სურვილსა და სიყვარულსა...“, 439 — „წიგნი წიგნსა ეცემოდა დედოფალი ოდეს შობდა...“, 467 — „ზღუდედ მოვლიდა ზურმუხტი...“, 699 — „მე დავშვერ, ვითა წესია საურავ გარდახდილისა...“ 736 — „შევე, ფიცხლავ შევეკაზმე, ცხენსა შევჭე შეკაზმულა...“). მაგრამ აქ არის ერთი საყურადღებო მომენტი: ამ ექვსი სტროფიდან ოთხი (169, 217, 699 და 736) სწორედ ისინია, რომელთა შესახებ თეიმურაზ ბაგრატიონმა ნიუთითა და ვახტანგის გამოცემის შემთხვევით ხარვეზად აღიარა. რა დასკვნა უნდა გამოვიტანოთ აქედან? დ. ჩუბინაშვილს ფაქტიურად არ გაუზიარებია მ. ბროსეს ტექსტოლოგიური მუშაობის შედეგები და კვლავ დამყარებია, მცირეოდენი გამონაკლისის გარდა, 1712 წლის ტექსტის ავტორიტეტს (მართლაც, თუ 1712 წლის ტექსტი შეიცავს 1587 სტროფს, დ. ჩუბინაშვილის მეორე გამოცემა ითვლის 1593 სტროფს). ამგვარად, რაიმე სიახლე ტექსტის ისტორიის თვალსაზრისით აქ აღარ შეინიშნება. პირიქით, შეიძლება ითქვას, დ. ჩუბინაშვილმა ერთგვარად ნაბიჯიც კი გადადგა უკან და უგულვებელყო მ. ბროსეს ის შენიშვნები, რომელთაც აუცილებლად უნდა გასწეოდა ანგარიში.

დ. ჩუბინაშვილის რუსთველოლოგიურ ნააზრევში უფრო ფასეულია მოსაზრებები, რომელიც მან გამოთქვა თვით პოემის იდეურ-მხატვრულ თავისებურებათა შესახებ და განსაკუთრებით, ლექსიკოლოგიური დაკვირვებანი (რაც ასახულია 1860 წლის გამოცემაზე დართულ საკმაოდ მოზრდილ ლექსიკონში)<sup>26</sup>.

<sup>26</sup> ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, I, თბ., 1970, გვ. 33—34.

ს. ყუბანეიშვილის შეფასებით<sup>27</sup>, „დ. ჩუბინაშვილის ვეფხისტყაოსნის ეს გამოცემა სხვებთან შედარებით, უფრო კარგია, როგორც მოცულობით, ისე ტექნიკური გაფორმებით, ამიტომ მომდევნო გამოცემებს ერთხანს ძირითადად ეს ტექსტი დაედო საფუძვლად“. ასე, მაგალითად, პოემის 1867 წლის თბილისური გამოცემა (გიორგი წერეთლისა და დავით ყიფიანისა) ძირითადად ამ გამოცემაზეა დამყარებული, ხოლო ბოლოს დართული „უხმარისა და გაუგებარის“ სიტყვების მოკლე ლექსიკონს „საფუძვლად დადებია დავ. ჩუბინაშვილის ლექსიკონები, რომლებიც დართული აქვს პოემის 1841 და 1860 წ. გამოცემებს. აღნიშნულ ლექსიკონებიდან სიტყვები „მარტო პირველ სახეობის ფორმებში“ აუღიათ და ისე დაუბეჭდავთ“ (იქვე, გვ. 70). თავის მხრივ კი, ეს გამოცემა დაედო საფუძვლად ვეფხისტყაოსნის მეექვსე გამოცემას (თბ., 1875, არსენ კალანდარიძისა).

დავით ჩუბინაშვილის 1860 წლის გამოცემის მეცნიერულ ავტორიტეტს მოწმობს ის ფაქტიც, რომ როგორც უკანასკნელ ხანს გაიკვია, ვეფხისტყაოსნის იონა მეუნარგიასეული ფრანგული თარგმანი, რომელიც თავდაპირველად მიხაი ზიჩისათვის მომზადდა, სწორედ დ. ჩუბინაშვილისეული 1860 წლის გამოცემის მიხედვით ყოფილა შესრულებული<sup>28</sup>.

#### დავით ჩუბინაშვილი და რუსთაველის სახელით ცნობილი ლექსები

დავით ჩუბინაშვილმა რუსთველოლოგიის ისტორიაში, არ ვიცით რა წყაროებზე დაყრდნობით, ერთ-ერთმა პირველმა სცადა მკითხველის ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება შოთა რუსთაველის ე. წ. სხვა თხზულებებითაც.

ცნობილია, ანტონ I კათალიკოსის მოსაზრება შოთა რუსთაველის მიერ დაწერილი თითქოსდა ისტორიული თხზულების შესახებ: „...შოთა რუსთაველისა---გამომთქმელსა მეფის თამარის ცხოვრებისასა...“, „წერილთაგან შოთასთა, რომელ აღწერა ცხოვრებაჲ მეფის

<sup>27</sup> ს. ყუბანეიშვილი, დას. ნაშრ., გვ. 68.

<sup>28</sup> გ. შარაძე, ვეფხისტყაოსნის მეუნარგიასეული ფრანგული თარგმანის ფრაგმენტები, „მაცნე“, 1968, №4, გვ. 166—170.



თამარისა“ (აღნიშნული ცნობები დაცულია ანტონის „ქართულ ლრამატიკაში“, რომელსაც პირველად ყურადღება მიაქციეს ალ. ცაგარელმა და ილ. აბულაძემ) <sup>1</sup>.

შოთა რუსთველს ვეფხისტყაოსნის გარდა სხვა თხზულებაც რომ უნდა ჰქონოდა დაწერილი, ეს სწამდა თეიმურაზ ბაგრატიონსაც, ოღონდ იგი მეტ სიფრთხილეს იჩენდა და კონკრეტულად არ ასახელებდა, სახელდობრ, რა უნდა ყოფილიყო ეს: „სხტანიცა წიგნნი მსმენიეს მრავალთაგან, შოთა რუსთაველისა ნათხზვენი არიანო, მაგრამ ჯერეთ ვერა მივემთხვივე ესევითარსა სურვილისა ჩემისა სატრფიალოსა ნიჭსა, რომელიცა უძვირფასესითა დატკობითა აღავსებდა სულსა ჩემსა“ <sup>2</sup>.

1830 წელს მ. ბროსემ გამოთქვა მოსაზრება, რომ ვეფხისტყაოსნის გარდა შოთა რუსთველის დაწერილი უნდა იყოს სახობტო ჭეგლი „თამარიანიც“, რომელსაც შეედომით ჩახრუხაძეს მიაწერენო <sup>3</sup>. შემდეგში ეს მოსაზრება, როგორც ცნობილია, გააღრმავა ნ. მარმა<sup>4</sup>, აგრეთვე მ. ჯანაშვილმა <sup>5</sup>, ხოლო პ. ინგოროყვა იცავს დებულებას, თითქოს რუსთველს უნდა დაეწეროს ორი პოემა-რომანი — თამარ მეფის „ქებანი“ და ამბავი იოსებ მშვენიერისა <sup>6</sup>.

ჩვენ აქ არ გამოვუდგებით ამ შეხედულებათა კრიტიკულ განხილვას და ამჯერად ეს არც შეადგენს ჩვენს მიზანს. ჩვენი მიზანია ამ კუთხით დ. ჩუბინაშვილის ცნობათა განხილვა.

ვეფხისტყაოსნის გარდა, უფრო ზუსტად, ვეფხისტყაოსნის შექმნამდე სიკაბუჯეში შოთა რუსთველს რომ სხვა თხზულებები, კერ-

---

<sup>1</sup> А. л. Ц а г а р е л и, О грамматической литературе груз. языка, СПб, 1873, გვ. 99; ი ლ ა ბ უ ლ ა ძ ე, ცნობა შოთა რუსთაველის ისტორიული თხზულების შესახებ, ენძკის მოამბე, III, თბ., 1938, გვ. 201—207; იხ. აგრეთვე, ი. ლოლაშვილი, რუსთაველი და თამარის ისტორიკოსთა ვინაობის პრობლემა, თბ., 1961.

<sup>2</sup> თ. ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა, გ. რ მ ე დ ა შ ვ ი ლ ი ს რ ე დ., თბ., 1960, გვ. 294.

<sup>3</sup> NJAs., VI, Paris. 1830, გვ. 375—376.

<sup>4</sup> Древнегрузинские описаны, ТР, IV, СПб, 1902, с. 76.

<sup>5</sup> მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, თამარ მეფე და მისი ისტორიკოსნი, „მოამბე“, 1904, № 2, გვ. 6.

<sup>6</sup> პ. ინგოროყვა, რუსთველიანი, I, თბ., 1926, გვ. 283—295 და სხვ.

ძოდ, ლექსები უნდა ჰქონოდა დაწერილი, ამის შესახებ თავის მოსაზრებას დ. ჩუბინაშვილი პირველად 1842 წელს გამოთქვამდა:

„...возвратясь оттуда [из Афинны], [Шота Руставель] стихотворениями своими обратил на себя внимание Царицы Тамары. Главный предмет его песнопений составляло прославление Царицы Тамары. Лучшее произведение его — Вепхис Ткассани или Барсова кожа, написанная во славу Великой Царицы, снискала ему новыя милости Тамары. которая сделала его своим Книгохранителем»<sup>7</sup>.

მართალია, კონკრეტულად აქ არ ასახელებს რა თხზულებები იყო ეს, მაგრამ დ. ჩუბინაშვილის სიტყვებით ისე გამოდის, რომ ათენიდან დაბრუნებულ ჯაბუკ შოთა რუსთველს თავისი ლექსებით მიუქცევია თამარის ყურადღება, ხოლო ამ ლექსების მთავარი საგანი თამარის ქებათაქება იყო, ხოლო მისმა ყველაზე საუკეთესო ნაწარმოებმა ვეფხისტყაოსანმა, რომელიც ასევე თამარის შესაქებად იყო დაწერილი, შოთას თამარის ახალი წყალობა — მწიგნობართუხუცესობა (შემდეგში—1846 წ. მან ეს ადგილი Книгохранитель—Казнохранитель-ად მეჭურჭლეთუხუცესად გაასწორა) მოუპოვო.

თუ ამ ცნობების წყაროდ დ. ჩუბინაშვილი მაინც ხალხურ გადმოცემებს ასახელებს («Известно, и то по преданию...»), სამაგიეროდ, სხვა ადგილას, იშველიებს პოემის შესავალს და უკვე აშკარად მიუთითებს: «В предисловии Автор... вспоминает прежния свои творения, посвященные Тамары»<sup>8</sup>.

ცხადია, დ. ჩუბინაშვილი აქ გულისხმობს რუსთველის შემდეგ. სიტყვებს ვეფხისტყაოსნის პროლოგიდან:

„თამარს ვაქებდეთ მედგესა, სისხლისა ცრემლ-დათხეული,  
ვსთქვენი ქებანი ვისნიმე, არ ავად გამორჩეული...“  
(სტრ. დ. 1841 წ. გამოცემით).

ან კიდევ:

„ჩემი აწ სცანით, ყოველმან, მას ვაქებ ვინცა მიქია,  
ეს მიჩანს დიდად სახელად, არ თავი გამოიქია...“  
(სტრ. კვ. 1841 წ. გამოცემით).

<sup>7</sup> Д. Чубинов. О грузинской поэме Вепхис-Ткассани или Барсова Кожа, ЖМНП, 1842, № 8, ცალკე ამონაბეჭდი, გვ. 4; შტრ. მისივე, ქართული ქრისტომატია, სპბ., 1846, II გვ. III.

<sup>8</sup> იქვე, გვ. 15.

მაშასადამე, დ. ჩუბინაშვილი თავის პირველსავე რუსთველოლოგიურ ნაშრომში გარკვევით მიუთითებდა რუსთველის ადრინდელ ლექსებზე, რომლებიც შინაარსობრივად და ჟანრობრივად თამარის სამკებრო-სახოტბო ლექსები (და არა სხვა ხასიათის ან ჟანრის თხზულებები) უნდა ყოფილიყო. დ. ჩუბინაშვილი, როგორც ვხედავთ, ამ მხრივ პ. ინგოროყვას ერთგვარ წინამორბედადაც გვევლინება, ოღონდ კონკრეტულად არაფერს გვეუბნება, მაინც რა ლექსები უნდა ყოფილიყო ისინი.

ამის შემდეგ, დ. ჩუბინაშვილმა თავის მომდევნო შრომებში უკვე კონკრეტულად სახელდებით დაბეჭდა შოთა რუსთველის ეს ე. წ. სხვა ლექსებიც.

1846 წელს თავისი „ქართული ქრისტომატიის“ პირველ ნაწილში „ქართული ანდაზების“ სათაურს ქვეშ დ. ჩუბინაშვილმა შეიტანა:

„ძილოსოფოსნი, შემოკრბენ, ამაზედ ჰქონდათ ცილობა,  
ბატონი კაცსა ასაქმებს და კჳუას გამოცდილება,  
ათასად გვარი დაფასდა, ათი ათასად ზდილობა.  
თუ კაცი თავად არ ვარგა, ცუდია გვარი-შვილობა“<sup>9</sup>.

1860 წელს დ. ჩუბინაშვილს, ეტყობა, შეხედულება შეუცვლია და ეს „ქართული ანდაზა“ წყაროს მიუთითებლად შოთა რუსთველის თხზულებად გამოუცხადებია. 1860 წელს დ. ჩუბინაშვილის მიერ პეტერბურგში გამოცემული ვეფხისტყაოსნის სატიტულე ფურცელზე ვკითხულობთ:

„ძილოსოფოსნი შემოკრბენ, ამაზედ ჰქონდათ ცილობა,  
ბატონი კაცსა ასაქმებს და კჳუას გამოცდილობა.  
ათასად გვარი დაფასდა, ათი-ათასად ზდილობა,  
თუ კაცი თავად არ ვარგა, ცუდია გვარი-შვილობა.“

შოთა რუსთველი“<sup>10</sup>.

1887 წელს, როგორც ცნობილია, პეტერბურგში გამოვიდა „საუნჯე ქართულის ენისა. ქართულ-რუსული ლექსიკონი, ხელ-ახ-

<sup>9</sup> ქართული ქრისტომატია, I, სპბ., 1846, გვ. 394.

<sup>10</sup> ვეფხისტყაოსანი, თქმული შოთა რუსთველისაგან, თამარ მეფის დროს. ახლად დაბეჭდილი დავით ჩუბინოვისაგან განმარტებითურთ, სპბ., 1860.

ლად შემუშავებული დავით ჩუბინოვისაგან“, რომელსაც წინ წაუმძღვარა „ქართული ლრამმატიკა, ახლად შედგენილი დავით ჩუბინოვისაგან“. ამ ნაშრომის იმ ნაწილში, რომელშიც ჩამოთვლილია „ლექსნი ქართულის ენისა“, VII სახეობად მოტანილია: „შაირი, ან თექვსმეტ მარცტლოვანი შაირი, მექონი ოთხის ლექსისა ტაეპში და თვითოეული ლექსი განყოფილი ორად. ძაგალ:.

ფილოსოფოსნი შემოკრბენ,||ამაზედ ჰქონდათ ცილობა,  
ბატონი კაცსა ასაქმებს,||და ჰკუას გამოცდილობა,  
ათასად გვარი დაფასდა,||ათი ათასად ზდილობა,  
თუ კაცი თითონ არ არის,||ცუდია გვარი შვილობა.

შოთა რუსთველი<sup>11</sup>.

ლექსი ვარიანტულად განსხვავდება 1860 წელს დაბეჭდილი ტექსტისაგან და ბოლო ტაეპით უახლოვდება ამ ლექსის თეიმურაზ ბაგრატიონისეულ ჩანაწერს<sup>12</sup>, მაგრამ მთავარი მანძი ისაა, რომ თავისი მეცნიერული მოღვაწეობის უკანასკნელ ეტაპზე დავით ჩუბინაშვილს ეს ლექსი შოთა რუსთველის ნაწარმოებად მიაჩნდა<sup>13</sup>, ოღონდ. როგორც ვთქვით, იგი არაერთარ წყაროს არ ასახელებს, შ. ონიანის სიტყვებით, „აშკარაა, მეცნიერი აქ ემყარება ხალხურ ზეპირსიტყვიერებას, მაგრამ ამის შესახებ თვითონ ის არაფერს ამბობს არც გამოცემისადმი წამძღვარებულ წერილში და არც სხვაგან სადმე. დავით ჩუბინაშვილის შემდეგ „ფილოსოფოსნი შემოკრბეს“ გავრცელდა სამეცნიერო ლიტერატურაში“<sup>14</sup>.

დ. ჩუბინაშვილის კვალობაზე აღნიშნული ლექსის ავტორად შოთა რუსთველს აცხადებენ ალ. ხახანაშვილი<sup>15</sup>, ნ. მარი<sup>16</sup>, ა. წერე-

<sup>11</sup> დ. ჩუბინოვი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, სპბ., 1887, გვ. XXXIX.

<sup>12</sup> შდრ. გ. შარაძე, თეიმურაზ ბაგრატიონი, II, თბ., 1974, გვ. 14, 18—19.

<sup>13</sup> შდრ. ლ. მენაბდე, დას. ნაშრ., გვ. 14; შ. ონიანი, ეკუთვნის თუ არა რუსთველს ლექსი „ფილოსოფოსნი შემოკრბეს“, თბ., 1976, გვ. 78.

<sup>14</sup> შ. ონიანი, დას. ნაშრ., გვ. 6; ოღონდ აქვე შევნიშნავთ, რომ შ. ონიანი არ იცნობს დ. ჩუბინაშვილის ამ უკანასკნელ (1887 წ.) პუბლიკაციას.

<sup>15</sup> ალ. ხახანაშვილი, ქართ. სიტყვ. ისტორია, თბ., 1904, გვ. 374—375.

<sup>16</sup> ნ. მარი, ქართველთა ეროვნება, ქუთაისი, 1905, ვ. 51—52.

თელი<sup>17</sup>, მ. ჭანაშვილი<sup>18</sup> და სხვები, ხოლო ჩვენს დროში ი. მეგრელიძე<sup>19</sup> და ლ. მეტრეველი<sup>20</sup>.

თანამედროვე რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში ამ მოსაზრებას დაბეჯითებით იცავს შ. ონიანი<sup>21</sup>; ალ ბარამიძის შეფასებით, „ჩვენ დამარწმუნებლად არ მიგვაჩნია შ. ონიანის ცდა, ეს აფორიზმი მიაკუთვნოს შოთა რუსთველის კალამს. ოღონდ მან ექვემდებარება XV—XVI საუკუნეთა მიჯნაზე მოღვაწე პოეტი სერაპიონ საბაშვილი („როსტომიანის“ გამლექსავი). მაშასადამე, თვითონ ხალხური აფორიზმი წარმოშობით უთუოდ ძველია და შესაძლებელია მართლაც დაუკავშიროთ ძველი ქართული კულტურის კლასიკურ პერიოდს“<sup>22</sup>.

ჩვენის მხრით კი დავძენთ: მიუხედავად იმისა, რომ ლენინგრადსა და ბუდაპეშტში ჩვენ მივაკვლიეთ და გამოვაქვეყნეთ ამ ლექსის ორი უძველესი ჩანაწერი (თეიმურაზ ბაგრატიონისეული და ბელა ვიკარისეული)<sup>23</sup>, მაინც ძნელია გადაჭრით რაიმეს თქმა—„ფილოსოფოსნი შემოკრბეს“ მაინცდამაინც ფოლკლორულია თუ რუსთველისეული, სანამ არ აღმოჩნდება ამის დამამტკიცებელი პირდაპირი ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის საბუთი.

„ქართული ქრისტომატიის“ პირველი გამოცემის მეორე ნაწილში 1846 წელს დ. ჩუბინაშვილმა დაბეჭდა თითქოსდა შოთა რუსთველის კიდევ ერთი ასეთი თხზულება:

---

<sup>17</sup> ა. წერეთელი, თხზულებანი, VI, თბ., 1957, გვ. 54, 174, 192.

<sup>18</sup> მ. ჭანაშვილი, თამარ მეფე, 1917, გვ. 93.

<sup>19</sup> И. Мегрелидзе, Руставели и фольклор, 1960, с. 114—132.

<sup>20</sup> ლ. მეტრეველი, კაცობა და გვირგვინობა, „ლიტ. საქართველო“, 1938, № 5.

<sup>21</sup> შ. ონიანი, ხალხში გავრცელებული ერთი ლექსის შესახებ, „ლიტ. გაზეთი“, 1, III. 1957; მისივე, ეკუთვნის თუ არა რუსთველს ლექსი „ფილოსოფოსნი შემოკრბეს“, თბ., 1976.

<sup>22</sup> ალ. ბარამიძე, შოთა რუსთველი, თბ., 1975, გვ. 318.

<sup>23</sup> გ. შარაძე, თეიმურაზ ბაგრატიონის ფოლკლორული ჩანაწერები „მაცნე“, 1969, № 5, მისივე, თეიმურაზ ბაგრატიონი, II, თბ., 1974, გვ. 14, 18—19; მისივე, ქართული სიმღვედენი ბუდაპეშტში, „ლიტ. საქართველო“, 7. VIII. 1970, მისივე, არქეოგრაფიული ძიებანი, თბ., 1973, გვ. 124. მისივე, მასალები ბელა ვიკარის არქივიდან, თბ., 1981, გვ. 54—56.

„იამბიკო ესე თქმული რუსთველის მიერ, ზედა-წარწერილ-არს ხატსა ზედა ხახულის ღვთის-მშობლისასა:

ქალწულებრივთა სისხლთა შენთაგან სძალო,  
თბედ საიდუმლოდ ზენაჲსა განებით(!),

ძის ღვთისა ძედ მეშუ იქმენ, არსთა მაცხოვნად:

მე თამარ მჩენი ტომთაგან დავითებრთათ,

მამკევ, შემამკევ, მადიდე, აღმამალღე.

აწ მეცა ველ-ვაყავ შემკობად ხატსა შენსა

ღედისა ძითურთ, და მეცა ძითურთ მფარველ“<sup>24</sup>.

საგულისხმოა, რომ ეს იამბიკო დ. ჩუბინაშვილმა კვლავ შეიტანა ვეფხისტყაოსნის 1860 წლის გამოცემის დამატებად ოდნავ შეცვლილი სათაურით: „იამბიკო ესე, თქმული შოთთა რუსთველის მიერ, ზედა—წარწერილ—არს ხატსა ზედა ხახულის ღვთის—მშობლისა“ და აქვე გაასწორა პირველ გამოცემაში გაპარული კორექტურული შეცდომა: განებით] განგებით<sup>25</sup>.

ამის შემდეგ, 1897 წელს, თ. ჟორდანიამ თავისი „ქრონიკების“ ზეორე წიგნში შეიტანა იგივე იამბიკო, როგორც მას უნახავს მე-18 საუკუნეში იოილ მესხიევის მიერ გადაწერილ „ქართველთ წმინდათა მამათა ცხოვრების („მარტირიკის“) ხელნაწერში. თ. ჟორდანიას წერდა: „იმავე მარტირიკაში იმავე ხელით შეტანილია:

...ბ) იამბიკო ესე არს თქმული რუსთველის მიერ, რომელი წერილ არს ხატსა ხახულისა ღვთისმშობლისასა:

ქალწულებრივთა სისხლთა შენთაგან, სძალო, [თბედ საიდუმლოდ ზენაჲსა განგებისად ძისა ღვთისა| ძედ მეშუ იქმენ არსთა მაცხოვნად| მე თამარ მჩენი ტომთაგან დავითისებრთათ| მამკევ, შემამკევ, მადიდე, აღმამალღე.| აწ მეცა ველვავ შემკობად ხატსა თქვენსა| ღედისა ძითურთ და მეცა ძითურთ მფარველ“<sup>26</sup>.

დ. ჩუბინაშვილზე მითითებით, „ქალწულებრივთა სისხლთა“ კ. ჭიჭინაძის 1934 წელს დაბეჭდილი აქვს „რუსთველის სახელით ცნობილ ლექსებს“ შორის, თუმცა იქვე შენიშნავდა, „ყველაზე ნაკლები საფუძველი მაქვს, რომ იგი რუსთაველს მიეწეროსო“<sup>27</sup>, ხოლო პ. ინგოროყვამ იგი თამარ მეფის იამბიკოდ მიიჩნია<sup>28</sup>.

<sup>24</sup> ქართული ქრისტომატია, II. სპბ. 1846, გვ. 224.

<sup>25</sup> იქვე, ნაწილა მეორე, სპბ., 1860, გვ. 244.

<sup>26</sup> თ. ჟორდანიას. ქრონიკები, II, ტფ., 1897, გვ. 52.

<sup>27</sup> ვეფხისტყაოსანი, კ. ჭიჭინაძის რედაქციით, გამოკვლევით და შენიშვნებით, თბ., 1934, გვ. 271—273.

<sup>28</sup> პ. ინგოროყვა, თამარ მეფის იამბიკონი, „მნათობი“, 1941, № 3.

მაგრამ რ. ყენიას გამოკვლევას თანახმად, „ეს იამბიკო, რომელიც თამარ მეფის ღვწულს აღნიშნავს ხახულის ხატის მიმართ, არსად არ გვხვდება, არც თვით ედრეზის ღვთისმშობლის ხატზე და არც კარედზე. ასევე არც ის სამი წარწერა თამარ მეფის სახელით, რომელიც შოპყუკა დ. ვ. ლამბაშიძეს ნარკვევში გელათის მონასტერზე (იხ. Гелатский монастырь и жизнеописание благородного царя Давида Возоблавителя, 1909). კარედზე მხოლოდ ერთი წარწერაა, რომელზედაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი (იგულისხმება: „ე'რ ძეჭლსადვე...“ და „ხოლო ახალმან...“, რომელიც დავით აღმაშენებლისა და დემეტრე მეფისადმია მიძღვნილი, გ. შ.). სხვა წარწერა ან თვით ედრეზის ხატზე, ან კარედზე რომ ყოფილიყო, უსათუოდ ექნებოდა აღნიშნული მ. ბროსეს, რომელმაც ხატი მის გაძარცვამდე ნახა და პირველმა გამოსცა მისი წარწერა (იგულისხმება: M. Brosset, Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie et le Arménie, Rapp. XI, St—Ptb., 1851, გვ. 19—გ. შ.)“<sup>29</sup>.

როგორც ვხედავთ „რუსთველის მიერ თქმული იამბიკო ესე“ არასოდეს არ ყოფილა „ზედა-წარწერილ ხატსა ზედა ხახულის ღვთის-მშობლისასა“, როგორც ამას დ. ჩუბინაშვილი გვამცნობს. მაგრამ რა ვუყვით თ. უორდანიას მიერ მოძიებულ „მარტირიკის“ ასეთსავე ცნობას? ეტყობა, მას რაღაც ხელნაწერი ტრადიცია მაინც ჰქონია, თუ თვითონ ხახულის ხატზე არ იყო „ზედა-წარწერილი!“.

მაგრამ ძლიერ საინტერესოა რ. ყენიას მიერ მოწოდებული ცნობა, რომლის მიხედვით არსებულა ხახულის კიდევ მეორე ხატი (კახეთში). იქნებ ხახულის ამ მეორე ხატზე იყო „ზედა-წარწერილი“ ჩვენთვის საინტერესო რუსთველის სახელით ცნობილი იამბიკო „ქალწულებრივთა სისხლთა შენთაგან სძალო...“?

საინტერესოა ერთი იამბიკოს ბედი, რომელიც დ. ჩუბინაშვილმა ჯერ თამარ მეფის ავტორობით დაბეჭდა, შემდეგ კი შოთა რუსთველს მიაკუთვნა.

„ქართული ქრისტომატიის“ მეორე ნაწილის 1846 წლის გამოცემის 223-ე გვერდზე ვკითხულობთ:

<sup>29</sup> რ. ყენია, ხახულის ღვთისმშობლის ხატის კარედის მოკვდილობა, თბ., 1972, გვ. 31, შვშ. 88.

„თ[ა]მარ მეფემ რომ ხალიფაზე გაიმარჯვა, ხახულის ღუთ[ი]ს  
-მშობელს დროშა და მანიაკი მიართვა, ეს იამბიკო ხუთეული ოც-  
-და-ხუთ ლექსად აღსწერა“.

ამ დასათაურებას მოსდევს შემდეგი ტექსტი:

„ცასა ცათასა დამწყები ღმერთ-მთავრობა,  
ძე საუუენობს პირველი და კუალადი,  
სელმან ღუთისამან სრულ ჰყო აროდეს ქმნადი,  
სამებით სრულმან ერთითა ღუთსაეებითა,  
მიწით პირმშოსა პირველისა კაცისა:  
შენ მიერ მის თვის დრკუისა მის განმგები,  
როს დრკუი მისდრკა უენები ვნებისადმი,  
იენო და ვნება პირველი უენებელ-ჰყო,  
შენგან შობილმან ჩვენ ღირს გყჷნა აღმშობად,  
ბნელით ნათელსა, ნათლითა მხედველობად:  
შენგან ქალ-წულო, რომელსა შენ თვის დავით  
როკვიდა ძისა ღუთისა ძედ შენდა ყოფად  
მე თამარ მიწა ესე შენი და მერამე  
ცხებულობასა ღირს-მყავ და თვსობასა.  
ედემს ღადირად სამხრით უკუჷ და ჩრდილოთ  
შუა მფლობელი იავარს შენდა ვმრთმელობ.  
ხალიფას დროშას, თანავე მანიაკსა  
შევრთე ცრუ სჯულთა მოძღუირისა ღაზოდ მძღენი;  
ვით დავით ეფრემის ძეებრ მოისარმან,  
მოირთხნა, მოსრნა სულტანთა ათაბაგი:  
ირანს ებრძოლნეს ჩჷმნ მიერ სპათა მისთა,  
ჩვენნი მხედარნი, მოსავნი შენნი, სძალო,  
მოსწყლნეს, მოსწყვიდნეს აგარის ნათესავნი.  
მუნით მოხმულთა ნიკთაგან ერთსა ამას  
შენდა შევსწირავ, მიოხე ძეებრ ღმერთი:“<sup>30</sup>

გეფხისტყაოსნის 1860 წლის გამოცემაში დ. ჩუბინაშვილმა  
აღნიშნული იამბიკო უკვე შოთა რუსთველის თხზულებად გამოაც-  
ხადა: „თამარ მეფემ რომ ხალიფაზე გაიმარჯვა, ხახულის ღუთის-  
-მშობელს დროშა და მანიაკი მიართვა, ეს იამბიკო ხუთეული ოც-  
-და-ხუთ ლექსად კსთქვა შოთთა რუსთველმან“ (აქვეა დაბეჭდილი  
ეგივე ტექსტი)<sup>31</sup>.

<sup>30</sup> ქართული ქრისტომატია, II, სპბ., 1846, 223—224.  
<sup>31</sup> ქართული ქრისტომატია, II, სპბ., 1860, გვ. 243—244.



აღნიშნული იამბიკო შესულია „ქართლის ცხოვრებაში“, კერძოდ „ისტორიანსა და აზმანში“, მაგრამ იგი აქ თამარ მეფეს მიეწერება<sup>32</sup>. ამ ცნობის მიხედვით პ. ინგოროყვა<sup>33</sup>, რომლის აზრს იზიარებს ს. ყაუხჩიშვილიც<sup>34</sup>, „ცასა ცათასას“ ავტორად თამარ მეფეს აცხადებს. დ. ჩუბინაშვილიც, როგორც ვთქვით, ადრე (1846 წ.) ამ იამბიკოს თამარს აკუთვნებდა, მაგრამ შემდეგ (1860წ.) მის ავტორად უკვე შოთა რუსთველი მიაჩნია. ერთგვარი დაეჭვებით, მაგრამ მაინც „რუსთველის სახელით ცნობილ ლექსად“ აქვეყნებდა მას კ. ჭიჭინაძე<sup>35</sup>. კ. კეკელიძეს ეჭვი შეაქვს ამ ლექსის თამარის ავტორობაშიც კი, ხოლო მისი რუსთველისეულად აღიარების საკითხი კ. კეკელიძისათვის არც მდგარა<sup>36</sup>.

#### დავით ჩუბინაშვილი და ვეფხისტყაოსნის პირველი რუსული პოეზიური თარგმანი

ვეფხისტყაოსნის ცალკეული სტროფების პირველი პწყარედული და პროზაული რუსული თარგმანები დ. ჩუბინაშვილამდე ადრეც იბეჭდებოდა რუსულ სამეცნიერო ლიტერატურასა თუ პერიოდულ გამოცემებში<sup>1</sup>. 1845 წელს კი ჟურნ. «Иллюстрация»-ში (№№6, 7) გამოქვეყნდა ვეფხისტყაოსნის პირველი რუსული პოეტური თარგმანი, რომელიც ალ. ბარამიძის შეფასებით, „ვეფხისტყაოსნის რუ-

<sup>32</sup> ქართლის ცხოვრება, II, ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს გამოცემა, თბ., 1959, გვ. 282—283.

<sup>33</sup> პ. ინგოროყვა, თამარ მეფის იამბიკონი, „მნათობი“, 1941, № 3, გვ. 132—145.

<sup>34</sup> ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ და ითან პეტრიწი, „საქ. მეცნ. აკადემიის მოამბე“, III, № 1, 1942, გვ. 89; იხ. აგრეთვე, ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 74. შნშ. 4—5.

<sup>35</sup> იხ. ვეფხისტყაოსანი, კ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ი ს რედაქციით, გამოკვლევათა და შენიშვნებით, თბ., 1934, გვ. 271—273.

<sup>36</sup> კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II<sup>4</sup>, თბ., 1958, გვ. 282—283, შნშ. 2; იხ. აგრეთვე ლ. მ ე ნ ა ბ დ ე, დას. ნაშრ., გვ. 14.

<sup>1</sup> Е. Болховитниов, Историческое изображение Грузии..., СПб, 1802, с. 91; ე. «Телескоп», М., 1833, № 5, გვ. 69. ამის შესახებ დაწვრილებით იხ. გ. შ ა რ ა ძ ე, ვეგენი ბოლხოვიტინოვი—პირველი რუსი რუსთველოლოგი, თბ., 1978, გვ. 71—77.

სულ ენაზე თარგმნის პირველი სერიოზული ცდაა<sup>2</sup>, შესრულებული პოეტ იპოლიტე ბარტდინსკის მიერ. როგორია ამ თარგმანის და კერძოდ, მასში დ. ჩუბინაშვილის მონაწილეობის ისტორია?

პირველ ცნობას, ვეფხისტყაოსნის რომელიღაც ახალი რუსული თარგმანის მზადების თაობაზე, ვპოულობთ პოემის 1841 წლის გამოცემის წინასიტყვაობაში, რომელიც მ. ბროსეს ეკუთვნის: „...თუ ოდესმე იბეჭდება თარგმანი რამე ვეფხის-ტყაოსნისა (როგორც გამიგონია რუსულად ითარგმნა ვისგანმე და მეცა ჭრანციცულად ვამზადებ), იმედი მაქვს რომ სიხარულით მიიღონ ევროპაში“ (გვ. XI).

სულ მალე, 1842 წელს გამოქვეყნებულ ზპეციალურ რუსთველოლოგიურ ნაშრომში ვეფხისტყაოსნის პირველი სტროფის („რომელმან შექმნა სამყარო...“) რუსულ ტრანსკრიფციასთან ერთად დ. ჩუბინაშვილმა შეიტანა მისი სიტყვა-სიტყვითი რუსული თარგმანიც, რომელიც განსხვავდება ამავე სტროფების ებოლხოვიტინოვისეული ადრინდელი თარგმანისაგან და ლ. ანდლულაძის სიტყვებით, „თუ ამ ორ თარგმანს შევადარებთ ცხადი ხდება ჩუბინაშვილის თარგმანის მეტი პოეტურობა“<sup>3</sup>. მოგვყავს ეს თარგმანიც:

«Кто создал вселенную силою своею всемогущею,  
И, одарив существа дуновением с небес,  
Дал нам людям землю не исчислимо уразноображенную.  
От него суть Царя и его суть подобие»<sup>4</sup>.

ამავე ნაშრომში, დ. ჩუბინაშვილი, სხვათა შორის იმასაც წერდა, რომ ვეფხისტყაოსანი, ისევე როგორც ყოველი აღმოსავლური პოეზიის ძეგლი, ევროპულ ენებზე თარგმნისას ჰკარგავენ თავიანთ ფასს და ფერმერთაღდებიანო («Известно, как все Восточные стихотворения бледнеют, теряют свою цену, будучи переведены на языки Европейские...», გვ. 14).

<sup>2</sup> ა. ლ. ბარამიძე, შოთა რუსთველი, თბ., 1975, გვ. 324.

<sup>3</sup> ლ. ანდლულაძე, ვეფხისტყაოსნის რევოლუციონდელი რუსი მთარგმნელები, კრებ. „ძველი ქართული მწერლობის საკითხები“, III, თბ. 1968, გვ. 124.

<sup>4</sup> Д. Чубинов, О грузинской поэме Вепхис-Ткаосани или Баргоза кожа, ЖМНП, 1842, № 8, ცალკე. ამონაბეჭდი, გვ. 10.

ამის შემდეგ, როგორც ვთქვით, 1845 წელს, სანკტ-პეტერბურ-  
გულ ყოველკვარეულ მხატვრულ-ლიტერატურულ ჟურნალ «Иллю-  
страция»-ში (№№: 6, 7), И. Бартдинский-ს ხელმოწერით გამოქვეყ-  
ნდა «Тарнелъ-Барсова кожа»<sup>6</sup>. ტექსტი შეიცავს ვეფხისტყაოსნის  
დასაწყისი ნაწილის 1—14 სტროფის პოეტურ თარგმანს. აღნიშნუ-  
ლი თარგმანი მთლიანად შევადა 1846 წელს ს.-პეტერბურგში გა-  
მოსულ დ. ჩუბინაშვილის „ქართული ქრისტომატიის“ მეორე ნა-  
წილში (ხელმოწერილია დასაბეჭდად 1846 წლის 8 ოქტომბერს)<sup>7</sup>,  
ხოლო მანამდე, 1846 წლის 6 ივლისს ვაზ. „კავკაზში“ დ. ჩუბინა-  
შვილმა პოემის ი. ველახოვისეულ რუსულ თარგმანზე გაკეთებულ  
კრიტიკულ შენიშვნებს ნიმუშის სახით დაურთო ი. ბარტდინსკი-  
სეულ თარგმანის 14 სტროფი<sup>7</sup>. ამის გარდა, ამ თარგმანის ფრაგ-  
მენტები სხვადასხვა დროს სხვაგანაც ქვეყნდებოდა<sup>8</sup>.

მ. ბროსეს ზემომოყვანილი ცნობა სწორედ ამ თარგმანზე მუ-  
შაობის დაწყებას უნდა გულისხმობდეს<sup>9</sup>, ხოლო რაც შეეხება  
ი. ბარტდინსკის ქართველი კონსულტანტების—გრიგოლ დადიანი-  
სა და დავით ჩუბინაშვილის წვლილს ამ თარგმანის მოძიადების  
საქმეში, იგი სპეციალურ განხილვას მოითხოვს.

თავდაპირველად აქ ისევ მ. ბროსეს სხვა ცნობა უნდა დავი-  
ძოწმოთ: დ. ჩუბინაშვილის მიერ 1846 წელს შედგენილ ქრისტომა-  
ტიის „რუსულად დაწერილ წინააღიყვარებაში ჩართულია 142  
სტროფის (586 ტაეპის) თარგმანი, რომელიც ბ. [ი.] ბარტდინსკიმ

---

<sup>6</sup> Тарнелъ—Барсова кожа. Поэма. «Иллюстрация», С.-Петербург, 1845, 12 мая, № 6, гв. 82—83; 19 мая, № 7, гв. 98—99.

<sup>7</sup> ქართული ქრისტომატია, ნაწილი მეორე, სპბ., 1845, გვ. I X—XXVIII,

<sup>7</sup> Д[авид]—Ч[убинов], Замечания на перевод Барсовой кожи, ვაზ. «Кавказ» 6. VIII. 1846, № 27, гв. 107; იგივე გადმობეჭდილია: «Сборник газеты Кавказ», издаваемый О. И. Константиновым, второе по-  
лугодие, 1846 года, Тиф., 1847, с. 7—10.

<sup>8</sup> А. Н. Муравьев, Грузия и Армения, ч. III, СПб., 1848, с. 216—235; Вл. Р. Зотов, История всемирной литературы, I, СПб, 1877. с. 311—317; Е. С. Сталинский, Барсова кожа..., Тиф., 1888.

<sup>9</sup> ლ. ანდლულაძე, ვეფხისტყაოსნის რევოლუციამდელი რუსი მთარგმნელები, კრებ. „ძველი ქართული მწერლობის საკითხები“, III, თბ. 1968, გვ. 139.

შეასრულა რუსული ჰეგზამეტრიით. [ი.] ბარტდინსკიმ გამთიყენა მრავალი ქართველის მიერ პროზად შესრულებული პწყარედი. ეს თარგმანი ჯერ კიდევ 1845 წელს მიიღო რუსმა მკითხველმა — იგონებდა მ. ბროსე 1877 წელს<sup>10</sup>.

ვის გულისხმობდა მ. ბროსე ამ „მრავალი ქართველის“ ქვეშ, რომელთაც ი. ბარტდინსკის, რომელმაც ქართული არ იცოდა, ვტ-ის „პროზად შესრულებული პწყარედი“ მიაწოდეს?

ერთი მათგანის ვინაობა პირველად გაამკლვნა თვითონ დავით ჩუბინაშვილმა, რომელმაც 1846 წლის 6 ივლისს გაზ. „კავკაზში“ (№ 27) ვეფხისტყაოსნის ევლახოვისეულ თარგმანთან დაკავშირებით გამოქვეყნებული თავისი „შენიშვნების“ ბოლოს შემდეგი განაცხადა: «Я помещаю здесь, с позволения Автора и нарочно на этот предмет послание г. Бартдиского к Светлейшему Князю Г.—Л. Даднани-Мингрельскому, в котором он приглашает его, как поэта и соотечественника Руставеля, соединить с ним труды свои, для перевода Барсовой кожи»<sup>11</sup>.

მართლაც, ამ ნ-სტროფიან „მიძღვნაში“ ი. ბარტდინსკი სხვათა შორის ასე მიმართავდა გ. ლ. დადიანს:

Пора, пора сломать печать забвенья,  
И в глушь веков промять себе следы,  
Дай руку мне, товарищ вдохновенья,  
Пойдем к ключу — испить живой воды!<sup>12</sup>

მაშასადამე, რუსი პოეტის ამ ლექსიდანაც კარგად ჩანდა, რომ გ. ლ. დადიანი მისთვის ყოფილა „товарищ вдохновенья“ ამ მეტად საპასუხისმგებლო საქმეში.

<sup>10</sup> M. Brosset, De la littérature romanesque géorgienne, Bull. de l'Académie impériale de Sciences, XXIV, 1877; აგრეთვე, Mélanges Asiatiques, 1877, VIII; ქართული თარგმანი იხ. კრებ. „რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში“ თბ., 1976, გვ. 66, 420; შდრ. ი. მ. ე. გ. რ. ე. ლ. ი. ძე, რუსთველიალოგები, თბ., 1970, გვ. 69.

<sup>11</sup> Д. Чубинов, Замечания..., Кавказ, б. VII, 1846, № 27, с. 106.

<sup>12</sup> იქვე, გვ. 106.

ამ „ბრწყინვალე თავადის“ — გ. ლ. დადიანი-მინგრელსკის, იგივე გრიგოლ ლევანის ძე დადიანის, ქართულ მწერლობაში კოლხიდელისა და იოანე გეგეჭკორის ფსევდონიმებით კარგად ცნობილი პირის (1814—1902) მონაწილეობა რუსთველის პოემის ბარტდინსკისეული რუსული თარგმანის მომზადებაში დაადასტურა ცნობილმა რუსმა მეცნიერმა ა. ნ. მურაჯოვმა: «Даднан... передавал ему [Бартдінскому] мысли и слова, с языка, чуждого переводчику, будучи сам проникнут родною поэзией»<sup>13</sup> და შემდეგ საკმაოდ მტკიცედ დამკვიდრდა სამეცნიერო ლატერატურაში<sup>14</sup>. საერთოდ, გრიგოლ დადიანი ვეფხისტყაოსნის რუსულად თარგმნითა და გამოცემით რომ ძლიერ ყოფილა დაინტერესებული, ეს ცხადყო ს. ყუბანეიშვილის მიერ გამოვლენილმა მასალებმაც<sup>15</sup>.

მაგრამ ი. ბარტდინსკის დამხმარედ მ. ბროსე რომ მრავალ ქართველს («...exécutee a l'avance pour lui par plusieurs géorgiens») მიუთითებდა? აქაც ისევ დ. ჩუბინაშვილი გეშველის მათი ვნახობის დახუსტებაში: 1846 წელს, როგორც ვთქვით, თავის მიერ შედგენილ „ქართული ქრისტომატიის“ მეორე ნაწილში დ. ჩუბინაშვილმა მთლიანად დაბეჭდა ბარტდინსკისეული თარგმანი, რომელსაც ასეთი შენიშვნა

<sup>13</sup> А. Н. М у р а в ь е в, Грузия и Армения, ч. III, СПб., 1848, с. 235.

<sup>14</sup> Вл. З о т о в, История всемирной литературы, I, СПб. — М., 1877, гл. 343. Е. С т а л и н с к и й, Барсова-кожа, груз. поэма Шота Руставели, вып. II, Тиф. 1888, гл. 4; ს. ქ ა ნ ა შ ი ა, „ვეფხისტყაოსნის“ პირველი რუსული თარგმანის გამო. „ლიტ. გაზეთი“, 30. I. 1935, № 5. მ ი ს ი ე ე, გიორგი შარვაშიძე, ნარკვევი აფხაზეთისა და სამეგრელოს კულტურული ისტორიიდან „მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის“, III, თბ., 1939, გვ. 50—54; გიორგი შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, აკად. ს ი მ ი ნ ქ ა ნ ა შ ი ა ს რედაქციითა და ნარკვევით, სოხუმი, 1946, გვ. 46—50; ს. ლ. ც ა ი ვ ე ლ ი, იოანე გეგეჭკორისა და კოლხიდელის იგივეობის შესახებ, „ზუგდიდის მუზეუმის შრომები“, I, თბ., 1947, გვ. 109—130; ტ რ. რ უ ხ ა ძ ე, ქართული ეპოსი გარდამავალი ხანის ლიტერატურაში, თბ., 1939, გვ. 210—211; Г. Б у х н и к а ш в и л и, Первый русский перевод поэмы Руставели. «Заря Востока», 5. VI. 1937, № 127, 6. მ ა ხ ა თ ა ძ ე, ქართული კულტურის კერა პეტერბურგში, თბ., 1967, გვ. 168—170. ლ. ა ნ დ დ უ ლ ა ძ ე, დას. ნაშრ., გვ. 126. შმდ.

<sup>15</sup> ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, ვეფხისტყაოსნის რუსულ ენაზე თარგმნის და გამოცემის პირველი ცდა, „ზუგდიდის მუზეუმის შრომები“, I თბ., 1947, გვ. 385—392.

წარუმძღვარა: «Перевод сего отрывка, в котором я был участником, принадлежит г. Бартдинскому»<sup>16</sup>.

ვეფხისტყაოსნის რუსულად თარგმნაში დ. ჩუბინაშვილი რომ ცხოველ მონაწილეობას ღებულობდა, მოწმობს მისივე სხვა სიტყვებით: «Как соотечественник Руставеля, изучавший его творение,— я принимаю живейшее участие в предприятии подобного рода»<sup>17</sup>, ხოლო ი. ველახოვი—ვეფხისტყაოსნის რუსულად მეორე მთარგმნელი ი. ბარტდინსკის თარგმანის შეფასებისას პირდაპირ სინანულით ამბობდა: «В этом трудном деле я не имел таких опытных руководителей, как счастливый мой соперник»<sup>18</sup>. ცხადია, ერთ-ერთ ასეთ გამოცდილ ხელმძღვანელად იგი დ. ჩუბინაშვილს გულისხმობს.

ახლა საინტერესოა, რაში გამოიხატა დ. ჩუბინაშვილის დახმარება ი. ბარტდინსკისადმი?

ჯერ კიდევ ზ. ჭიჭინაძემ მიუთითა, თითქოს „რუსულ ენაზედ პირველად სთარგმნა ვეფხისტყაოსნის ერთი თავი დავით ჩუბინაშვილმა და დაბეჭდა 1854 წელს პეტროგრადს“<sup>19</sup>. ლ. ანდლულაძის სიტყვებით, ეს „თარგმანი მიგნებული არაა. ჭიჭინაძე, ჩანს, არ იცნობდა სხვა, ამაზე უადრეს თარგმანს. ცნობაში არაა მითითებული, რა ხასიათისა იყო ჩუბინაშვილისეული თარგმანი... აღნიშნული ცნობა მხოლოდ მხარს უჭერს ზემოთ გამოთქმულ ვარაუდს ჩუბინაშვილისეული თარგმანის არსებობის შესახებ“<sup>20</sup>.

ჩვენ ნაკლებად გვჯერა ზ. ჭიჭინაძის ამ ცნობისა, იგი უკეთეს შემთხვევაში, ბარტდინსკისეულ თარგმანში დ. ჩუბინაშვილის მონაწილეობას შეიძლება გულისხმობდეს და 1854 წელი კორექტურული შეცდომა უნდა იყოს ნაცვლად 1845 წლისა.

<sup>16</sup> ქართული ქრისტომატია, II, სპბ. 1846, გვ. IX.

<sup>17</sup> «Кавказ», G. VII. 1846. № 27, გვ. 106.

<sup>18</sup> И. Е в л а х о в, Ответ на замечания Г. Д. Ч. на перевод отрывка из поэмы «Барсова кожа», помещенного в № 15 газеты «Кавказ», «Кавказ», 1846, № 29, 20 июля, с. 113. ქართული თარგმანი იხ. ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიის ქრესტომათია, I, შემდგ. ს. ხუციშვილი, თბ., 1955, გვ. 32—36; იხ. აგრეთვე, «Сборник газеты Кавказ», второе полугодие 1846 года, Тиф., 1847, с. 243—247.

<sup>19</sup> ზ. ჭიჭინაძე, ვეფხისტყაოსანი სხვადასხვა ენაზედ, ეურნ. „რუსთველი“, 1918, № 2, გვ. 10.

<sup>20</sup> ლ. ანდლულაძე, ვეფხისტყაოსნის რევოლუციამდელი რუსი მთარგმნელები..., თბ., 1968, გვ. 125, 130.

3. ბერკოვმა, არ ვიციტ რა წყაროზე დაყრდნობით<sup>21</sup>, პირდაპირ ასე „გამოკვეთა“ დ. ჩუბინაშვილის წვლილი: «Ч у б и н о в п р и г о т о в и л п р о з а и ч е с к и й п е р е в о д н е к о т о р ы х ч а с т е й «Вепхисткаосани» и поручил начинавшему тогда свою литературную деятельность поэту И. Барддннскому по этому подстрочному переводу сделать стихотворную версию. Совместный перевод Чубнинова и Барддннского был помещен в 1845 году...»<sup>22</sup>

ასე შეითხზა ჯერ ზ. კიკინაძისა და შემდეგ პ. ბერკოვის მიერ ვეფხისტყაოსნის დ. ჩუბინაშვილისეული პროზაული რუსული თარგმანის არსებობის ვერსია. მისი გაღრმავება და „ახალი მასალებით“ განმტკიცება სცადა ლ. ანდლულაძემ. იმეორებს რა ზ. კიკინაძის ზემომოყვანილ ცნობასა და პ. ბერკოვს „სინამდვილესთან მიახლოებულ ვარაუდს“, ლ. ანდლულაძე წერს: „ნამდვილი საბუთი, ვფიქრობთ, თვით დ. ჩუბინაშვილის ნაწერშია ამოსაკითხი. ვგულისხმობთ გაზეთ «Кавказ»-ში (1846 № 27) გამოქვეყნებულ წერილს“<sup>23</sup>. ამასვე წერდა იგი უფრო აღრუც: „... ამ წერილში, სადაც ჩუბინაშვილი ვეფხისტყაოსნის ახალ მთარგმნელს ეელახოვს უწუნებს თარგმანს, სანიმუშო მაგალითად მის მიერ შესრულებული თარგმანის სტროფებიც წასცდება ხოლმე. მაგალითად, როცა 53-ე სტროფის მე-4 სტრიქონის („ცრემლსა ვარდი დაეთრთვილა, გულსა მდულრად ანტირსა“) შესახებ წერს, ასე უნდა გეთარგმნაო: «Слезы кипящего сердца ушли на цвет его розы», ბარტდინსკის ეს სტრიქონი სხვაგვარად აქვს: «Плачь сердца слезами тоски обывил свежую розу». ასევე, 55-ე სტროფი („მუნვე სწვიმს წვიმა ბროლისა, ჰვია გიშრისა ღარი სად“) ჩუბინაშვილის თარგმანით ასეა: «В них дождь росил

<sup>21</sup> ყოველ შემთხვევაში, პ. ბერკოვის მიერ ამ შემთხვევისთვის დამოწმებული «В. Р. З о т о в, История всемирной литературы, СПб.—М., 1877, I, 344, стр. Л. Ч у б и н о в, Грузинская хрестоматия, ч. II, СПб, 1846, с. 9» ამ ცნობას არ გვაწვდის.

<sup>22</sup> П. Н. Б е р к о в, Шота Руставели в русской литературе, ИАН СССР, 1938, № 3, с. 49—80. გადაბეჭდილია კრებულში: «Летели русской культуры о Шота Руставели», Тб., 1966 (ჩვენ ამ უკანასკნელით ვსარგებლობთ მათითებისას). с. 269.

<sup>23</sup> ლ. ანდლულაძე, ვეფხისტყაოსნის რეკლუციამდელი რუსი მთარგმნელები... გვ. 130.

хрустали (т. е. слезы) из канала черных камней (т. е. из глаз)». ბარტდინსკისთან ეს სტრიქონი ასეა წარმოდგენილი: «Слезы дождили кристаллы из жолобов черного шерла». ...ზემოთ მოყვანილი მაგალითები ჩვენ მიგვაჩნია ამ პწკარედის ფრაგმენტებად. თვითონ პწკარედი, რომლის არსებობასაც ვვარაუდობთ, ამჟერად უცნობია და შესაძლოა იყოს ჩუბინაშვილის არქივში»<sup>24</sup>.

ჯერ ერთი, აღნიშნული მასალა პ. ბერკოვისთვისაც ცნობილია<sup>25</sup> და სამართლიანი არ იქნებოდა მისი მისამართით გამოთქმული საყვედური, თითქოს „ძირითად საყრდენად მას ჩუბინაშვილისეული განცხადება (იგულისხმება „ქართულ ქრისტომატიკაში“ მოწოდებული ცნობა, — გ. შ.) ჰქონდა გამოყენებული“<sup>26</sup>, ხოლო მკვლევარის განცხადება „აღბათ გარკვეულ მასალებს ეყრდნობოდა პროფესორი ბერკოვი“<sup>27</sup>, როდესაც დ. ჩუბინაშვილის მიერ შესრულებულ ვეფხისტყაოსნის პროზაული თარგმანის არსებობას ვარაუდობდაო, სინამდვილეს არ შეეფერება, რადგან პ. ბერკოვის მიერ დამოწმებული წყაროები (ვლ. ზოტოვი, დ. ჩუბინაშვილი, ა. მურავიოვი) ასეთი დასკვნის გამოტანის საბაზს არ იძლევიან.

რაც შეეხება ევლახოვისეული თარგმანის უზუსტობათა დ. ჩუბინაშვილისეულ ორიოდე გასწორებას, თითქოს ისინი იყოს დაკარგული თუ ჟერჯერობით მიუგნებელი „პწკარედის ფრაგმენტები“, არც ეს არის დამაჯერებელი, რადგან დ. ჩუბინაშვილი იყო მეცნიერი-რუსთველოლოგი, ქართული და რუსული ენების შესანიშნავი მცოდნე და ლექსიკოგრაფი და მას შეეძლო რამდენიმე სტრიქონის, თუნდაც სტროფის დედანთან უფრო მეტად მიახლოებული სიტყვასიტყვითი თარგმანი მოეცა, ვიდრე პოემის როშელზე რუსულად მთარგმნელს, მით უმეტეს პოეტურად მთარგმნელს; მაგრამ ეს არ გვაძლევს უფლებას მთელი პოემის დ. ჩუბინაშვილისე-

---

<sup>24</sup> ლ. ანდლულაძე, ვეფხისტყაოსნის პირველი რუსული თარგმანი, კრებ., „ძველი ქართული მწერლობის საკითხები“, 1, თბ., 1962, გვ. 208; იხ. იგრეთვე, კ. კონწურაშვილი, დავით ჩუბინაშვილი, თბ., 1970, გვ. 81—83.

<sup>25</sup> П. Берков, დას. ნაშრ., გვ. 273.

<sup>26</sup> ლ. ანდლულაძე, ვტ-ის რევოლუციამდელი რუსი მთარგმნელები..., თბ., 1968, გვ. 129.

<sup>27</sup> ლ. ანდლულაძე, ვტ-ის პირველი რუსული თარგმანი..., თბ., 1962, გვ. 208.



ული პროზაული, გნებავთ, პუქარედული, თარგმანის არსებობა წარმოვიდგინოთ.

ამიტომ შემთხვევითა არ უნდა იყოს ი. ევლახოვის მიერ მრავლობით რიცხვში ნათქვამი სიტყვები «...я не имел таких опытных руководителей,» ან კიდევ მ. ბროსეს ასევე დაბეჭილებით ნათქვამი: „ი. ბარტდინსკიმ გამოიყენა მრავალი ქართველის მიერ პროზად შესრულებული პუქარედი“. ცხადია, „გამოცდილი ხელმძღვანელები“ (ი. ევლახოვი)<sup>28</sup>, ან „მრავალი ქართველი“ (მ. ბროსე) მხოლოდ დ. ჩუბინაშვილი ვერ იქნებოდა. და ბოლოსდაბოლოს, ი. ბარტდინსკიმ ხომ მხოლოდდამხოლოდ პოემის 142 სტროფი თარგმნა და დ. ჩუბინაშვილს კიდევ რომ შეესრულებინა მათი „პროზაული“, (პ. ბერკოვი), გინდაც „პუქარედული“ (ლ. ანდლულაძე) რუსული თარგმანი, ეს კიდევ არ ნიშნავს, თითქოს დ. ჩუბინაშვილს ჰქონოდა ვეფხისტყაოსნის სრული პუქარედული თარგმანი და ამდენად, მისი „ჩუბინაშვილის არქივში“ აღმოჩენა გამორიცხულია!

მასასადამე, ჭერჭერობით ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ვეფხისტყაოსნის ი. ბარტდინსკისეული პირველი რუსული პოეტური თარგმანის ფრაგმენტები (სულ 142 სტროფი) შესრულებულია პეტერბურგში მოღვაწე ორი ქართველის — პოეტ გრიგოლ დადიანისა და პროფესორ დავით ჩუბინაშვილის უშუალო დახმარებითა და მონაწილეობით. მათი შრომის ცალ-ცალკე კონკრეტული სახით დაზუსტება დღემდე ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით ჭერჭერობით შეუძლებელია.

ახლა ვნახოთ, რა აზრის იყო დ. ჩუბინაშვილი საერთოდ ვეფხისტყაოსნის თარგმანზე, და კერძოდ, ი. ბარტდინსკისა და ი. ევლახოვის რუსულ თარგმანებზე:

«Чтобы перевести Вепхис-Ткаосани хорошо, и достигнуть классической цели труда, надо сохранить в переводе все отличительные качества подлинника: перевести иначе, значит пе-

---

<sup>28</sup> სხვათა შორის, ლ. ანდლულაძეს მოჰყავს მისი არასწორი ქართული თარგმანი: „მე არ მყოლია ისეთი გამოცდილი ხელმძღვანელი“, რაც ი. ევლახოვის ცნობას ამახინჯებს. იხ. ლ. ანდლულაძე, ვეფხისტყაოსნის რუსულ ენაზე მთარგმნელები, კრებ. „შოთა რუსოველი“, თბ., 1966, გვ. 287.

რეკაზაქ თოქო სოფრჟანნე პოეზიე»—წერდა დ. ჩუბინაშვილი 1846 წელს<sup>29</sup>.

ასეთი სწორი მეთოდოლოგიური პრინციპით უდგება დ. ჩუბინაშვილი ვეფხისტყაოსნის გადათარგმნას და მის შუქზე კრიტიკულად განიხილავს ი. ევლახოვის ნაშრომს, რომელიც 1846 წლის 13 აპრილს (№ 15) გამოქვეყნდა გაზეთი „კავკაზში“. ევლახოვისეული თარგმანი შეიცავს 74 სტრიქონს, რომელშიც წარმოდგენილია „ნახვა არაბთა მეფისაგან მის ყმისა ვეფხისტყაოსნისა“<sup>30</sup>.

დ. ჩუბინაშვილის შეფასებით, «г. Евлахов... решился пересказывать нам только содержанье поэмы: и то неверно, сбивчиво, с прибавками, убивками и другими погрешностями противу оригинала»<sup>31</sup>.

ი. ევლახოვის შრომის საკმაოდ მკაცრი შეფასების საპირისპიროდ დ. ჩუბინაშვილი ქებით იხსენიებს ამაზე აღრე შესრულებულ ი. ბარტდინსკის თარგმანს და მართლაც, ალ. ბარამიძის სიტყვებით რომ გავიმეოროთ, „დ. ჩუბინაშვილი, როგორც ბარტდინსკის თარგმანის ერთგვარი მონაწილე, ვერ იქნებოდა გულგრილი ამ თარგმანისადმი“<sup>32</sup>. დ. ჩუბინაშვილი წერდა:

«Если г. Евлахов не надеялся на собственные силы, почему-ж он не поруководствовался трудом другого переводчика, который прежде его погрузился в 7-ми вековую древность Закавказской Иллиады. ...Я говорю здесь о переводе той же поэмы г. Бардинского, большой отрывок которого, почти в 600 стихов, помещен был в прошлогодних листах Иллюстрации №№ 6 и 7-й. Этот перевод и добросовестен и близок, передает автора из мыс-

---

<sup>29</sup> «Кавказ», 6. VII. 1846. № 27, გვ. 106; დ. ჩუბინაშვილისა და ი. ევლახოვის შორის პოლემიკის თაობაზე იხ. აგრეთვე: И. Б о г о м о л о в, Вопросы древнегрузинской литературы на страницах русской периодики, издававшейся в Грузии (первая половина XIX века) „ლიტ. ძიებანი“, XIV, თბ., 1962, გვ. 341—344; ჟ. კ უ მ ბ უ რ ი ძ ე, ქართული კრიტიკის ისტორია, I, თბ., 1974, გვ. 92—95.

<sup>30</sup> И. Е в л а х о в, Отрывок из поэмы «Барсова кожа» (с грузинского), 13. IV. 1846, № 5, გვ. 59.

<sup>31</sup> «Кавказ», 6. VIII. 1846, № 27, გვ. 106.

<sup>32</sup> ა ლ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, შოთა რუსთველი, თბ., 1975, გვ. 325.

ლი ვ მსოფლიო, იმ კუპლეტა ვ კუპლეტ, იმ სტრსკი ვ სტროკუ... გ. ევლახოვ ვერიო ნე ჩიტალ ეგო»<sup>33</sup>.

ი. ბარტდინსკისეული თარგმანის დ. ჩუბინაშვილის ასეთი ქების მიუხედავად, სულ სხვა აზრისაა ამ თარგმანზე პ. ბერკოვი: «Едва ли можно признать удачным перевод Чубинова»<sup>34</sup>. როგორც ი. ბარტდინსკის, ისე ი. ველახოვის თარგმანთა სათანადო ადგილების ანალიზის საფუძველზე პ. ბერკოვი ასკვნის: «Таким образом, первые попытки познакомить русского читателя с стихотворным переводом поэмы Ш. Руставели следует признать псевдо-творительными» და რომ ი. ბარტდინსკის თარგმანი «не отличается гладкостью и изяществом»<sup>35</sup>. მიუხედავად ამისა, „ბარტდინსკის თარგმანს უთუოდ აქვს ღირსებები. ეგი დიდ ყურადღებას იმსახურებს იმითაც, რომ, როგორც ვთქვით, წარმოადგენს რუსთველის თხზულების პირველი რუსული პოეტური თარგმანის სერიოზულ ცდას“<sup>36</sup> და ამ პირველ სერიოზულ ცდაში დ. ჩუბინაშვილის დეაწლიც უდავოა.

---

<sup>33</sup> «Кавказ», 6. VII 1846. № 27, გვ. 106.

<sup>34</sup> П. Берков, დას. ნაშრ., გვ. 270.

<sup>35</sup> იქვე, გვ. 274.

<sup>36</sup> ა. ლ. ბარამიძე, დას. ნაშრ., გვ. 325.

XIX საუკუნის ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა, პროფესორმა დავით ჩუბინაშვილმა (1814—1891), დიდი ღვაწლი დასდო ქართულ ლიტერატურათმცოდნეობას, ქართულ საისტორიო მეცნიერებას, და განსაკუთრებით, ლექსიკოგრაფიას, აგრეთვე თვალსაჩინო წვლილი შეიტანა რუსთველოლოგიის განვითარების ისტორიაში. დავით ჩუბინაშვილს, როგორც პეტერბურგის ქართველოლოგიური სკოლის ღირსეულ წარმომადგენელს, თავის დიდ თანამოსაგრებთან თეიმურაზ ბაგრატიონთან და მარი ბროსესთან ერთად, წილად ხვდა ახალი საფეხური შეექმნა ვეფხისტყაოსნის მეცნიერული შესწავლისა და გამოცემის საქმეში.

ვეფხისტყაოსნის ისტორიულ-ლიტერატურული საკითხების კვლევაში დავით ჩუბინაშვილს ჰყავდა ისეთი წინამორბედები, როგორც იყვნენ ვახტანგ VI და თეიმურაზ ბაგრატიონი, ნაწილობრივ, მარი ბროსეც, ვისთანაც თანამშრომლობით მან ბევრი პირველხარისხოვანი, მათ შორის, რუსთველოლოგიური ნაშრომი შექმნა.

დავით ჩუბინაშვილის რუსთველოლოგიურ ნაშრომებში მოცემულია რუსთველის ეპოქის საქართველოს პოლიტიკურ-სახელმძღვანელობრივი და საზოგადოებრივ-კულტურული მდგომარეობის მეცნიერული დახასიათება, რის საფუძველზედაც დასაბუთებულია ვეფხისტყაოსნის შექმნის ისტორიული აუცილებლობა. რუსთველის წარმომშობ ეპოქას, დ. ჩუბინაშვილის აზრით, საფუძველი ჩაუყარა დავით აღმაშენებელმა, ვინც თავისი კულტურული ორიენტაცია დასავლურ (ბერძნულ-რომაულ-ბიზანტიურ) კულტურაზე აიღო, ხოლო ახალ სიმაღლეზე აიყვანა თამარმა, რომლის მეფობაში შეიქმნა დიდი ქართული საერო მწერლობა (მოსე ხონელი, სარგის თმოგველი, შავთელი, ჩახრუხაძე, რუსთველი).

საყურადღებოა დ. ჩუბინაშვილის მიერ მოწოდებული შოთა რუსთველის ბიოგრაფიული ცნობები, რომლებიც უშთავრესად დამყარებულია ხალხურ გადმოცემებსა და ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსვლის“ ტექსტზე. პოეტის სადაურობის გარკვევისას, დ. ჩუბინაშვილი უპირისპირდება თეიმურაზ ბაგრატიონის შეხედულებას შოთა რუსთველის ე. წ. ჰერეთის რუსთავიდან (ბოსტან-ქალაქიდან) წარმოშობის შესახებ და უბრუნდება ხალხურ გადმოცემებსა და ნაწილობრივ, გვიანდელ ლიტერატურულ წყაროებზე (მეფე-პოეტი არჩილი და სხვ.) დამყარებულ ტრადიციულ თვალსაზრისს შოთა რუსთველის მეწახობაზე, მესხეთის რუსთავიდან წარმომავლობაზე. ადრინდელ ნაშრომებში დ. ჩუბინაშვილი შოთა რუსთველს თამარის მწიგნობართუხუცესად აცხადებდა, ხოლო შემდეგ მანაც პოეტი თამარის მეჭურჭლეთუხუცესად მიიჩნია. რაც შეეხება იერუსალიმის ჯვრის მონასტერში რუსთველის ყოფნასა და მოღვაწეობას, აგრეთვე პოეტის ფრესკული გამოსახულების არსებობას, აქ დ. ჩუბინაშვილი ხალხურ გადმოცემებსა და ტიმოთე გაბაშვილს ეყრდნობა, მაგრამ არ შეეფერება სინამდვილეს დ. ჩუბინაშვილის, ისე როგორც უფრო ადრე თეიმურაზ ბაგრატიონისა და მარი ბროსეს, მტკიცება, თითქოს ტ. გაბაშვილის ცნობით, შოთა რუსთველი იერუსალიმის ჯვრის მონასტერში იყოს დასაფლავებული. ასეთი ცნობა ტ. გაბაშვილთან არ დასტურდება. ამ შემთხვევაში დ. ჩუბინაშვილი, ისე როგორც მ. ბროსე, შეუმოწმებლად თ. ბაგრატიონს იმეორებს.

რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში, დიდხანს დავა იყო ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული 1712 წლის პირველი ბეჭდური გამოცემის ხასიათის შესახებ. ზოგიერთი (დ. კარიჭაშვილი, იუსტ. აბულაძე, პ. ინგოროყვა) მას თვლიდა პოემის რომელიღაც ძველი აწ დაკარგული ხელნაწერის ზუსტ გამეორებად, ზოგი კიდევ (მაგალითად, ე. თაყაიშვილი) ვახტანგისეულ გამოცემას კრიტიკულ რედაქციად მიიჩნევდა, რაც ექვმიუტანლად დაადასტურა ა. შანიძისა და ს. ცაიშვილის გამოკვლევებმა. საგულისხმოა, რომ ასეთივე აზრია გატარებული დ. ჩუბინაშვილის 1842 წელს გამოქვეყნებულ რუსთველოლოგიურ ნარკვევში და მისი თანარედაქტორობით გამოცემულ ვეფხისტყაოსნის 1841 წლის გამოცემის „წინასიტყვაობაში“, რომელსაც მ. ბროსე აწერს ხელს.

დ. ჩუბინაშვილი კრიტიკულად ეპყრობა ვახტანგ VI-ის კომენტარებში ვეფხისტყაოსნის მიჯნურობის მისტიკურ-ალეგორიულ აზ-

სნას. ამ მხრივ, იგი თავისი აღმზრდელი ბიძის, ცნობილი ქართველი მეცნიერი-ლექსიკოგრაფის ნიკო ჩუბინაშვილის შეხედულების გამ-  
ლრმავებლად გვევლინება, რამაც საბოლოოდ განაპირობა კიდეც პო-  
ემის 1841 წლის გამოცემისთვის ვახტანგ VI-ის „თარგმანის“ დაურ-  
თველობა.

ქართული ლექსთწყობის, კერძოდ, ვეფხისტყაოსნის შაირის  
დახასიათებისას დ. ჩუბინაშვილი 1842 წელს სიტყვა-სიტყვით იმე-  
ორებდა რუსი მეცნიერის ევგენი ბოლხოვიტინოვის ნაშრომში (სპბ.,  
1802) წარმოდგენილ თვალსაზრისს ქართული ლექსის სილაბურ-ტო-  
ნურობის შესახებ, თუმცა, შემდეგში, მან შეხედულება შეიცვალა—  
ქართული ლექსთწყობა სილაბურ სისტემას მიაკუთვნა, ეტყობა თე-  
ვისი მასწავლებლის თეიმურაზ ბაგრატიონის გავლენით, ვისთვისაც  
ქართული ლექსის ბუნების ამოსავალი პრინციპი ძირითადად სილა-  
ბიზმზე იყო დამყარებული.

ვეფხისტყაოსნის იდეურ-მხატვრული ანალიზისას, დ. ჩუბინა-  
შვილმა რუსთველის პოემა მკვეთრად დააყენა დასავლეთისა და  
აღმოსავლეთის კულტურათა მიჯნაზე: თუ ერთის მხრით, ვეფხისტყა-  
ოსნის ბევრი ადგილი დასავლეთ ევროპის მწერლებს გვაგონებს,  
ხოლო ფილოსოფოსთა სახელების ზოგჯერ პირდაპირ, ზოგჯერ კი  
შეფარვით დამოწმებით პოეტი კლასიკური ლიტერატურის ცოდნას  
გვიმჟღავნებს, მეორეს მხრით, ნაწარმოების ენა, მხატვრული ქსოვი-  
ლი, ევროპელთათვის უცხო გადაჭარბებული ვნებები, ჰიპერბოლე-  
ბი და ეპითეტები ყოველ ფეხის ნაბიჯზე აღმოსავლურია და „ათას  
ერთი ღამის“ მოთხრობებს გვაგონებს.

დ. ჩუბინაშვილი მკვეთრად ემიჯნება ვეფხისტყაოსნის სიუჟე-  
ტის ნასესხობის თეორიას და მტკიცედ დგება თავისი დიდი წინა-  
მორბედების ვახტანგ VI-ისა და თეიმურაზ ბაგრატიონის, აგრეთვე,  
მ. ბროსეს პოზიციანზე, რომლებიც რუსთველის პოემის აზბის ორი-  
გინალურობას აღიარებდნენ. ისტორიული ანალოგიების დაქებხის  
საფუძველზე დ. ჩუბინაშვილმა მ. ბროსესთან ერთად შექმნა ვეფ-  
ხისტყაოსნის სიუჟეტის ალეგორიად მიჩნევისა და პოემის ისტორი-  
ულ-ნაციონალური ინტერპრეტაციის თეორია, რომელსაც შემდეგში  
ბევრი მიმდევარი გამოუჩინდა როგორც ძველად, ისე ჩვენს დროში.

დ. ჩუბინაშვილი თ. ბაგრატიონთან, მ. ბროსესთან და ზ. ფალა-  
ვანიშვილთან ერთად მონაწილეობას იღებდა ვეფხისტყაოსნის მე-

ორე ბექედურ გამოცემაში, რომელიც 1841 წელს განხორციელდა ს.-პეტერბურგში და ვახტანგისეული 1712 წლის გამოცემის შემდეგ ახალ ეტაპს მოასწავებდა რუსთველის პოემის ტექსტის მეცნიერულ-კრიტიკულად დადგენის საქმეში. სხვადასხვა პირველწყაროს მოშველიებით ხერხდება ამ გამოცემაში დ. ჩუბინაშვილის უშუალო წვლილის დადგენა. ამას გარდა, გამორკვეულია ვეფხისტყაოსნის 1846 და 1860 წლების დ. ჩუბინაშვილისეულ გამოცემათა რედაქციული ხასიათი და მათი მეცნიერული მნიშვნელობა.

ღავით ჩუბინაშვილმა რუსთველოლოგიის ისტორიაში ერთ-ერთმა პირველმა სცადა ვეფხისტყაოსნის გარდა ეკვლია შოთა რუსთველის ე. წ. სხვა თხზულებებიც. ამ მხრივ, მან წინამორბედ ავტორებთან (ანტონ I, თეიმურაზ ბაგრატიონი, მარი ბროსე) შედარებით, ახალი ნაბიჯები გადადგა და, არ ვიცით რა წყაროებზე დაყრდნობით, შემოგვთავაზა აგრეთვე სხვა თხზულებები, რომლებიც თითქოს ვეფხისტყაოსნის ავტორს უნდა ეკუთვნოდეს. კერძოდ, დ. ჩუბინაშვილის მტკიცებით, შოთა რუსთველის დაწერილი უნდა იყოს „ფილოსოფოსნი შემოკრბენ...“; „იამბიკო ზედა-წარწერილ ხატსა ზედა ხახულის ღუთის-მშობლისასა: „ქალწულებრივთა სისხლთა შენთაგან სძალო...“, „იამბიკო თამარ მეფემ რომ ხალიფაზე გაიმარჯვა: „ცასა ცათასა დამწყები ღმერთმთავრობა...“. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ ამ თხზულებას (მაგ., „ფილოსოფოსნი შემოკრბენ...“) დ. ჩუბინაშვილის კვლობაზე რამდენიმე მკვლევარი დღესაც აკუთვნებს ვეფხისტყაოსნის ავტორს, ასეთ მტკიცებათა საბოლოოდ გასაზიარებლად ჟერჯერობით რაიმე არსებითად დამარწმუნებელი საბუთი არ არსებობს.

ვეფხისტყაოსნის ცალკეული სტროფების პირველი პუბლიკაციური და პროზაული რუსული თარგმანები ადრეც (1802 წ., 1833 წ.) იბეჭდებოდა რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაში თუ პერიოდულ გამოცემებში, მაგრამ ვეფხისტყაოსნის პირველი რუსული პოეტური არასრული თარგმანი, რომელიც „ვეფხისტყაოსნის რუსულ ენაზე თარგმნის პირველი სერიოზული ცდაა“ (ალ. ბარამიძე), მხოლოდ 1845 წელს განხორციელა პოეტმა ი. ბარტდინსკიმ. ამ თარგმანის წარმატება სხვებთან ერთად განაპირობა მის მომზადებაში დ. ჩუბინაშვილის აქტიურმა მონაწილეობამ.

## ДАВИД ЧУБИНАШВИЛИ КАК РУСТВЕЛОЛОГ

---

### Резюме

Известный грузинский ученый XIX века Давид Чубинашвили (1814—1891) внес значительный вклад в грузинское литературоведение, в грузинскую историческую науку и, в особенности, в лексикографию, а также в руствелологию.

Давиду Чубинашвили, как одному из достойных представителей Петербургской школы картвелологов, вместе с Теймуразом Багратиони и Мари Броссе суждено было поднять изучение и издание «Витязя в барсовой шкуре» на новом научном уровне.

В области исследования историко-литературных вопросов, касающихся поэмы Руставели, у Давида Чубинашвили были такие предшественники, как Вахтанг VI, Теймураз Багратиони, и, частично, Мари Броссе, в сотрудничестве с которым он создал много первостепенных в том числе и руствелологических трудов.

В руствелологических исследованиях Давида Чубинашвили дана научная характеристика политического, государственного, общественного и культурного положения Грузии эпохи Руставели и на ее основе обосновывается историческая неизбежность создания «Витязя в барсовой шкуре». По мнению Д. Чубинашвили, основа эпохи, породившей Руставели, была заложена Давидом Строителем, который ориентировался на западную (греко-романо-византийскую) культуру, а подняла ее на новую ступень царица Тамара, в период царствования которой была создана крупнейшая грузинская светская литература (Мосе Хонели, Саргис Тмогвели, Шавтели, Чахрухадзе, Руставели).

Заслуживают внимания биографические сведения о Руставели, приведенные Д. Чубинашвили, который большей



частью опирался на народные предания и на текст «Путешествий» Тимоте Габашивили.

Выясняя место рождения поэта, Д. Чубинашвили противопоставляет свои взгляды мнению Теймураза Багратиони о происхождении Шота Руставели из г. н. Геретского Рустави (Бостан-Калаки) и возвращается к народным преданиям и, частично, к традиционному взгляду поздних литературных источников (царь-поэт Арчил и др.), основанных на версии о происхождении Шота Руставели из Месхетского Рустави. В своих ранних трудах Д. Чубинашвили считал Шота Руставели Книгохранителем царицы Тамары, а впоследствии он присоединился к мнению о том, что Шота Руставели был ее Казнохранителем.

Что касается пребывания и деятельности Руставели в Крестном монастыре в Иерусалиме, а также существовавшая фрески с изображением поэта, то в этом вопросе Д. Чубинашвили опирается на народные предания и на сведения Тимоте Габашивили. Однако, не соответствует действительности утверждение Д. Чубинашвили, так же, как и мнение ранее высказанное Теймуразом Багратиони и Мари Броссе о том, что, по сведениям Т. Габашивили, Шота Руставели будто бы похоронен в Крестном монастыре в Иерусалиме. Такие сведения у Т. Габашивили не подтверждаются. В данном случае Д. Чубинашвили, как и М. Броссе, повторяет мнение Т. Багратиони, не проверив его.

В руствелологической литературе долго шла полемика о характере первого Вахтанговского печатного издания «Витязя в барсовой шкуре» 1712 года. Некоторые исследователи (Д. Каричашвили, Юст. Абуладзе, П. Ингороква) считали его точным повторением какой-то старой или утерянной рукописи поэмы; другие, как например Е. Такайшвили, считали Вахтанговское издание критической редакцией, что уже наглядно доказано исследованиями А. Шанидзе и С. Цаишвили. Примечательно, что такая мысль высказана в руствелологическом очерке Д. Чубинашвили, опубликованном в 1842 году, а также в «Предисловии» М. Броссе к изданию «Витязя в барсовой шкуре» 1841 года, одним из редакторов которого являлся Д. Чубинашвили.

Д. Чубинашвили критически относится к комментариям Вахтанга VI к «Витязю в барсовой шкуре». В этом отношении он углубил взгляды известного грузинского ученого-лексикографа Нико Чубинашвили, что обусловило отсутствие в издании поэмы 1841 года «Комментарии» Вахтанга VI.

Характеризуя грузинское стихосложение и, в частности, руставелевский шапри, Д. Чубинашвили в 1842 году повторил мнение русского ученого Евгения Болховитнинова, высказанное им в его труде (СПБ, 1802 г.), о силлабо-тоническом характере грузинского стиха, хотя впоследствии он изменил свое мнение и отнес грузинский стих к силлабическому системе, очевидно, под влиянием своего учителя Теймураза Багратиони, который считал, что грузинский стих, в основном, опирается, на силлабическую систему стихосложения.

При идейно-художественном анализе «Витязя в барсовой шкуре» Д. Чубинашвили рассматривал поэму Руставели, как произведение находившееся на стыке западной и восточной культур: если с одной стороны, многие эпизоды «Витязя в барсовой шкуре» напоминают произведения писателей Западной Европы, а имена философов прямо или косвенно свидетельствуют о знании поэтом классической литературы, то с другой стороны, язык произведения, его художественная ткань, преувеличение, чуждые для европейцев страсти, гиперболы и эпитеты, встречающиеся на каждом шагу, являются восточными и напоминают сказки «Тысячи и одной ночи».

Д. Чубинашвили резко отмежевался от теории о заимствовании сюжета «Витязя в барсовой шкуре», он полностью разделяет мнение своих великих предшественников — Вахтанга VI и Теймураза Багратиони, а также поддерживает позицию М. Броссе, который признавал оригинальность сюжета поэмы Руставели. На основе найденных им исторических аналогий Д. Чубинашвили вместе с М. Броссе создал теорию об аллегории сюжета «Витязя в барсовой шкуре» и историко-национальной интерпретации поэмы, которая имела много последователей как раньше, так и в наши дни.

Д. Чубинашвили, вместе с Т. Багратиони, М. Броссе и З. Палавандишвили принимал участие во втором печатном издании «Витязя в барсовой шкуре», которое было осуществлено в 1841 году в С.-Петербурге и после Вахтанговского издания 1712 года знаменовало новый этап в деле установления научно-критического текста поэмы Руставели. При помощи использования различных первоисточников удастся установить непосредственное участие Д. Чубинашвили в этом издании и оценить его вклад. Кроме этого, выясняется редакционный характер и научное значение изданий поэмы 1846 и 1860 годов, осуществленных Давидом Чубинашвили.

Одним из первых в истории руствелологии Давид Чубинашвили попытался найти т. н. другие сочинения Шота Руставели.

В этом отношении он, по сравнению с авторами-предшественниками, сделал шаг вперед и, опираясь на неизвестные источники, обнаружил другие произведения (четыре стихотворения), которые будто бы принадлежат автору «Витязя в барсовой шкуре».

Первые подстрочные и прозаические переводы отдельных строф «Витязя в барсовой шкуре» на русский язык печатались и раньше (1802, 1833 гг.) в русской научной литературе и периодических изданиях, но первый неполный поэтический перевод поэмы, «который является первым серьезным опытом перевода «Витязя в барсовой шкуре» на русский язык (Ал. Барамидзе), осуществил лишь в 1845 году поэт И. Бартдинский. Успех этого перевода, наряду с другими факторами, был обусловлен активным участием в его подготовке Давида Чубинашвили.

პ ი რ თ ა ს ა ძ ი მ ბ ე ლ ი

- აბაშიძე ირ. 19  
 აბულაძე ილ. 49  
 აბულაძე იუსტ. 19, 73  
 ანასტასია ბატონიშვილი 5  
 ანდლულაძე ლ. 58, 59, 62, 63, 64  
 ანტონ I კათალიკოსი 4, 48, 71  
 ანტონ II კათალიკოსი 4  
 არჩილი 73
- ბაგრატიონი თეიმურაზ 9, 11, 16, 19, 33, 34, 35, 37  
 ბარათაშვილი ს. 29  
 ბარათაევი გ. 10  
 ბარამიძე ალ. 16, 17, 30, 31, 53, 58, 66, 71, 75  
 ბარტიმინსკი ი. 59, 60, 61, 62, 63, 65, 66, 67, 71, 75  
 ბაქრაძე დ. 29, 30  
 ბენაშვილი დ. 30  
 ბერკოვი პ. 32, 64, 65, 67  
 ბერიძე ვუკ. 29, 30  
 ბოდბელი იოანე 4  
 ბოლხოვიტინოვი ე. 21, 22, 23, 24, 57, 58, 74  
 ბროკჰაუზი 9  
 ბროსე მარი 6, 7, 19, 20, 33, 34, 35, 36, 37, 60  
 ბუხნიკაშვილი გ. 61
- გაბაშვილი ტიმოთე 15, 18, 19, 69, 73  
 გაწერელია აკ. 21, 23, 24, 25  
 გიორგი III 28, 29  
 გიორგი XI 36  
 გოგოლაშვილი რევაზ 6  
 გრიგორიევი ვ. 7  
 გულაკი ნ. 29
- დადიანი გ. ლ. 60, 61, 65  
 დავით აღმაშენებელი 11, 72  
 დანდუროვი დ. 30  
 დემიდოვი 6  
 დოღგორუკი პ. 10  
 დონდუა კ. 30
- ევლახოვი ი. 59, 62, 65, 66, 67, 63  
 ერეკლე II 4  
 ერმოლოვი ა. პ. 5
- ვაჟა-ფშაველა 30  
 ვახტანგ VI 5, 11, 20, 21, 26, 27, 36, 42  
 ვიკარი ბელა 53
- ზიჩი მიხაი 48  
 ზოტოვი ელ. 59, 61, 63, 64
- თამარ მეფე 11, 13, 15, 17, 28, 46, 50, 71, 72  
 თაყაიშვილი ე. 19, 69, 73  
 თეოფილაქტე ეგზარქოსი 4  
 თმოგველი სარგის 13, 14, 68, 72
- ინგოროყვა პ. 19, 30, 49, 51, 54, 57, 69, 73  
 იორდანიშვილი ს. 26  
 იმედაშვილი გ. 21, 26  
 იოსელიანი გ. 14, 29
- კალანდაძე არსენ 46, 48  
 კალანდაძე ც. 3, 44  
 კარიკაშვილი დ. 19, 69, 73  
 კეკელიძე კ. 20, 30, 57  
 კინჭურაშვილი კ. 3, 64  
 კობახიძე ალ. 33  
 კონსტანტინოვი ო. ი. 59

- ლოლაშვილი ი. 49
- შარი ნ. 16, 30, 49, 52
- შახათაძე ნ. 3
- შეგრელიძე ი. 3, 19, 34, 45, 53, 60
- შენაბდე ლ. 31, 37, 43, 52, 57
- შეტრეველი ელ. 18
- შეტრეველი ლ. 53
- შეუნარგია იონა 48
- შურაბიოვი ა. ნ. 18, 59, 61, 64
- შუსინ-პუშკინი 45
- შუხლინსკი 6
- ნახუცრიშვილი ანასტასია 4
- ნუცუბიძე შ. 16
- ონიანი შ. 52, 53
- ორბელიანი მზექაბუჯ 4
- ორბელიანი სულხან-საბა 9
- პლიუშარი 9
- ჟორდანია თ. 54, 55
- რუსთაველი შოთა 17, 18, 19, 20, 21, 25, 26
- სენკოვსკი 6
- სერგოვსკი 8
- სტალინსკი ე. 30, 59, 61
- ჟურიღია ო. 33, 43
- ფალავანდიშვილი ზ. 34, 35, 41, 44, 70, 74
- ჭებაძე პ. 34, 35, 41
- ჭვარიანი ს. 30
- ჭუთათელაძე ლ. 16, 35, 39
- ჭუქშიშვილი დ. 30
- ღამბაშიძე დ. ე. 55
- ღლონტი ალ. 3
- ყაუხჩიშვილი ს. 40, 57
- ყენია რ. 55
- ყიფიანი დავითი 48
- ყუბანეიშვილი ს. 33, 39, 42, 43, 61
- შადური ე. 33
- შაფთელი იოანე 13, 68, 72
- შანიძე ა. 19, 73, 37
- შარაძე გ. 9, 19, 21, 23, 34, 35, 37, 40, 42
- შოშიაშვილი ნ. 16
- ჩახრუხაძე 13, 14, 68, 72
- ჩებიშვილი 8
- ჩოლოყაშვილი დავით 42
- ჩუბინაშვილი გიორგი 3
- ჩუბინაშვილი დავითი 3, 4, 6, 7, 8, 9
- ჩუბინაშვილი ევგენია 4
- ჩუბინაშვილი იასონი 4
- ჩუბინაშვილი იესე 3, 4
- ჩუბინაშვილი ივანე 3
- ჩუბინაშვილი ნიკო 3, 4, 5, 6, 19, 33, 42
- ცაგარელი ალ. 3, 4, 19, 24, 49
- ცაიშვილი ს. 16, 19, 20, 35, 46, 47, 73
- ციციანოვი პ. 4
- ციციშვილი ნანუჩა 36, 37, 42
- წერეთელი აკაკი 8, 30, 52, 53
- წერეთელი გიორგი 19, 48
- კიკინაძე ზ. 62, 63
- კიკინაძე კ. 30, 54, 57
- კუმბურძე ქ. 31, 66
- ხახანაშვილი ალ. 52
- ხონელი მოსე 13, 14, 68, 72
- ხუციშვილი ს. 62
- ხანანაშვილი ალ. 52
- ჯანაშია ს. 61

## შინაარსი

---

### თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი

დავით ჩუბინაშვილი (ბიოგრაფიული ეტიუდი) . . . . . 3

### თ ა ვ ი მ ე ო რ ე

დავით ჩუბინაშვილი — რუსთველოლოგი . . . . . 11

დ. ჩუბინაშვილი და ვეფხისტყაოსნის ისტორიულ-ლიტერატურული საკითხები . . . . . 11

დ. ჩუბინაშვილი — ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენ-გამომცემელი . . . . . 33

დ. ჩუბინაშვილი და რუსთველის სახელით ცნობილი ლექსები 48

დ. ჩუბინაშვილი და ვეფხისტყაოსნის პირველი რუსული პოეტური თარგმანი . . . . . 57

დასკვნა . . . . . 68

Давид Чубинашвили как русистолог—Резюме . . . . . 72

პირთა საქმებელი . . . . . 72

სბ 1833

\*

რეცენზენტები: ფილ. მეცნ. კანდ. ნ. ს უ ლ ა ვ ა  
უმც. მეცნ. თანამშ. ვ. რ ო ლ ო ნ ა ი ა.

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

\*

გამომცემლობის რედაქტორები: დ. ლ ე ქ ა ვ ა, ნ. ე ბ რ ა ლ ი ძ ე  
მხატვარი ო. გ ო რ ა ლ ე ვ ი ჩ ი  
მხატვრული რედაქტორი გ. ლ ო მ ი ძ ე  
ტექრედაქტორი ნ. ო კ უ ჯ ა ვ ა  
კორექტორი ე. ჩ ხ ა რ ტ ი შ ვ ი ლ ი

გადაეცა წარმოებას 17.4.1982; ხელმოწერილია დასაბეჭდად 17.12.1982;  
ქალაქის ზომა 60×84/16; ქალაქი № 1; ნაბეჭდი თაბახი 4,8;  
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 3,7;

უე 01024;

ტირაჟი 2000;

შეკვეთა № 1460;

ფასი 50 კაპ.

---

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

---

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19